თებერვალი 3 1996

# კავკასიონი

The KAVKASIONI © ყოველდღიური გაზეთი № 19 (313) ფასი 30 თეთრი

...ოველ შაბათს:
## «არილი»
## ლიტერატურული გაზეთი «კავკასიონში»


პირველად ქართულ ენაზე




## გთავაზობთ ერთ-ერთ თავს ნური ვერძაძის წიგნიდან «ქვეყნის გადარჩენის ნიჭი»

## რელიგია, ეროვნება და ავტონომიის ზოგიერთი საკითხი

ჭოროხის გაღმა—გამოღმა ქართველებმა საუკუნეებს გამოატარეს და არ დათმეს მშობლიური ენა, ადათ—წესები და დედო სამშობლოს კალთის ქვეშ დაბრუნების დაუოკებელი სურვილი.

6

მეზობლები

## დღევანდელი რუსეთის პოლიტიკური რეალიები

### ყოფილი საბჭოთა ნომენკლატურა თანამედროვე რუსეთში

რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის სოციოლოგიის ინსტიტუტის მონაცემებით, ყოფილი საბჭოთა ნომენკლატურისგან შედგება: პრეზიდენტის გარემოცვის — 75 პროცენტი, პარტიათა ლიდერების — 57,1 პროცენტი, რეგიონული ელიტის — 82,3 პროცენტი, მთავრობის — 74,3 პროცენტი, ბიზნეს-ელიტის — 61 პროცენტი.

### სურს თუ არა დასავლეთს ელცინის პრეზიდენტად დარჩენა?

პოლიტოლოგ ლ. შევცოვას აზრით, ჯერ კიდევ ჰალიფაქსში გამართულ დასავლეთის ქვეყნების ლიდერთა შეხვედრაზე (იგი ბუდიონოვსკის კრიზისის დროს ჩატარდა) დასავლეთის ლიდერთა განწყობილება საბოლოოდ შეიცვალა. უფრო მისაღები კანდიდატურის ძიებაში მთელი ყურადღება ჩერნომირდინზე გადავიდა, მაგრამ იგი არჩევნებში დამარცხდა.

ახლა, შევცოვას აზრით, ელცინის მოქმედებით გამოწვეული მათი შიში მხოლოდ გაიზარდა. მათ ესმით, რომ ელცინი ორჯერ უფრო საშიშია, როცა სუსტია. ძნელია იმის თქმა, თუ ვისზე შეაჩერებენ ისინი არჩევანს. იქმნება შთაბეჭდილება, რომ დასავლეთი ზიუგანოვის კრემლში ყოფნას უფრო იოლად გადაიტანს, ვიდრე ელცინის მმართველობასა და არჩევნებს.

### დეკემბრის არჩევნები — პრეზიდენტის საჯარო კრიტიკა

პრეზიდენტმა ეროვნული ავტონომიების მეთაურებს აუწყა, რომ დაასრულა საკადრო ცვლილებები მთავრობაში. მან განაცხადა, რომ ახლა რუსეთისთვის უმნიშვნელოვანეს ამოცანას ხალხის სოციალური და ეკონომიკური უფლებების დაცვა წარმოადგენს. მან აშკარად მიუთითა, რომ დეკემბრის არჩევნების შედეგებს მიიჩნევს მისი პოლიტიკის საჯარო კრიტიკად.

ელცინმა პირობა დადო, რომ არ ჩაკეტავს რუსეთის ეკონომიკას და შექმნის „ხელსაყრელ პირობებს მსხვილი უცხოელი ინვესტორების მუშაობისთვის".

### ვლადიმერ შუმეიკოს სურს „ახალი კურსით" სვლა ბორის ელცინთან ერთად

როგორც შუმეიკომ განაცხადა, პრეზიდენტმა უკვე დაამტკიცა, რომ იგი „რეფორმათა კურსის შეცვლას" აპირებს. თუ ელცინი მოძრაობის რეკომენდაციებს არ მიიღებს და არ შეიტანს მათ თავის ყოველწლიურ წერილში (რომელიც, როგორც ჩანს, მისი წინასაარჩევნო პლატფორმა გახდება), მას არ ექნება მოძრაობა „რეფორმები — ახალი კურსის" ძლიერი მხარდაჭერა. თუმცა, „სეგოდნიას" კორესპონდენტის აზრით, საეჭვოა შუმეიკომ, მხარი არ დაუჭიროს პრეზიდენტს.

გაგრძელება მე–3 გვ.

გახსოვდეს აფხაზეთი

## აფხაზეთის კონფლიქტი — რუსი პოლიტიკოსებისა და ჟურნალისტების თვალით

...რუსეთის პრესაში წინა ადგილზე კვლავ აფხაზეთის თემამ ...იწია. თუ ადრე რუსეთის პრესა აღნიშნავდა, რომ აფხაზეთის ...ნფლიქტის მოწესრიგების საკითხში გარღვევა დაიწყო, ბო...ლო დროს მოსკოვში შემდგარი სამიტის შედეგების შემდეგ, ამის ...სახებ უკვე წერენ და ლაპარაკობენ, როგორც მომხდარ ფაქტ...ზე. ...აქმის ლაძვრის მიზეზად რუსი ჟურნალისტები და ანალიტი...კოსები მიიჩნევენ ორი ფაქტორის თანხვედრას — რუსეთის პო...ლიტიკის შეცვლას (რაც, გარკვეულწილად, ჩეჩნეთის ომით იყო ...გამოწვეული) და ქართული დიპლომატიის წარმატებებს.

...თუ არ ჩავთვლით კომუნისტურ გამოცემებს, წამყვანი რუსუ...ლი გაზეთები აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების გაშუქე...ბისას, უარეს შემთხვევაში, ნეიტრალურ, მაგრამ ხშირად „პრო...ქართულ" პოზიციაზე დგანან. ჩეჩნეთის მოვლენებმა იძულებუ...ლი გახადა ბევრი რუსი, „აფხაზი წამებულები" სეპარატისტთა ...ვის ადეკვატურად აღექვათ. საღად მოაზროვნენი არძინბას ...ოვნების შეფასებისას არ იბნევიან, რის საფუძველსაც გვაძ...ლევს რუსეთის გაზეთებში გაშუქებული მისი ვიზიტი.

### „აფხაზეთი უბრუნდება მოლაპარაკებებს. ვლადისლავ არძინბას სახელმწიფო სათათბიროს მხარდაჭერის იმედი აქვს"

(„სეგოდნია", ლეონიდ ველეხოვი):

[illegible]

ზაფხულში თქვეს უარი, როცა მოულოდნელად „საბოტაჟი მოუწყეს მზა დოკუმენტის ხელისმოწერას".

ამავე დროს, ავტორი მიიჩნევს, რომ „ეს ევოლუცია" დსთ-ს სამიტის გადაწყვეტილებით იყო სტიმულირებული, რომლის მონაწილეებიც მთლიანად საქართველოს მხარეს დადგნენ და, ფაქტობრივად, მიიღეს გადაწყვეტილება აფხაზეთის წინააღმდეგ სანქციების შემოღების შესახებ, რითაც კიდევ უფრო გამყარდა აზრი, რომ „საქართველოს თანხმობის გარეშე თანამეგობრობის სახელმწიფოებს არ შეუძლიათ აფხაზეთის ხელისუფლებასთან აწარმოონ არანაირი სავაჭრო-ეკონომიკური და სხვა ოპერაციები". ველეხოვი ასევე გამოთქვამს აზრს, რომ სამიტის მონაწილეთა შორის აფხაზებისთვის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი უნდა იყოს რუსეთის პოზიცია.

სტატიაში ყურადღება ექცევა, აგრეთვე, იმ ფაქტს, რომ აფხაზეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ლ. ლაკერბაიას უკანასკნელ განცხადებაში ითქვა შესახებ, რომ აფხაზეთი თანახმაა შექმნას საქართველოსთან ერთიანი სახელმწიფო, ამჯერად არ ფიგურირებდა „თბილისისთვის იდეოსინკრაზიის გამომწვევი" სიტყვები „კონფედერაციულ საფუძველზე".

გაგრძელება მე 3 გვ.

### ანონსი

30 იანვარს გაზეთ „კავკასიონში" გამოქვეყნდა წერილი — „კონსტიტუციას პროკურატურაც უნდა დაემორჩილოს!" წერილში წამოჭრილ კითხვებს მომავალი სამშაბათის „კავკასიონში" კომენტარს გაუკეთებს პარლამენტის კონსტიტუციურ, იურიდიულ საკითხთა და კანონიერების კომიტეტის თავმჯდომარე, ბატონი მიხეილ სააკაშვილი.

## ცვლილებები პარლამენტის პლენარული სხდომების გარდა აპარატსაც დაეტყო...

- პარლამენტის აპარატი აპირებს მისი სამუშაო პროცესის ნებისმიერი ეტაპი საჯარო გახადოს.
- ძირეული სტრუქტურული ცვლილებები უფრო დახვეწილს და საქმიანს ხდის პარლამენტის აპარატის მუშაობას.
- ნებისმიერ ადამიანს აქვს თანაბარი შანსი — გახდეს პარლამენტის აპარატის თანამშრომელი.

იხ. მე–4 და მე–13 გვერდები

პარლამენტი

# საბიუჯეტო ვნებანი პარლამენტში

გუშინ საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომიტეტში (თავმჯდომარე ზაზა სიორიძე) მოეწყო რესპუბლიკის 1996 წლის ბიუჯეტის პროექტის საკომიტეტო მოსმენა. შეკრებაზე მოწვეულნი იყვნენ ადგილობრივი და სამხარეო ადმინისტრაციათა ხელმძღვანელები, აღმასრულებელი ხელისუფლების სხვადასხვა სტრუქტურათა წარმომადგენლები, პარლამენტარები.

საკომიტეტო მოსმენა მეტად დაძაბული გრაფიკით წარიმართა: ექვსსაათიან დისკუსიაში 20-მდე გამომსვლელმა „მოასწრო“ ჩაბმა. მოკამათეთა ასეთი სოლიდური რიცხვის მიუხედავად, დისპუტის მონაწილეთა მიერ წამოწეული პრობლემების არეალი საკმაოდ შეზღუდული აღმოჩნდა — თითქმის ყველას მიაჩნდა, რომ თუ მათ წინადადებებს არ გაითვალისწინებდნენ, რაიონი ან რეგიონი კატასტროფის წინაშე აღმოჩნდებოდა და „ტრაგედიის“ თავიდან ასაცილებლად ფინანსთა მინისტრს დავით იაკობიძეს „სთავაზობდენ“ გაეზარდა მათთვის გამოყოფილი სახსრები და შეემცირებინა ბიუჯეტში შესატანი თანხის ოდენობა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ვიცეპრემიერმა კახა არველაძემ გაკვირვებით შენიშნა, რომ ქვეყნის ბიუჯეტის მოცულობის 2,7-ჯერ ზრდის კვალობაზე დედაქალაქისთვის გამოყოფილი თანხების მატებამ მხოლოდ 20-25 პროცენტი შეადგინა. მანვე ისაუბრა ქალაქის მომავალი ძირითადი ხარჯების შესახებაც: თბილისის ბიუჯეტს მძიმე ტვირთად აწევს მეტროპოლიტენი, რადგან ამ სახის ტრანსპორტით თითოეული მგზავრის გადაყვანა 15 თეთრი ჯდება, რაც შეეხება საბიუჯეტო ორგანიზაციათა მუშაკების ხელფასს, არველაძის აზრით, მან ისეთ დონეს რომ მიაღწიოს, როგორიც დღეს ფოთსა და ქუთაისშია, დედაქალაქის ბიუჯეტს დამატებით 22-23 მილიონი ლარი დასჭირდება. გარდა ამისა, შენიშნა ვიცეპრემიერმა, თბილისი გადაუჭრელ პრობლემათა წინაშე რომ არ დადგეს, 1996 წლისთვის დაგეგმილი შემოსავლებიც (150 მილიონი ლარი) ნახევარი მაინც ქალაქის ბიუჯეტს უნდა დარჩეს.

ქუთაისის მერმა თეიმურაზ შაშიაშვილმა მხარი დაუჭირა არველაძის პოზიციას „თბილისს შემოსავლების 100 პროცენტიც კი შეიძლება დარჩეს“) და უკმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ ქუთაისის ბიუჯეტის დაგეგმვის რიგი მაჩვენებლები საგრძნობლად აღემატება საერთო რესპუბლიკურს. მანვე მოითხოვა პარლამენტისგან პრეზიდენტისთვის უფლების მიცემა, რათა მან შეიმუშავოს რიგი მსხვილი სამრეწველო ობიექტების, ცალკეული დარგების გადარჩენის პროგრამები და ღონისძიებები. შაშიაშვილის აზრით, „კარგი იქნებოდა, თუ რეგიონს, რომელიც 105 პროცენტით შეასრულებდა საბიუჯეტო შემოსავლის მაჩვენებელს, მის ზევით შემოსული თანხა მთლიანად დარჩებოდა“.

მცირე სკანდალი მოჰყვა აჭარის ფინანსთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის გელა თურმანიძის გამოსვლას, როდესაც მან თავისი სიტყვის დასასრულს დასძინა, რომ ასეთ ბიუჯეტთან ჭიდილს მირჩევნია სამსახური დავტოვო, რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრმა შემხვედრი რეპლიკა მიაგება.

აჭარელი მინისტრის „დაჩაგვრა“ „ვერ აიტანა“ პარლამენტარმა გურამ შარაძემ და რამდენიმე „ტკბილი სიტყვა“ შეაწია „ძველ მეგობრებს“ — დავით იაკობიძეს და თეიმურაზ შაშიაშვილს. უკან არც მათ დაიხიეს და ერთი საკომიტეტო მოსმენის დროს ორჯერ შეეკამათნენ „ქომაგს“.

რესპუბლიკის 1996 წლის ბიუჯეტის პროექტით არც მცხეთა-მთიანეთის მხარეში პრეზიდენტის რწმუნებული შალვა ობგაიძე აღფრთოვანებულა — მან ქვეყნის ეკონომიკური გეგმის პროექტს „ადგილობრივი ხელისუფლების შემოსავლების დაყაჩაღების კანონპროექტის“ იარლიყი მიაწება.

საკომიტეტო მოსმენაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე პარლამენტარებმა მამუკა არეშიძემ, დალი აბაშიძემ, სოსო წინწკალაშვილმა, მიხეილ ჯიბუტმა, საქართველოს სხვადასხვა ქალაქებისა და რაიონების მერებმა და გამგებლებმა — ბონდო ჯიქიამ, არმაზ შამანაურმა, ჯემალ გორგოძემ, მერაბ ტყეშელაშვილმა, მირზა ქორქაშვილმა, პრეზიდენტის რწმუნებულმა რეგიონებში — ბადრი ხატიძემ, ლევან მამალაძემ, თედო ისაკაძემ.

მოსმენის შედეგები შეაჯამა ფინანსთა მინისტრმა დავით იაკობიძემ. მან ზოგადად მიმოიხილა საბიუჯეტო მოწყობის ძირითადი პრინციპები და მიმართულებები, გამოთქვა რწმენა, რომ კონსესუსი მთავარ საკითხებზე ფაქტობრივ მიღწეულია და დასძინა: „ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომელიც ჩვენ ბოლო ორი წლის მანძილზე შევიმუშავებია“.

გიორგი ასანიშვილი

გახსოვდეს აფხაზეთი!

## არძინბა მსჯელობს

„აფხაზეთის მოსახლეობის უმეტესობას რუსეთის შემადგენლობაში შესვლა სურს“, — განაცხადა ვლადისლავ არძინბამ მოსკოვში აფხაზური დელეგაციის მიერ გამართულ პრესკონფერენციაზე. მან უარყო ხმები აფხაზეთში ჩეჩენ ბოევიკთა ყოფნის შესახებ და რუსეთის დეპუტატებს მოუწოდა, აქტიური მონაწილეობა მიიღონ კონფლიქტის მოწესრიგებაში.

## რეფერენდუმზე — საქართველოს მთელი მოსახლეობა

„აფხაზეთის ბედი რეფერენდუმზე უნდა გადაწყდეს“, — განაცხადა რუსეთის ყოფილი სათათბიროს საპარლამენტო ფრაქცია „რუსეთის ქალების“ თავმჯდომარემ, ამჟამად სახელმწიფო სათათბიროს თავისუფალმა დეპუტატმა, ეკატერინე ლიახოვამ. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ აფხაზეთთან დაკავშირებულ რეფერენდუმში საქართველოს მთელმა მოსახლეობამ უნდა მიიღოს მონაწილეობა, და არა მხოლოდ მისმა გარკვეულმა ნაწილმა“, — იტყობინება საქართველოს ტელევიზია.

## „საქმიანი წინადადება“

„თუ სსრკ-ის აღდგენაში დაგვეხმარებით; ჩვენ თქვენს პრობლემებსაც გადავწყვეტთ“, — განაცხადა რუსეთის სათათბიროს დსთ-ს ქვეყნებთან ურთიერთობათა საკითხების კომიტეტის თავმჯდომარემ, სსრკ-ის უზენაესი საბჭოს ბლოკ „სოიუზის“ ყოფილმა წევრმა გიორგი ტიხონოვმა აფხაზეთიდან დევნილი მინისტრთა საბჭოსა და უმაღლესი საბჭოს დელეგაციასთან შეხვედრისას. სხვა შემთხვევაში, განაცხადა მან, აფხაზეთი თავისი ნებით შევა სსრკ-ის შემადგენლობაში, თქვენ კი გარეთ დარჩებით.

## სეპარატიზმის წახალისება

„ვლადისლავ არძინბას მიწვევა რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში და აფხაზური დელეგაციის პრესკონფერენცია აგრესიული სეპარატიზმის წახალისება და 300 ათასი აფხაზეთიდან ლტოლვილის შეურაცხყოფაა“, — ნათქვამია აფხაზეთის დევნილი მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ზურაბ ერქვანიას რუსეთის სათათბიროს დსთ-ს ქვეყნებთან ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის გიორგი ტიხონოვისთვის გაგზავნილ დეპეშაში. მასში ხაზგასმულია, რომ მოსკოვის სამიტის გადაწყვეტილების შესაბამისად, დსთ-ს ქვეყნები არ აპირებენ ოფიციალური კონტაქტების შენარჩუნებას აფხაზეთის ტერიტორიაზე განლაგებულ სტრუქტურებსა და თანამდებობის პირებთან.

BGI

ყოფნა?!

# გაჭირდა ცხოვრება

BGI-ის კორესპონდენტმა ლევან გუდაძემ თბილისელებს კითხვით მიმართა: „რას ფიქრობთ პურის ფასის მომატებასთან დაკავშირებულ კომპენსაციებზე?“ მათ სახელები არ დაასახელეს, პასუხით კი აი რა უპასუხეს:

მ.ბ. ბუღალტერი:

— ხელფასი ისედაც არ მყოფნიდა. ახლა კი ერთი კვირაც არ გამნვდება. რა კომპენსაცია? ეს მხოლოდ ხალხის მოტყუებაა, მეტი არაფერი.

ნ.ბ. პოლიციის თანამშრომელი:

— კომპენსაცია 1,5 ლარია. ამაზეც მადლობა, თავად უნდა გავინძრეთ. შევარდნაძე ღმერთი არ არის.

რ.მ. პედაგოგი:

— ეს უბრალოდ ხალხის დაცინვაა. შეურაცხყოფა საკუთარი ხალხისა, რმელსაც ყველაფერი მშვენივრად ესმის.

ს.ი. ინჟინერი:

— ეს ყველაფერი სისულელეა — პურზე ფასის აწევაც, ეს სულელური კომპენსაციაც. როგორ მოხვდა ამ მთავრობაში ყველა დებილი? თავიანთ თავს მაინც სცენ პატივი. ყველაფერი ვიგინდარებმა დააბინძურეს.

ლ.ნ. პენსიონერი:

— უკვე გვაიძულეს, გვეოცნება შუქზე, გაზზე, წყალზე. ახლა პურზე ვიოცნებოთ. ლენინგრადის ბლოკადა გამოვიარე, ახლა კი, ალბათ, შიმშილით გავფშიკავთ ფეხებს. ეს არ არის კომპენსაცია, ეს მასხრად აგდებაა. რას არ მოიგონებენ ეს გაუმაძღარი თვალთმაქცები, რათა ხალხს ბოლო ნაჭერი პური წაართვან?!

ზ.ბ. ექიმი:

— ერთი მაგათიც... რაში გვჭირდებოდა ეს დამოუკიდებლობა? ყველაფერი გვქონდა, პურზე არც ვფიქრობდით. პაციენტები თითქმის არ დამრჩა. ბუნებრივია, ცოტანი არიან, ვის შეუძლია სამედიცინო მომსახურების ფასების გადახდა? ეს კომპენსაციაც მხოლოდ ხალხის მოტყუებაა.

მ.თ. დოცენტი:

— იმ სახელმწიფოს, რომლის ინტელიგენციასაც არ შეუძლია პურის ფულის გამომუშავება, მომავალი არა აქვს. როდემდე შეიძლება ასე ცხოვრება? კომპენსაცია მხოლოდ პურის ფასს ეხება, ფასები კი პროდუქტებზეც გაიზრდება...

პ.ქ. უმუშევარი:

— ეს სისულელე კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ სახელმწიფოს სათავეში იდიოტები დგანან. გეკითხებით, ვის რაში სჭირდება 1,5 ლარის ოდენობის კომპენსაცია? რა, ადამიანი თვეში მხოლოდ სამ პურს ჭამს? მრცხვენია ჩემი ქვეყნის მაგივრად! ჩვენ რაღაცნაირად კიდევ გაგვაქვს თავი, მაგრამ მოხუცები? ისინი ხომ შიმშილით კვდებიან.

გ.ნ. შინაგანი ჯარების პოლკოვნიკი:

— სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს. ჩემს ოჯახს არ უჭირს. მაგრამ არის ხალხი, რომელსაც ისედაც არ ჰქონდა პურის ფული. მათ რა ეშველებათ? სადამდე მიიყვანეს მოხუცები! მათ თუნდაც მხოლოდ გაუბედურებული ცხოვრებისთვის უნდა გადაუხადონ 100 ლარის კომპენსაცია! მესმის, რომ ბიუჯეტი შესავსებია, მაგრამ თუ მოსახლეობა ამოწყდა, ვის და რისთვის სჭირდება საქართველო და მისი ბიუჯეტი?!

ნ.ნ. პედაგოგი:

— ალბათ, მთავრობა იძულებულია ასე მოიქცეს — აბა, მისი ხალხის მტერი ხომ არ არის. მაგრამ განა შეიძლება ამას კომპენსაცია ეწოდოს?"

გ.გ. პენსიონერი:

— ვიღებ პენსიას — 4,5 ლარს. ახლა 6 ლარი გახდება. მიშველის კი ეს? ჩემთვის უკვე სულ ერთია — დავიღალე ასეთი ცხოვრებისგან. ჩემნაირებს მხოლოდ სიკვდილი უშველის.

არ ყოფნა?!

# გაჭირდა სიკვდილი

„არასოდეს ვიფიქრებდი, რომ მიცვალებულის გარდა კიდევ რაღაც უნდა იყო, რათა სასაფლაოზე მოხვდე“. ამ სიტყვებს 60-იანი წლების ამერიკული ფილმიდან „შესანიშნავი შვიდეული“ ჩვენთან ხშირად იხსენებენ ისინი, ვინც 50 წელს გადააბიჯა.

იმქვეყნიურ სამყაროში ახლობელი ადამიანის თუ ნათესავის გასტუმრება ამჟამად ისეთი თანხა ჯდება, რომელიც ობივატელის ხელფასით ვერ გაიზომება. მაგალითად:

ცნობა გარდაცვალების შესახებ 7 ლარი ღირს

საფლავის გათხრა —70 ლარი

ფიცრის კუბო — 70-დან 160 ლარამდე

სუდარა — 35 ლარი

ბალზამირება — 70 ლარი

კატაფალკი — 70 ლარი

ჯამში — დაახლოებით 350 ლარი.

კარგია, თუ საჭირო არ არის საფლავის ადგილის ყიდვა, რასაც დამატებით კიდევ 300 ლარამდე სჭირდება.

ზოგიერთი მოქალაქე სიკვდილის წინ რამდენიმე კვირას საავადმყოფოში ატარებს, სადაც:

ავადმყოფის გამოკვლევა 22 ლარი ღირს

ორჯერ სისხლის ანალიზი შავი ჭირის საწინაალმდეგო სადგურში — 23 ლარი

თირკმლების და კუჭის ექოსკოპია — 17 ლარი

ფლიუოროგრაფია — 5 ლარი

ერთი დღე საავადმყოფოში წოლა — 6 ლარი.

ასე რომ, საიქიოში გადასვლა ობივატელს, წინასწარი ეტაპის — საავადმყოფოს ჩათვლით, როგორც მინიმუმი, 500 ლარი დაუჯდება. ეს კი 83 მინიმალური ხელფასია. პლუს — ტრადიციული ქელეხის ხარჯები.

რა უნდა ქნას იმან, ვისაც ფული არა აქვს?!

გამოსავალი ნაპოვნია:

პოლიეთილენში გახვეულ მიცვალებულს ტოვებენ მუხათგვერდის სასაფლაოს შესასვლელში. თვის ბოლოს ტრაქტორი „ბელორუსი“ ამოთხრის ორმოს და...

ჭეშმარიტად, ცხოვრება ძნელია, მაგრამ არც სიკვდილია ადვილი.

BGI



მშობლები ადა გალუშკინა, ავთანდილ (ციტო) ვარდიაშვილი, მეუღლე ალიონა ანტონოვა, შვილი ავთანდილ ვარდიაშვილი, სიდედრი ალა, სიმამრი ანატოლი ანტონოვი, იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**დიმიტრი (დიმა) ავთანდილის ძე ვარდიაშვილი**

პანაშვიდი: 4 და 5 თებერვალს, 3 სთ-ზე;
გამოსვენება: 6 თებერვალს, 2 სთ-ზე;
მისამართი: ჯავის ქ.№23.

გახსოვდეს აფხაზეთი

# აფხაზეთის კონფლიქტი — რუსი პოლიტიკოსებისა და ჟურნალისტების თვალით

პირველი გვერდიდან

„თუმცა, მისი განცხადებიდან არც ის ჩანს, რომ აფხაზები ავტონომიაზე იყვნენ თანახმა, თუნდაც იგი განსაკუთრებული უფლებებით იყოს განმტკიცებული, როგორც ამას ქართველები მოითხოვენ. თუნდაც დავუშვათ, რომ აფხაზეთი მზადაა, კომპრომისზე წავიდეს საქართველოს შემადგენლობაში თავისი სტატუსის საკითხთან დაკავშირებით, იმავე განცხადებაში გამოთქმული თვალსაზრისი ქართველი ლტოლვილების დაბრუნების შესახებ აბსოლუტურად მიუღებელია თბილისისთვის. მინისტრმა განაცხადა, რომ პოლიტიკური კომპრომისი შეუძლებელია, თუ იგი დაკავშირებული იქნება ლტოლვილთა დაბრუნების მოთხოვნასთან. საქართველოს მხარე კი ამ მოთხოვნას (საქმე 300 ათას ქართველ ლტოლვილს ეხება) პირველ ადგილზე აყენებს.

მოსკოვში ჩამოსვლისას, შეუძლებელია არძინბას გაცნობიერებული არ ჰქონდეს, თუ რა მკაცრი ზეწოლა ელის მას აქ ყველა შეხვედრებზე, რომელთა შორისაც იქნება კონტაქტები ვიცეპრემიერ ა.ბოლშაკოვთან და საგარეო საქმეთა მინისტრთან ე.პრიმაკოვთან. ერთადერთი ნუგეში აფხაზი ლიდერისთვის, ალბათ, სათათბიროს ფრაქციების წარმომადგენლებთან დაგეგმილი კონსულტაციები იქნება: რუსეთის კომპარტია და ლიბერალურ-დემოკრატიული პარტია მხარს უჭერენ სოხუმის ...ლუვას განცალკევებისკენ. შესაძლოა, სწორედ რუსეთის ხელისუფლებაში შექმნილ ამ წინააღმდეგობაზე ამყარებს არძინბა იმედს. მისი გადაწყვეტილება, ბოლოს და ბოლოს მოსკოვში ჩამოსულიყო, არა მხოლოდ ამას წინათ გამართულ დსთ-ს სამიტთან იყო დაკავშირებული, არამედ დეკემბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგებთანაც".

## „ყოფილი „მოკავშირეები“ კონფლიქტის ნაკვერჩხალს აღვივებენ“

(“იზვესტია“, სერგეი ჩუგაევი).

ავტორი წერს სათათბიროს ნაციონალ-პატრიოტულ-კომუნისტური უმრავლესობის გამბედაობის დემონსტრაციაზე, ბლოკირება გაუკეთოს აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების შესახებ დსთ-ს სახელმწიფოს მეთაურთა შეთანხმების რეალიზაციას. 31 იანვარს ჩატარებულ პრესკონფერენციაზე ფრაქცია „ნაროდოვლასტიეს“ წევრმა გ.ტიხონოვმა განაცხადა თავისი კოლეგების გადაწყვეტილების შესახებ, მოითხოვონ სათათბიროში დოკუმენტის რატიფიკაცია. ავტორი აღნიშნავს, რომ საფუძველი იმისთვის, რომ ინიციატივას არ მიიღებენ — არ არსებობს (ამისთანავე აშკარაა, რომ დოკუმენტი არ იქნება რატიფიცირებული“):

„პრესკონფერენციის ცენტრალურ მომენტად იქცა აფხაზეთის ლიდერის ვარძინბას გამოსვლა, რომელიც თითქოსდა შემთხვევით (როგორც ტიხონოვმა განმარტა) მოხვდა დარბაზში. მან განაცხადა, რომ მისი რესპუბლიკის მოსახლეობის უმრავლესობა მხარს უჭერს რუსეთის შემადგენლობაში შესვლას, თუმცა, ვერ შეძლო დააზუსტებინა, თუ რამდენია ეს „უმრავლესობა“.

ჩუგაევი აგრეთვე ყურადღებას აქცევს იმ ფაქტს, რომ პრესკონფერენციის წამყვანები გ.ტიხონოვი და ვარძინბა წარსულში სსრკ უზენაესი საბჭოს წევრები იყვნენ და საკავშირო პარლამენტში ცნობილ დაჯგუფება „სოიუზში“ შედიოდნენ.

„ჯერ კიდევ მაშინ ზოგიერთი ექსპერტი საუბრობდა შესაძლო კავშირზე რეგიონთაშორის კონფლიქტებთან ჯგუფისა, რომელიც სსრკ-ს შენარჩუნებისთვის ბრძოლის დროშის ქვეშ გამოდიოდა. დღეს დაჯგუფება „სოიუზის“ ორივე აქტიური წევრებისა — გ.ტიხონოვი, ჩეხოევი — სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატები არიან“.

## საგენტო ინტერფაქსმა გაავრცელა აფხაზეთის პარლამენტის თავმჯდომარის სოკრატ ჯინჯოლიას ინტერვიუ

(31 იანვარი),

რომელშიც მან განაცხადა, რომ აფხაზეთი საქართველოსთან კონფედერაციული ურთიერთობის მომხრე რჩება და „ეს პოზიცია უცვლელია“. ამასთან, ს.ჯინჯოლიამ შენიშნა, რომ რუსეთის წინადადება საქართველოს და აფხაზეთის ერთიანი სახელმწიფოს შექმნის შესახებ, შესაძლოა, მოლაპარაკების საგანი გახდეს, როგორც ეს გათვალისწინებულია ქართულ-აფხაზური კონფლიქტის პოლიტიკური მოწესრიგების შესახებ 1994 წლის 4 აპრილის განცხადების საფუძველზე.

„სწორედ ეს განცხადება კონსტატაციაა იმ ფაქტისა, რომ აფხაზეთი გვევლინება საერთაშორისო სამართლის სუბიექტად. რადგან მხოლოდ დამოუკიდებელ სახელმწიფოს შეუძლია ორი ქვეყნის ერთობლივ მართვაში მისი უფლებამოსილების ნაწილის დელეგირება,“ — ხაზგასმით აღნიშნა მან.

ს.ჯინჯოლიამ განაცხადა, რომ აფხაზეთის პარლამენტი არანაირ შეთანხმებას არ უკეთებს რატიფიცირებას, თუკი ის ეწინააღმდეგება 1994 წლის 4 აპრილის მიღებულ დოკუმენტს.

## გაზეთი „პრავდა“

აგრძელებს აფხაზეთის მოსახლეობის, რუსეთის ხელმძღვანელობის, რუსეთის მოსახლეობისადმი მიმართულ სხვადასხვა სახის მიმართვების ბეჭდვას: „რუსეთო, ნუ მოკლავ შიმშილით შენს დამცველებს“. ამჯერად მიმართვის ავტორები აფხაზეთში მცხოვრები დიდი სამამულო ომის ვეტერანები, ძირითადად რუსები არიან. ისინი წერენ თავიანთ საცოდავ მდგომარეობაზე, მოუწოდებენ რუსეთს, არ დაივიწყოს ისინი. ის, რომ აფხაზეთში მცხოვრები ომის ვეტერანები იმყოფებიან მძიმე მდგომარეობაში — ეჭვგარეშეა, თუნდაც იმიტომ, რომ მიმართვას არა აქვს პოლიტიკური ელფერი. საცოდავ მდგომარეობაში ჩავარდნილ ხალხს პოლიტიკა არ აღელვებთ:

„ჩვენ დღეს უკიდურეს გასაჭირში ვართ. ვყიდით პირად ქონებას, ძვირფას ჯილდოებს, ბევრი ვეტერანი ნაგვის ყუთებში იქექება საჭმლის მოსაძებნად, ეჯიბრებიან უპატრონო ძაღლებს“.

## „გალის რაიონის პარტიზანები. ამავე დროს ლტოლვილები. პოლიციელები და დივერსანტები“.

„ნეზავისიმაია გაზეტა“

ალექსანდრე კრილოვი

აქ მოთხრობილია გალის რაიონში ქართველი პარტიზანების ქმედებების შესახებ. ავტორის აზრით, გალის რაიონის პარტიზანები სპეციფიკური მოვლენაა. ნათქვამია, რომ მათი უმრავლესობა ორ, დაახლოებით თანაბარრიცხოვან დაჯგუფებას მიეკუთვნება. თითოეულ ამ დაჯგუფებაში 250 საუკეთესოდ შეიარაღებული მეომარია. ერთ-ერთ მათგანს ბოლო დრომდე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიციის პოლკოვნიკი ხვიჩა უბირია მეთაურობდა, მეორეს — აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე დათო შენგელია (ბოლო მონაცემებით, „მხედრიონის“ დაშლასთან დაკავშირებით ისინი სოხუმის პოლიციის ყოფილმა უფროსმა სოსო ახალაიამ შეცვალა). აღინიშნება, რომ ამ რაზმებს ქართული პოლიციის სტატუსი აქვთ, გარდა ამისა, აფხაზეთის ხელმძღვანელობაზე თავდასხმებს „ადგილობრივი მოსახლეობისგან შემდგარ სოფლის ადმინისტრაციის უმოწყალო ტერორს უთავსებენ“. კრილოვის აზრით, პოლიციელებმა პარტიზანული ბრძოლა საქართველოს იმ პოლიტიკური ძალების ფინანსურ საყრდენად აქციეს, რომლებიც აფხაზეთის პრობლემების ბრძოლით გადაწყვეტის მომხრეები არიან.

სტატიაში მრავლადაა მოყვანილი გალელი პარტიზანების „გმირობის“ სხვადასხვა მაგალითები (აფხაზი მილიციონერების მკვლელობა, მშვიდობიანი მოსახლეობის ძარცვა, ხიდების აფეთქება, გზების დანაღმვა): ავტორის აზრით, პარტიზანები სულაც არ მოქმედებენ სპონტანურად. უფრო მეტიც, ისინი გარკვეულ დავალებებსაც ასრულებენ: „რუსეთის სამშვიდობო ძალების მოქმედებამ რეგიონის მდგომარეობაზე არაერთმნიშვნელოვნად იმოქმედა. იგი გარანტიაა მოსახლეობის უშიშროებისა, რომლებიც სტიქიურად დაბრუნდნენ თავიანთ სახლებში. ამავე დროს — და აქ თბილისის ოფიციოზის უეჭველ წარმატებაზე შეიძლება საუბარი — შეიქმნა ქართველ პარტიზანთა მოქმედებისთვის ხელსაყრელი პირობები, რომელთაც, პრაქტიკულად, ნოლზე დაიყვანეს ნორმალიზაციის ყველა მცდელობა. მათი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ პროვოცირება გაუკეთონ აფხაზური მთავრობის საპასუხო ზომებს. ადრე თუ გვიან აუღიარებელი რესპუბლიკის ხელისუფალნი უბრალოდ იძულებულნი იქნებიან, რეაგირება მოახდინონ პარტიზანული მოქმედებების გაფართოებაზე. არის საშიშროება, რომ მშვიდობიანი ძალები ამ კონფლიქტში ჩათრეულნი აღმოჩნდებიან“.

ინეზა მაკალათია

რუსეთში საქართველოს საელჩოს პრესსამსახური

მეზობლები

# დღევანდელი რუსეთის პოლიტიკური რეალიები

პირველი გვერდიდან

## ლებედსა და სკოკოვს შორის შავმა კატამ გაირბინა

„ნეზავისიმაია გაზეტასთვის“ სარწმუნო წყაროებიდან ცნობილი გახდა, რომ ლებედმა გადაწყვიტა, საბოლოოდ გაწყვიტოს კავშირი სკოკოვთან და რუსეთის დემოკრატიული პარტიის იმ ნაწილთან, რომელიც სერგეი გლაზიევის უკან დგას. ლებედი იმედს ძირითადად ამ პარტიის აქტივისტებზე დაამყარებს, რომლებიც ორიენტაციას გოვორუხინზე აკეთებენ. ოფიციალურად ამის შესახებ ერთი თვის მერე გამოცხადდება. ნ.გოვორუხინს მიაჩნია, რომ თუ გოვორუხინის პარტიის იმიჯმეიკერები მოახწრებენ ჩატარებულ არჩევნებში დაშვებული შეცდომების გამოსწორებას, ლებედს ქვეყნის მისი ხიბლით მოჯადოების მეორე შანსი ექნება. თუმცა, გაზეთი ეჭვობს, რომ ბევრი გამოჩნდება ისეთი, ვინც ლებედზე გააკეთებს არჩევანს.

## შესაძლებელია, პოლიტიკურ ბრძოლაში საჰაერო-სადესანტო ჯარებიც ჩაებან

„საჰაერო-სადესანტო ჯარების ნაწილების დაქვემდებარების შეცვლას, რომელიც გრაჩოვის №070 სკანდალური ბრძანების თანახმად განხორციელდება, პოლიტიკური სარჩული უდევს საფუძვლად“, — მიაჩნია „ნეზავისიმაია გაზეტას“ მიმომხილველს. ამგვარი ვითარების მიზეზს თავდაცვის სამინისტროს კარგად ინფორმირებული წყაროები მომავალ არჩევნებს უკავშირებენ კრემლის მიერ ოპოზიციის კანდიდატის გამარჯვების არცნობის შემთხვევაში, გამორიცხული არ არის პირდაპირი საპრეზიდენტო მმართველობის შემოღება. პოლიტიკოსებს შორის „საქმის გარჩევაში“ ჩამრევ ერთადერთ ძალად დარჩება ჯარი. მაგრამ არა მთლიანი, არამედ საომრად შედარებით მზად მყოფი ნაწილი — საჰაერო-სადესანტო ჯარები.

## ელცინი და ჩერნომირდინი — რუსეთის ფედერაციის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის აგენტები თუ პირიქით?

„იზვესტია“ აქვეყნებს გაზეთ „პრავდას“ ჟურნალისტების ჯგუფის მიმართვას, რომელთაც არა აქვთ საკუთარი გაზეთის გვერდებზე აზრის გამოთქმის საშუალება. მათ მიაჩნიათ, რომ „კოზირევის, ფილატოვის, ჩუბაისისა და შუმეიკოს გადადგომა შეიძლება განხილულ იქნას მხოლოდ და მხოლოდ, როგორც დაპირებების შესრულება, რუსეთის ფედერაციის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობის მიერ მმართველობის სათავეში მდგომთა მხარდაჭერის პირობა“.

## „ოსტანკინოს“ ყოფილი გენერალური დირექტორის ოლეგ სლაბინკოს მკვლელობის შესახებ

როგორც „მოსკოვსკაია პრავდა“ იუწყება, ოპერმუშაკები, რომლებიც გამოიძიებას აწარმოებენ, არ გამორიცხავენ, რომ მომხდარ ფაქტს, შესაძლოა, კავშირი ჰქონდეს ვლად ლისტევის მკვლელობასთან. 34 წლის სლაბინკო ტელეკომპანიას 1993 წელს ჩაუდგა სათავეში. იგი საკუთარ ბინაში ჩაცხრილეს. ბოლო ხანებში სლაბინკო მხოლოდ და მხოლოდ მისი სარეკლამო სააგენტოთი — „ვრემია, ვპერიოდ“ იყო დაკავებული. იგი, ასევე, იყო პროდიუსერი ტელეგადაცემებისა: „მომენტ ისტინი“, „პროშჩე პროსტოგო“, „ზაბიტიე იმენა“.

მილიციის თანამშრომლებმა ხაზი გაუსვეს კილერთა პროფესიონალიზმს, რომელიც „კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ მკვლელობა დაკვეთით მოხდა“.

## როგორ მიიღეს რუსეთი ევროპის საბჭოში

„იზვესტიის“ კორესპონდენტი ვარაუდობს, რომ ევროპის საბჭო შექმნის განსაკუთრებულ მექანიზმს რუსეთის მდგომარეობის გასაკონტროლებლად.

ევროპის საბჭოში რუსეთის მიღებას მხარი დაუჭირა 164 პარლამენტარმა, წინააღმდეგი იყო — 35, 15-მა თავი შეიკავა.

რუსეთის ევროსაბჭოში მიღების დაყენებული მოთხოვნით გამოვიდნენ კოლი, შირაკი და სხვები, აგრეთვე აშშ, რომელმაც ახლახანს მიიღო ამ ორგანიზაციაში დამკვირვებლის სტატუსი. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მისამართით იმუქრებოდა თვით კრემლის „ზევსიც“, რომელმაც განაცხადა, რომ მოსკოვის ევროსაბჭოს რიგებში არმიღება ხელს მისცემს ნაღდ ნაციონალისტებსა და, რატომღაც... ტერორისტებს.

„ცხოვრებაში არ მინახავს ზეწოლის და არაჯანსაღი ლობირების ასეთი კამპანია“, — აღშფოთებული აცხადებდა უხუცესი დეპუტატი — გოლისტი ჟაკ ბომელი.

ანტირუსულ ფრონტში შეიკრნენ რამდენიმე ქვეყნის დეპუტატები-კონსერვატორები, ბალტიის სახელმწიფოთა წარმომადგენლები. უკრაინის იუსტიციის მინისტრმა და მისი დელეგაციის წევრმა ს.გოლოვატიმ მოსკოვის მიღება ნაადრევად მიიჩნია. ჩეხეთის 7 დეპუტატიდან მხოლოდ ორმა მისცა ხმა რუსეთის მიღებას.

ზოგიერთი პარლამენტარი კულუარებში ამბობდა, რომ რუსეთი „გამასწორებელ სახლში“ მოხვდა. სწავლისთვის მას მოუწევს ყოველწლიური გადასახადის გადახდა, რომელმაც, ზოგიერთი მონაცემით, შესაძლოა, 20-25 მილიონ დოლარს მიაღწიოს.

## ვინ გახდება რუსეთის პრეზიდენტი?

ბორის ელცინს, ფაქტობრივად, დაწყებულიც არ ჰქონდა წინასაარჩევნო კამპანია, რომ, პრაქტიკულად, დამარცხდა. უფრო სწორად, დამარცხდა „80-90 პროცენტით“, — მიაჩნია „ნეზავისიმაია გაზეტას“ მიმომხილველს. ხოლო „იზვესტიის“ მიმომხილველი საეჭვოდ მიიჩნევს არა მხოლოდ ელცინის, არამედ ზიუგანოვის გამარჯვებასაც და მათ „წარსულის ტყვეებს“ უწოდებს — „უფრო მეტადაა მოსალოდნელი, რომ მეორე ტურში სამიდან ორი გავა: ყირინოვსკი, ლებედი, იაველინსკი, თუ, რაღა თქმა უნდა, არჩევნები საერთოდ შედგა“.

## მოსკოვში გრძელი პოლიტიკური ზამთარია მოსალოდნელი

„ვაშინგტონ პოსტს“ მიაჩნია, რომ რუსეთში მიმდინარე ცვლილებებს, ჩეჩნეთის მოვლენებზე უკეთ, ელცინის გუნდის დრეიფი ასახავს. მოლაპარაკებები საერთაშორისო სავალუტო ფონდის 9 მილიარდი დოლარის ოდენობის სესხის თაობაზე სირთულეებს აწყდება.

აშშ კონგრესმა თეთრ სახლში გაგზავნა სპეციალური აქტი, რომელიც მოითხოვს — სენატისა და წარმომადგენელთა პალატის ყველა სარატიფიკაციო საქმიანობა ჩაითვალოს ძალადაკარგულად, თუ რუსეთის სახელმწიფო სათათბირო რატიფიკაციას არ გაუკეთებს აშ შეთანხმებას.

## რუსეთში ფარულად ისმინება 7,5 მილიონი მოქალაქის ტელეფონი

ამიერიდან, სპეცსამსახურებისა და ფარული მოკვლევის ორგანოების მუშაობის კოორდინაცია, რომლებიც იყენებენ ჩუმად მოსასმენ აპარატურას ოპერატიული ინფორმაციის მოსაპოვებლად, უშიშროების ფედერალურ სამსახურს დაეკისრა, — აღნიშნავს „მოსკოვსკიე ნოვოსტი“.

პრეზიდენტის უახლოეს გარემოცვაში მყოფი წყაროს თქმით, ეს სამუშაო ელცინის კონტროლს აღარ ექვემდებარება.

დამოუკიდებელ ექსპერტთა მონაცემებით, არასანქციონირებული სატელეფონო მოსმენის „მსხვერპლი“ დაახლოებით 7,5 მილიონი ადამიანი გახდა. აბონენტის მოსმენის ერთი თვე 3,5 მილიონი რუბლი ჯდება. ამჟამად სპეცსამსახურებს ნაკლებად აინტერესებთ სახელმწიფო საიდუმლოებების გამჟღავნება და უფრო მეტად ცდილობენ, ან კომერციული ინფორმაციის გამოტყუებას, ან მსხვერპლის აკრძალული ილეთებით შანტაჟირებას.

კრემლსა და საგარეო საქმეთა სამინისტროში ჩინოვნიკები, როგორც წესი, ტელეფონით აღარ უკავშირდებიან ერთმანეთს სამსახურებრივი ან პოლიტიკური საკითხების მოსაგვარებლად, მაღალ სამთავრობო კაბინეტებში კი საერთოდ ეშინიათ ხმამაღალი კონფიდენციალური საუბრისა და მიმოწერას ამჯობინებენ.

ნინო ვიბლიანი

საქართველოს პარლამენტის აპარატი

# ცვლილებები პარლამენტის პლენარული სხდომების გარდა აპარატსაც დაეტყო...

**საქართველოს პარლამენტის 5 ნოემბრის არჩევნებს უამრავი თვალშისაცემი ცვლილება მოჰყვა — გარდა იმისა, რომ პლენარული სხდომები გასართობ შოუს აღარ ჰგავს, შეიცვალა მუშაობის სტილი და სტრუქტურა, როგორც თვით აპარატის წარმომადგენლები ამბობენ, უფრო დახვეწილი და საქმიანი ურთიერთობები ჩამოყალიბდა ახლადშექმნილ კომიტეტებსა თუ განყოფილებებში.**

**საქართველოს მოქალაქეთათვის გასაგები რომ იყოს, რა სტრუქტურით მუშაობს დღევანდელი უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს აპარატი, გვესაუბრება პარლამენტის აპარატის უფროსი ხათუნა გოგორიშვილი.**

■

საქართველოს პარლამენტის აპარატის ფუნქცია პარლამენტის მუშაობაში ძალზე მნიშვნელოვანია. მან უნდა შეუწყოს ხელი უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს წევრებს, მთლიანად პარლამენტს, კანონშემოქმედებით საქმიანობაში; უზრუნველყოს ისინი ნებისმიერი ინფორმაციით; მიაწოდოს ყველა საჭირო დოკუმენტი და შეუქმნას მუშაობისთვის აუცილებელი პირობები.

აპარატი პირობითად შეიძლება დაიყოს რამდენიმე ნაწილად — **ადმინისტრაციული ნაწილი, კომიტეტების აპარატი და ფრაქციული აპარატი.**

წინა პარლამენტის მუშაობის პერიოდში აპარატში ცალ-ცალკე განყოფილებები არსებობდა. დღევანდელმა აპარატმა განყოფილებები გააერთიანა საქმიანობის სფეროსა და ერთმანეთთან კავშირის მიხედვით და ამ გაერთიანებებს დეპარტამენტები ეწოდა.

## საპარლამენტო დეპარტამენტები

დღეს საქართველოს პარლამენტში 8 დეპარტამენტი და მათში შემავალი რამდენიმე განყოფილებაა.

**1). პოლიტიკური დეპარტამენტი.** მასში გაერთიანებულია 3 განყოფილება და ერთი ჯგუფი. ესენია: **ა) საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილება; ბ) პოლიტიკურ ურთიერთობათა განყოფილება; გ) საზოგადოებრივი აზრის შესწავლისა და პოლიტიკური მარკეტინგის განყოფილება და ა) პროტოკოლის ჯგუფი.**

ამ დეპარტამენტის განყოფილებებიდან ორი ახალი ჩამოყალიბებულია. ისინი წინა პარლამენტში არ არსებობდნენ (პოლიტიკურ ურთიერთობათა განყოფილება და საზოგადოებრივი აზრის შესწავლისა და პოლიტიკური მარკეტინგის განყოფილება), ერთს კი სახელი გადაერქვა მისი ფუნქციიდან გამომდინარე. საქმე ისაა, რომ წინა პარლამენტში არსებული საპარლამენტთაშორისო ურთიერთობის განყოფილებას გარდა პარლამენტებთან ურთიერთობისა, კავშირი ჰქონდა სხვა ქვეყნების არასამთავრობო ან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ამიტომ მას სახელი გადაერქვა და ეწოდა საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილება.

**ხათუნა გოგორიშვილი: „მოგეხსენებათ, რომ არჩევნებში 54 პოლიტიკური პარტია იღებდა მონაწილეობას, ამას გარდა, არსებობენ პარტიები, რომელთაც არჩევნებში მონაწილეობის რეგისტრაციაზე უარი ეთქვათ. ამიტომ, რადგან პარლამენტს გარეთ დარჩენილი პოლიტიკური ძალა მნიშვნელოვანია საქართველოსთვის, მათ უნდა ჰქონდეთ საშუალება, ითანამშრომლონ პარლამენტთან.**

გარდა იმისა, რომ მათ სჭირდებათ **ინფორმაცია, რა საკითხს იხილავს პლენარული სხდომა და რა გადაწყვეტილებას იღებს ესა თუ ის კომიტეტი, არსებობს შემოთავაზებები მათი მხრიდან — მიიღონ მონაწილეობა ამა თუ იმ კანონის ან საკითხის მომზადებაში. ამის მაგალითი გვქონდა სულ ახლახანს, როცა საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი განიხილავდა რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულებას.**

**სწორედ ამ საკითხების მოგვარებას ემსახურება პოლიტიკურ ურთიერთობათა განყოფილება, რომელიც ერთგვარი ხიდი იქნება პარლამენტსშიდა და გარე პოლიტიკურ სპექტრებს შორის“.**

ახალი ჩამოყალიბებულია, აგრეთვე, საზოგადოებრივი აზრის შესწავლისა და პოლიტიკური მარკეტინგის განყოფილება. იგი სწავლობს, რა ინფორმაციაა მოსახლეობაში, ცნობილია თუ არა, რას აკეთებს პარლამენტი, რა საკითხს იხილავს პლენარული სხდომა და რა ინფორმაციას ფლობს ნებისმიერ საკითხზე. ასეთი გამოკითხვა ჩატარდა, მაგალითად, რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულების რატიფიკაციის და ეროვნული უშიშროების საბჭოს კანონის მიღების თაობაზე.

**2) საორგანიზაციო დეპარტამენტი.** შეიძლება ითქვას, ყველაზე მძიმე და მნიშვნელოვანი სამუშაო, რაც კი პარლამენტშია, ამ დეპარტამენტზე მოდის. იგი აგვარებს ყველა წვრილმან საკითხს, დაწყებული სხდომებზე მიკროფონების ჩართვა-გამორთვიდან, დამთავრებული პლენარული სხდომისთვის კანონპროექტის მომზადებით. როგორც აპარატის უფროსი ამბობს, ამ დეპარტამენტში იმდენად გამოცდილი სპეციალისტები მუშაობენ, არც სჭირდებათ ზედმეტი მითითება. ყველამ იცის, რომ ერთი წვრილმანი რგოლის ჩავარდნით, შესაძლოა, სხდომა ჩაიშალოს. ამიტომაც დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებიან საქმეს.

**3) იურიდიული დეპარტამენტი.** წინა პარლამენტში არსებობდა სამართლებრივი სამმართველო. ახლა ეს სამმართველო, რომელიც თავის მხრივ ორ განყოფილებას — **კანონპროექტთა ექსპერტიზის და ვიზირების და კანონშემოქმედებითი კოორდინაციის განყოფილებებს** აერთიანებს, იურიდიულ დეპარტამენტში შედის.

**ა) კანონპროექტთა ექსპერტიზის და ვიზირების განყოფილება** ჩართულია კანონპროექტთა მომზადების პროცესში. იგი დაკომპლექტებულია იურისტებით, რადგან კანონების შემუშავებას, გარდა დარგობრივი სპეციალისტების კომპეტენტური აზრისა, სჭირდება კომპეტენტური იურიდიული ფილტრი, რაც უზრუნველყოფს საქართველოს პარლამენტის მიერ მომზადებული კანონპროექტების ერთიან და გამართულ იურიდიულ ფორმასა და ტექნიკას.

ყოველივე ეს უნდა უზრუნველყონ ამ განყოფილების თანამშრომლებმა და მოწვეულმა ექსპერტებმა.

**ბ) კანონშემოქმედებითი კოორდინაციის განყოფილება** უზრუნველყოფს, რომ კომიტეტების საკანონმდებლო მუშაობა იყოს კოორდინირებული, თითოეულ დეპუტატს ჰქონდეს ყოველდღიური ინფორმაცია, რომელ კომიტეტში რა საკითხი იხილება. ამასთანავე, ამ განყოფილებამ მონაწილეობა უნდა მიიღოს საკანონმდებლო მუშაობის დროს პრიორიტეტული საკითხების განსაზღვრაში და პლენარული სხდომების სამუშაო გეგმის მომზადებაში.

**გ) სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილება.** იგი წინა პარლამენტშიც არსებობდა. ამ განყოფილებამ უნდა მოიპოვოს მთელი სამართლებრივი ინფორმაცია, რაც არსებობს საქართველოს გარეთ და მიაწოდოს იმ კომიტეტებს, რომლებიც შესაბამის სფეროებში მუშაობენ.

**ხათუნა გოგორიშვილი: „ეს საქმე დაწყებული იყო წინა პარლამენტშიც, მაგრამ იმ პერიოდში კავშირი არსებობდა მხოლოდ დსთ-ს ქვეყნებთან, საიდანაც მოდიოდა ბიულეტენები, რომლებიც მათ პარლამენტში მიმდინარე პროცესებს ასახავდა. რაც შეეხება ევროპულ ქვეყნებს, მათ შესახებ სისტემატური ინფორმაცია არ მოდიოდა და დამოკიდებულნი ვიყავით მხოლოდ იმ ინფორ-**

გაგრძელება მე-5 გვ.

პრესკონფერენცია

# სასწაულს არავინ მოელის, მოსახლეობა ელემენტარულს მოითხოვს

**დედაქალაქის ელექტროენერგიით მომარაგებაში შექმნილი კრიზისული მდგომარეობა უკიდურესად ძაბავს სიტუაციას. მწვავე ელექტროდეფიციტის გამო გაჩერებულია საწარმოები, დიდი შეფერხებებია წყალმომარაგებაში თბილისის გარეუბნებში, მასივებში ელექტროგანათება, ფაქტობრივად, არ არის. ცალკეულ უბნებს ან საერთოდ 3-4 დღე არ მიეწოდება ელექტროენერგია, ან, უკეთეს შემთხვევაში, დღეღამის განმავლობაში ერთი-ორი საათი აქვთ სინათლე. ყოველივე ზემოთ აღნიშნულს თან ერთვის გარე ვაჭრობების გამო დაბინძურებული ქუჩები, სავაჭრო და საკვანძო ცენტრებში მძვინვარე ანტისანიტარია. დედაქალაქის იერსახის და საერთო მდგომარეობის გასაუმჯობესებლად მერიამ უამრავი ბრძანებულება და დადგენილება მიიღო, მაგრამ ყოველდღიურ ყოფაში იქმნება შთაბეჭდილება, რომ რეალურად დედაქალაქი ინერციით ცხოვრობს. გამკითხავი, პასუხის მომთხოვნი, პატრონი არავინაა. გაზაფხულზე და ზაფხულში ცხოვრების წესი საგრძნობ სასიკეთო ხასიათს იცვლის, მაგრამ შემოდგომა-ზამთრის პერიოდი აგერ უკვე მერამდენე წელია დრამატულია დედაქალაქის მოსახლეობისთვის. სადღეისოდ ქალაქში არსებული სოციალურად მძიმე გარემო მკვეთრ უარყოფით ზეგავლენას ახდენს მოსახლეობის ფსიქიკაზე. პროცენტულად იმატა ფსიქიურმა გართულებებმა. ასე თუ გაგრძელდა, მალე რეალურად დავდგებით სოციალური აფეთქების საფრთხის წინაშე. სასწაულს არავინ მოელის, საუბარია შექმნილ სიტუაციაში საერთო მდგომარეობის მინიმალურად მაინც გაუმჯობესებაზე. კერძოდ, ქალაქისთვის მოწოდებულ ელექტროენერგიის ყველა რაიონისთვის თანაბრად გადანაწილებაზე, რეალური გრაფიკების შედგენაზე და მის სტაბილურ დაცვაზე.**

**დედაქალაქის ენერგომომარაგებაში, წყალმომარაგებაში და ქალაქის დასუფთავებაში შექმნილი პრობლემების გამო, 2 თებერვალს ქალაქის მერიის პრესცენტრმა პრესკონფერენცია გამართა. მასმედიის წარმომადგენლებს შეხვდნენ რაიონის გამგებლები, საზოგადოების წარმომადგენლები, მერიის ვიცე-პრემიერები, „საქენერგოს“ და „თელასის“ თანამშრომლები.**

**შოთა მაისურაძე,** „საქენერგოს“ თავმჯდომარის მოადგილე: **„სადღეისოდ ენერგეტიკაში დაძაბული სიტუაციაა. ჰიდროელექტროსადგურებზე, წყლის მარაგი მინიმალურია, ელექტროენერგიის შესაძლო გამომუშავება არ აღემატება 2,5 მილიონ კილოვატსაათს. ძირითადი მაგენერირებელი წყარო „თბილსრესია“. მუშა მდგომარეობაშია ხუთი ენერგობლოკი — შესაძლო გამომუშავება დაახლოებით 10-12 მილიონ კილოვატსაათია. სადღეისოდ, არსებული რესურსების დაჯამებით დღეღამური გამომუშავება 15-16 მილიონ კილოვატსაათს შეადგენს. 16 მილიონ კილოვატსაათი — ეს არის დაახლოებით 40 პროცენტი იმ რესურსისა, რაც დღეს საჭიროა რესპუბლიკის მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის.**

**პაატა ბაბრიჩიძე,** „თელასის“ გენერალური დირექტორი: **„სადღეისოდ ქალაქს ელექტრომომარაგებისთვის საჭირო რაოდენობის მესამედი მიეწოდება. უგაზობის პირობებში, როცა განათების და გათბობის ერთადერთი საშუალება ელექტროენერგიაა, ქალაქს 600-650 მეგავატი ელექტროენერგია ესაჭიროება. იანვარში დედაქალაქს 200 მეგავატი მიეწოდებოდა. არის დღეები, როცა ეს ციფრიც დაბლდება. დღეს ქალაქს 160 მეგავატი მიეწოდება. მხოლოდ სასიცოცხლო დანიშნულების ობიექტებისთვის 180 მეგავატია საჭირო. სადღეისოდ ქალაქისთვის მოწოდებული სიმძლავრე, სიტუაციის სტაბილიზაციის საშუალებას არ იძლევა. სიმძლავრის გაზრდის მიზნით ქალაქის მასშტაბით მთლიანად შეცვლილია 502 ძალოვანი ტრანსფორმატორი“.**

შეხვედრაზე ენერგეტიკოსებმა აღნიშნეს, რომ სასწრაფოდ უნდა მოგვარდეს დახარჯული ელექტროენერგიის საფასურის მოსახლეობიდან და საწარმოებიდან სწრაფად და რეგულარულად ამოღების საკითხი. თუმცა, „საქენერგოს“ და „თელასის“ ერთობლივი ცენტრალიზებული მუშაობა ექსტრემალურ პირობებში ქალაქში ელექტრომომარაგების პრობლემის მოგვარებას ისახავს მიზნად. მდგომარეობას ართულებს საქენერგოს უსახსრობა, რეგიონების თვითნებობა, რომლებიც არ ემორჩილებიან „საქენერგოს“, ელექტროენერგიის რესპუბლიკის რაიონებზე განაწილების ცხრილს არ იცავენ და დედაქალაქისთვის განკუთვნილ სიმძლავრეს ითვისებენ. აღინიშნა, რომ ქალაქის საკაბელო მეურნეობა წესრიგშია მოყვანილი, ენერგოქსელიდან გამხოლოებულია ჯანდაცვის, პურპროდუქტების კორპორაციის, კავშირგაბმულობის ობიექტები (სატელეფონო სადგურები). გამხოლოებულია წყალსადენის სათავო ნაგებობები, საავადმყოფოები, თეატრები, გამომცემლობები. მოწესრიგებულია თითქმის ყველა ქვესადგური და ელექტროენერგიის სრული მოწოდების პირობებში „თელასი“ მზადაა შეუფერხებლად — ასი პროცენტით გამართულად მოემსახუროს ქალაქს. სადღეისოდ თბილისის სამ რაიონში დაზიანებული ორ-ორი ძალოვანი ტრანსფორმატორი და ორ-სამ დღეში ეს დაზიანებებიც აღმოიფხვრება.

**იუზა ცარციძე,** თბილისის „წყალკანალის“ უფროსი: **„ენერგოკრიზისმა მეტად სერიოზული გავლენა იქონია ქალაქის წყალმომარაგებაზე. რაიონებში მწვავედ იგრძნობა შეფერხებები. შეწყვეტილი ელექტრომოწოდების აღდგენის შემდეგ მოსახლეობისთვის წყლით მომარაგების განახლებას 3-4 საათი სჭირდება. წყლის ტექნოლოგიურად გაწმენდის პროცესის აღდგენას — 4-5 საათი. ენერგეტიკოსებს ვთხოვ, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ წყალმომარაგების ობიექტების ელექტროენერგიით მომარაგებას. თორემ თუ ენერგოკრიზისს წყალმომარაგების კრიზისიც დაემატა, ქალაქში სერიოზული გართულებები წარმოიქმნება“.**

წყალკანალის უფროსმა განსაკუთრებით ხაზგასმით აღნიშნა, რომ გაზის, ელექტროენერგიის, წყლისმოხმარების საფასურის გადახდა აუცილებელია. ყველა ეს საკითხი საერთო ჯამში პროცესების გაჯანსაღების წინაპირობაა.

რაიონების გამგებლებმა, სამგორის, ვარკეთილის რაიონების საკაბელო ტელევიზიის წარმომადგენლებმა მწვავედ ისაუბრეს უბნებში არსებული ენერგოპრობლემების შესახებ.

ქალაქის ყველა რაიონისთვის ელექტროენერგიის თანაბრად მიწოდების სისტემის შექმნა, გრაფიკით გათვალისწინებულ საათებში ელექტროენერგიის მიწოდების სტაბილიზაციის მისაღწევად რადიკალური ზომების მიღება, მოსახლეობიდან გადასახადების ამოღების რეალური ცხრილის სასწრაფოდ დამუშავება მოთხოვეს ენერგეტიკოსებს.

ხათუნა რეხვიაშვილი

«კავკასიონის» ლიტერატურული გაზეთი

# არილი

3 თებერვალი, 1996 წ.



ნიშან-თვისებები, რომლებიც მიხეილ ჯავახიშვილის ნიჭის არსს შეადგენს, ტრადიციულად არ დომინირებს ქართულ მხატვრულ აზროვნებაში. ეს არის მიდრეკილება ადამიანის სახის მკვეთრი დეპეროიზაციისკენ, ადამიანის „შიშვლად“ ხილვისკენ, ცხოვრების ხედვის ხაზგასმული, მკაცრი მიწიერება, რომელიც ავიწროებს ამაღლებულ-რომანტიკულ საწყისს, ამ ხედვის ბასრი ირონიულობა, სუსხიანი სკეპტიკურობა, ქართული სინამდვილის კრიტიკული აღქმა...

VIII

## გარდაიცვალა იოსიფ ბროდსკი



31 იანვარს მიწას მიაბარეს თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი პოეტის, იოსიფ ბროდსკის ნეშტი.

VI

პოეზია

## ომარ თურმანაული

# ბეწინას

ჩვენ რომ შეგვეძლოს სიმართლის ართქმა
და ეშმაკობაც გვქონდეს მცირედი,
ვინ ვიქნებოდით არ იცის კაცმა
(არ ვიქნებოდით ნაღდად მწირები)!...

შევიქნებოდით ქვეყნის მეუფედ
სასახლეებით, ჩრდილით, ჰამაკით...
მოვევლებოდით თავზე ეიფელს,
გადმოვხედავდით პარიზს ამაყად;

არ ვიფიქრებდით: ,,აბა, მამალმა
არ დაგვასწროსო‘‘, ყოველ ალიონს,
გვეყოლებოდა ალბათ ამალა
ვინც მოგვართმევდა ყავას, ყალიონს...

ლამაზები და ასე მაღლები
შევძრავდით გულებს ათასი ლედის,
არ გახდებოდა სოფლის ძაღლების
საყეფ-საღრენად ეს ჩვენი ბედი.

მაგრამ ეშმაკთან ვერ ვყარეთ წილი,
თუმც უცოდველი კაცი არ ივლის...
დნება ოცნება ჩვენი, ვით ცვილი,
და ქრება, როგორც თოვლში მარილი;

მიმოგვაქვს მთვრალებს მისი ნარჩენი
და მისი ფანტვით გულებს ვიქარვებთ,
ვერც ცოლ-შვილები ვეღარ ვარჩინეთ,
სხვის თვალშიც თავი განვიქიქავეთ;

და ჩვენს მწირ დღეებს ასე მივდენით,
ფრენის სურვილით თავებს ვიწამებთ...
ჩვენ ეშმაკობა არ გვაქვს იმდენი,
რომ მყარად დავდგეთ დედამიწაზე.

16 ივნისი, 95 წ. ხილიანა

VII

# პირველად ქართულ ენაზე

## ტომას სტერნზ ელიოტი

# „ჯ. ალფრედ პრუფროკის სასიყვარულო სიმღერა“



# „ფერფლის ოთხშაბათი“

## პოემა

## ზვიად რატიანი

# მცირე განმარტებანი ტ. ს. ელიოტის „ფერფლის ოთხშაბათისთვის“

1910 წელს ელიოტი ტოვებს ამერიკას და სწავლის გასაგრძელებლად ევროპაში მიემგზავრება, ხოლო 1914 წლიდან სამუდამოდ მკვიდრდება ლონდონში. მისი პირველი პოეტური კრებული „ Prufrock And Other Observations“ (“პრუფროკი და სხვა დაკვირვებანი“) 1917 წელს გამოიცა. 10-იანი წლების მიწურულს მან მიიპყრო მკითხველთა ყურადღება, როგორც სერიოზულმა ლიტერატურულმა კრიტიკოსმა. სწორედ ამ პერიოდში იწერება მისი გახმაურებული თეორიული ნაშრომი „ტრადიცია და პიროვნული ნიჭიერება“, რომელმაც უდიდესი გავლენა იქონია ინგლისურენოვანი მოდერნისტული პოეზიის განვითარებაზე, ხოლო 1922 წელს გამოქვეყნებულმა პოემამ „უნაყოფო მიწა“ ტ. ელიოტს საბოლოოდ დაუმკვიდრა მოდერნისტული პოეზიის ლიდერის სახელი.

1927 წელს პოეტი ხდება ინგლისის მოქალაქე და იღებს ანგლო-კათოლიციზმს, რაც დიდ გავლენას ახდენს მის შემოქმედებაზეც: უნაყოფობისა და უსასოობის მოტივები, რომლებიც მძლავრობდნენ მის ძირითად ნაწარმოებებში (“სამიჯნურო სიმღერა ჯენტლმენ ალფრედ პრუფროკისა“, 1917; „ჯერონშენი“, 1919; „უნაყოფო მიწა“, 1922; „ფუტურო ხალხი“, 1925.), იცვლება იმედით, და ეს იმედი რწმენაშია, რომელსაც მიელტვის „ფერფლის ოთხშაბათის“ (პოემის, რომელიც, 1943 წელს გამოცემულ „ოთხ კვარტეტთან“ ერთად, ყველაზე ნათლად ასახავს ელიოტის რელიგიურ და ფილოსოფიურ შეხედულებებს) მონანიე ლირიკული გმირი.

II III

## ზაზა თვარაძე



პროზა

IV V

ანონსი




ოთარ ჭილაძის ახალი რომანი

# «აველუმი»

უახლოეს ნომერში შემოგთავაზებთ

ნაწყვეტს რომანიდან

## ტომას სტერნზ ელიოტი

# ფერფლის ოთხშაბათი

## I

რამეთუ არ მაქვს მე იმედი შემობრუნების
რამეთუ არ მაქვს მე იმედი
რამეთუ უკან დაბრუნების არ მაქვს იმედი
აღარც მოველი, რომ კაცთაგან ვინმე რამეს ძველებურად გამოიმეტებს
და ცდად რომ არ ღირს რაიმეს ცდა, ამასაც ვხვდები
(სთქვი, ბებერ არწივს უწინდელი ვინ მისცეს ფრთები?)
რად მივსტიროდე
საცდუნებელს დაკარგული ძალაუფლების?
რამეთუ არ მაქვს მე იმედი შევიცნო კვლავაც
წამიერებით დაღდასმული ფუჭი დიდება
რამეთუ აღარც მეფიქრება
რამეთუ ვიცი, რომ არასდროს მეცოდინება
წარმავალობად წოდებული ერთადერთი ჭეშმარიტება
რამეთუ აღარ მიმესვლება
იქ, სადაც თრთოდნენ ყვავილები, მღერდნენ წყარონი, ოდეს წალკოტი
ალუგვია ჟამთა დინებას
რამეთუ ვიცი: დრო მუდამ დროა
ადგილი არის ადგილი და მხოლოდ ადგილი
და თუ რამაა ჭეშმარიტი, განსაზღვრულია ერთი დროით
ერთი ადგილით
და ვკმარობ იმას, რაც მებოძა, და ვიღიმები
და ამიტომაც უარვყავი ნეტარი სახე
ხმაც უარვყავი ამავ მიზეზით
რამეთუ უკან დაბრუნების არ მაქვს იმედი
მე ვმხიარულობ, და თვითონვე უნდა შევქმნა რამე ისეთი
რაიც რომ მალხენს
და შევსთხოვ უფალს, რომ გაიღოს წყალობა ჩვენთვის
და ვვედრებ, იქნებ დავიწყება შემაძლებინოს
ყველაფრის, რასაც მუდამ ასე გულდასმით ვჩხრეკდი
რომ ამ ყველაფერს
დღის ნათელი მიმოეფინოს
რამეთუ უკან დაბრუნების ვერ ვპოვებ იმედს
დე ამ სიტყვებმა დაასრულონ ერთხმად, სრულებით
ის, რაც დასრულდა, და არ გახდეს ხელმეორედ დასასრულები
და ჩვენი ბოლო განაჩენიც არ იყოს მძიმე
რამეთუ ჩემს ფრთებს აღარ ძალუძთ მსუბუქად ფრენა
და საწყალობლად ირწევიან ცაში, რომელიც
არის მცირე და არის მშრალი
ჩვენს ჩლუნგ ნებაზე ბევრად მცირე და ბევრად კრული
გვასწავლე ზრუნვა და სხვის ჭირზე დახუჭვა თვალის
გვასწავლე, როგორ მოვიპოვოთ სიმშვიდე სულის.
ილოცე ჩვენთვის, ცოდვილთათვის, აწ და ჟამს ჩვენი სიკვდილისას
ილოცე ჩვენთვის აწ და ჟამს ჩვენი სიკვდილისას.

## II

ო ქალბატონო, სამი თეთრი ლეოპარდი მიწოლილა ღვიის ბუჩქის ქვეშ,
შუადღის ჩრდილში მიწოლილან და ინელებენ
ჩემს ფეხებს, გულღვიძლს, და ყველაფერს, რასაც იტევდა
ჩემი ფუტურო თავის ქალა. და ბრძანა ღმერთმა:
ან თუ აღადგენს სიცოცხლე ამ ძვლებს? ან თუ აღადგენს
სიცოცხლე ამ ძვლებს? და ყოველივემ, რაც სუფევდა
ძვლებში (აწ უკვე გამომხმარში) იწყეს ჭიკჭიკი:
რამეთუ ჩვენი ქალბატონი გულმოწყალეა,
რამეთუ ჩვენი ქალბატონი მშვენიერია, რამეთუ იგი
წმინდა ქალწულს ეთაყვანება —
ვკაშკაშებთ ასე, და ველვარებთ, ვაფრქვევთ სინათლეს. და მე,
რომელიც ამა ძვლებში ვიგულისხმები,
საქმეებს ჩემსას გავიმეტებ დავიწყებისთვის, ვუძღვნი სიყვარულს
უდაბნოთა შთამომავალთ, მწიფობას კვახის.
მხოლოდღა ამით აღდგინდება
ნაწლავნი ჩემნი, გადახლართულ-გადანასკვულნი, და თვალთა ჩემთა
უგემური ასო-ნაწილნი,
ლეოპარდისგან წუნდებულნი, არმირთმეულნი. ო, განგვერიდა ქალბატონი,
თეთრით მოსილი,
თეთრი სამოსით შემოსილი, ფიქრს მიცემული.
დე სიქათქათემ ჩემთა ძვალთა ჩემი წილი დავიწყება გამოისყიდოს.
უსიცოცხლოა ესე ძვალნი. და როგორადაც ახლა მე ვარ დავიწყებული,
და ვით ვისურვე, ვყოფილიყავ დავიწყებული, თავად იმგვარი
დავიწყებით აღვიჭურვები
და თვითშეწირვით მოვიპოვებ მიზანს სანუკვარს. და ბრძანა ღმერთმა:
ქარს, მხოლოდ ქარს, ქარს უქადაგე, რამეთუ შენი შემსმენელი
მხოლოდ ქარია. და ახმიანდნენ მაშინ ძვლები,
როგორც მძიმე კალიები, ასე მოსთქვამდნენ
მდუმარებათა ქალბატონო
უშფოთველო და სასომიხდილო
დაფლეთილო და განუყოფელო
ვარდო ხსოვნისა
და დავიწყების
მოქანცულო და ცხოველმყოფელო
განრისხებულო და უდრტვინველო
ვარდო ეულო
ბაღად ქცეულო
სად სიყვარული აღესრულება
სად აღსრულდება ტანჯვა ყოველი
იმედნაკლული სიყვარულისა
და ტანჯვა ბევრად გაუსაძლისი
გამართლებული ტრფობის წყლულისა
სად დასრულდება დაუსრულები
და არაფრისკენ მსწრაფი ხეტება
სად ყოველივე დაუსრულები
მიიწურება და აღსრულდება
სად მიუწვდება თქმა უთქმელისა
სათქმელ სიტყვების ართქმაც სრულდება
დიდება შენდა მფარველო დედავ
ამ ბაღისათვის
სიყვარული სადაც სრულდება.

ღვიის ბუჩქის ქვეშ მღეროდნენ ძვლები, მიმოფანტულნი, მოელვარენი —
ჩვენ გვიხარია, რომ მიმოგვფანტეს, ცოტა რამ გვახსოვს
სასიკეთო ერთმანეთისგან
და აქ, ბუჩქის ქვეშ, შუადღის ჩრდილში, ფხვიერი ქვიშის ლოცვა-კურთხევით
ვივიწყებთ ერთურთს, და თავს ჩვენსას, ვივიწყებთ სხვებსაც,
გვაერთიანებს აწ სიმშვიდე უდაბნოისა. ესაა მიწა, დაჰყავით და
დაინაწილეთ. თუმცა, გინდ დაჰყავი, გინდაც არა —
მაინც ერთია. ესაა მიწა. ერთადერთი მემკვიდრეობა.



## III

როს ფეხი შევადგი მეორე საფეხურს,
გმინვა შემომესმა, იქით წავიხარე —
შევკრთი, სილუეტი ვიხილე როდესაც,
სწორედ ჩემნაირი რომ ჰქონდა ნაკვთები,
არ შეპუებოდა შმორსა და სიმყრალეს,
მოაჯირს აკვროდა ძლივსღა მოლასლასე,
მაინც ეშმაკეულს ებრძოდა, რომელსაც
ავად უელავდა თვალები, აღსავსე
უსაზღვრო იმედით და სასოწარკვეთით.
იმავ საფეხურის მეორე გასასვლელს
გავხედე, ვერაფერს წავაწყდი ახალს:
მხოლოდ ნესტიანი სიბნელის ფარდა
კიბეს გადაკვროდა, სიბნელე ჰგავდა
უკბილო მოხუცის დორბლიან პირსა და
ზვიგენის ეშვებით გაწყობილ ხახას.
როს ფეხი შევადგი მესამე საფეხურს,
ვიხილე სარკმელი, ამ სარკმლის მიღმა
კუნელის ფოთლები ხვდებოდნენ აისს;
იქ მხარბეჭიანი ყმაწვილიც ვცანი,
რომ შემოსილიყო ლურჯით და მწვანით,
ანტიკურ ფლეიტით ხიბლავდა მაისს;
ნაზად ირხეოდნენ თმანი ბინდისფერნი,
თვალებზე სცემდნენ და თრთოდნენ,
არხევდა ნიავი ბინდისფერ დალალებს
და იასამნების ტოტებს.
ნელ-ნელა, რაც მეტად ვიწევდი მაღლა, შფოთვა და
ფიქრი და გრძნობა და დაღლა
მინელდა, მიყუჩდა, მუსიკაც გაღლვა; სასოწარკვეთაზე, იმედზე მაღალი
ძლევაი ღვთიური ვცანი
და მან საფეხური მანიშნა ახალი.

უფალო, უღირს ვარ
უფალო, უღირს ვარ

შენ ოღონდ ბრძანე.

## IV

მიმოდიოდა იისფერს და იისფერს შორის
მიმოდიოდა
სიმწვანეთა გარდამავალ ფეროვნებაში
თეთრით და ცისფრით შემოსილი, ვით მარიამი,
და საუბრობდა ამა სოფლის ათას წვრილმანზე
ვერშემცნობი და მაინც-მცნობი მარადი ტანჯვის;
ვიდოდნენ სხვებიც, და მათ შორის მიმოდიოდა,
ძალას მატებდა შადრევნებს და ნაკადულებს ანიჭებდა უცხო სიამეს.

კლდეებს უძღვნიდა მყინვარებას, ქვიშას სიმტკიცეს,
ცისფრით მოსილი, მხოლოდ ცისფრით, ვით მარიამი
Sovegna vos

აქ კი მიდიან, უთავბოლოდ მიდიან წლები, თან მიაქვთ ჟღერა
ფლეიტის და ვიოლინოსი, და აცოცხლებენ ლანდს ასულის, იქ მოარულის,
სადაც ზღვარია ძილისა და გამოღვიძების,

ასულის, ტანზე რომ მოუსხამს სინათლე თეთრი.

მოდიან წლები, და ისინი კვლავ აღადგენენ
ცრემლების დარად გაბრწყინებულ ღრუბელთა რკალში
ძველთაძველ რითმას
პოეზიის ახალი ძალით. გამოსასყიდად
დროის და ჟამის. გამოსასყიდად
გაურკვეველ ხილვებისა უზენაეს სიზმრების თვალით,
სადმე კი, ახლოს, სადაც მეტი არის ტალახი, მიაგორებენ
მარტორქები ოქროს ბალდახინს.

...დაი, თეთრ-ცისფერი რომ მოუსხამს ტანზე ზეწარი,
...ლს ჩაუვლის, ბალის ღმერთსაც გვერდს აარიდებს —
...ებული რომ უპყრია ხელში საკრავი, და გასცემს დაი
ნიშანს, რათა ისევ გარინდდეს

...ც ულერენ შადრევნები, გალობაც ისმის
...ყიდად დროის და სიზმრის
...ულ სიტყვათა მარადიულ სიმბოლოების
...იდრემდის ქარი ურთხელს შემოაცლის ჩურჩულს ხმამრავალს

...ს მერეც, როს აქედან განვიდევნებით

## V

...დაკარგული თუ დაკარგულია, სიტყვა გაფლანგული თუ გაფლანგულია
...არსმენილი და სიტყვაართქმული
...მენილია და თუ ართქმულია,
...ომ არსებობს სიტყვა არხმენილი, მაინც ხომ არსებობს
...ყვა ართქმული,
...უსიტყვო და სიტყვა სამყაროში.
...სამყაროსთვის, სამყაროდ ჩათქმული.
...მნათი ანათებს და სიტყვის გარშემო
...ვარე სამყარო ტრიალებს, ასე რომ
...ული სიტყვაა სამყაროს ღერძი.

ო ჩემო ხალხო, რას გიშავებდი.

...ს ეს სიტყვა როდის სად მოხვდება, ვინ იცის ეს სიტყვა
...ალმოხდება? ეს აქ არ მოხდება, აქ ხომ საკმარისი
...ს სიჩუმე ზღვასა თუ კუნძულზე
...მატერიკზე, გინდაც უდაბნოში, გინდაც წვიმისაგან დატბორილ ბილიკზე;

...ს. ვინც ბნელშია და მიეხეტება
...ელში მიილტვის დღითა თუ ღამით
...ჭეშმარიტი არ არის ადგილი, არ არს ჭეშმარიტი არც ერთი წამი
...საწყალობელს არავინ მიუტანს იმათ, ვინც სახეებს მალაფენ ჭიუტად
...წამი არის ხალისისმყოფელი მათთვის, ვინც საზარელ კივილში დაძრწიან
ხმის უარმყოფელნი

...შებურვილი დაი თუ ილოცებს
...ს. ბნელეთში რომ ეხეტებიან, რომელთაც გადიდეს და მერე გმტრობდნენ,
...ს. ვინც ბორგავს და ორად იხლიჩება
ჟამსა და ჟამს შორის, წამსა და წამს შორის,
...თქმას შორის, ძალსა და ძალს შორის,
და მათთვის, რომლებიც იცდიან

...ნდა თუ ილოცებს დაი შებურვილი
...ტუზულ ბავშვების გამო
...დგანან და ლოცვა არ იციან, მაგრამ ადგილიდან მაინც არ იძვრიან:
...ლოცე ილოცე იმათთვის, რომელთაც ადიდეს და მერე მტრობდნენ

ო ჩემო ხალხო, რას გიშავებდი.

...ვეება ხეთა სიახლოვეს
...ილოცებს დაი იმათ გამო, ვინაც შეურაცხყო სახელი მისი,
...მუდმივი მეგზურიც შიშია, თუმცა კი ურჩობას მაინც არ იშლიან,
...ულან სამყაროს პირისპირ, მაინც უარყოფენ ამ კლდეთა შორის

ბოლო უდაბნოში, ლურჯ კლდეთა შორის
უდაბნოს ბაღნარში, ბაღნარს-უდაბნოში
რომელიც აფურთხებს ხრიოკი პირიდან ვაშლების გამომშრალ თესლებს.

ო ჩემო ხალხო.

## VI

თუმცა კი არ მაქვს მე იმედი შემობრუნების
თუმცა კი არ მაქვს მე იმედი
თუმცა კი უკან დაბრუნების არ მაქვს იმედი

შენაძენსა და დანაკარგს შორის მივეხეტები და მივირწევი
სადაც აშლილან ძველი ხილვები, შემომწყობიან, ჩემსკენ იწევენ
დაბადებიდან სიკვდილისაკენ ბნელი ხილვების მაცილებს ღამე
(მომეც კურთხევა, მამაო, ცოდვილს) აღარც სურვილი შემომრჩა რამე
მხოლოდ ვეება დარაბის მიღმა მოჩანს ვეება გრანიტის მთები
თეთრი აფრების ლივლივი ზღვაზე და მოფარფატე
ჭანსალი ფრთები

აღსდგება გული გულდაკარგული და უბრუნდება ძველი ხალისი
როს მოიგონებს უვავილს დაკარგულს, როს დაკარგული ტალღის ხმა ისმის
ილვიძებს სული ფერგადასული და გაბრძოლებას ჯერ კიდევ ლამობს
ტანგადაგრეხილ ოქროს კვერთხისთვის და ზღვის დაკარგულ სურნელთა გამო
ილვიძებს რათა
კვლავ გააცოცხლოს მწყრისა კივილი და შოგუგუნე მორევი ზღვათა
ხოლო სიბრმავე ჩინდავსილ თვალთა
ხატავს აჩრდილებს გამოფიტულებს სპილოს ძვალთაგან აღმართულ კართან
პირში კი რჩება სიმლაშე ქვიშის, რომ აჭყოლია მარილი ზღვათა

აი საათი, გადაჭიმული მიცვალებას და გაჩენას შორის
აი ალაგი მიყრუებული, სად იკვეთება სამი სიზმარი
გადაცისფრებულ კლდეთა სიღრმეში.

ხოლო როდესაც ურთხელის ხიდან წამოხვეტილი ხმა მიყუჩდება
დაე პასუხად სხვა ურთხელმა გაიხმიანოს.

დაო კურთხეულო, წმინდაო დედავ, სულო ბაღნართა და
ჩანჩქერ-ნაკადულთა,

არ მოგვცე ნება, რათა თვითონ მოვიტყუოთ ჩვენივე თავი,
გვასწავლე ზრუნვა და სხვის ჭირზე დახუჭვა თვალის,
გვასწავლე, როგორ მოვიპოვოთ სიმშვიდე სულის
თუნდაც აქ, აგერ, ამ კლდეთა შორის
ო მის ხელშია სიმშვიდე ჩვენი
აქაც კი, აგერ, ამ კლდეთა შორის
დაო, დედაო
სულო ზღვათა და მდინარეთა
არ მომცე ნება, რომ გავირიყო

და დაე გმინვა ჩაგესმას ჩემი.

ინგლისურიდან თარგმნა
ზვიად რატიანმა



# მცირე განმარტებანი ტ. ს. ელიოტის «ფერფლის ოთხშაბათისათვის»

### ...მთარგმნელისაგან

...ერფლის ოთხშაბათი" სრული სა... ...პირველად 1930 წელს გამოქვეყ... ...ნაწარმოების ზოგადი პათოსი ...: უნუგეშობიდან — მონანიების ... — რწმენისაკენ. პოემა ორ ...ტურ ქარგას ეყრდნობა:

XVI საუკუნის ესპანელი ღვთის...ლისა და პოეტის, სან-ხუან დე ...კრუსის მისტიკურ მედიტაციებს, ...ლის მთაზე ამაღლებას" და „გა...ნები ღამე სულისას". ადამიანის ...ის „უფალთან შეუღლება", — დე ...კრუსის მიხედვით — მოხერხდება ... მაშინ, როცა ღვთისშვილი ...ყოფს გონებას (რადგან უფლის ...ობა წარმოუდგენელია რაციონა... მიდგომით), ნებას (ის მხოლოდ ...ს ნებას უნდა მორჩილებდეს) და ...ს. გონების, ნებისა და ხსოვნის ...ტახება, დე ლა კრუსის აზრით, ...ერთადერთი გზა, რომელიც მიგ...ს ღმერთთან:

... დანტეს „ახალ ცხოვრებას"; კე... — ქალის სიმბოლოს, რომელშიც ...ნდება ზეციური და მიწიერი ...ული. „ახალ ცხოვრებაში" დანტე ...გიური თვალსაზრისით ამართ... სიყვარულს (მისი მიწიერი ...ბა გარდაისახება სულში, ხოლო ...ური ბეატრიჩე იქცევა იდეალუ...ანუ ანგელოსთა ბადალ არსებად). ...ს სიმბოლო „ფერფლის ოთხშაბა...არის ის დამხმარე ძალა, რომე...ელს უწყობს ლირიკული გმირის ...ერ კათარზისს.

...ერფლის ოთხშაბათი (დიდმარხვის ...ლი ოთხშაბათი კათოლიკური კა...რის მიხედვით) საყოველთაო მო...ების დღეა. საეკლესიო რიტუალის ...ით, ამ დღეს მოძღვარი ალმსა...ლს ნაცრით უსახავს შუბლზე ჯვარს და წარმოთქვამს: „ფერფლი იყავ და ფერფლად იქცევი".

პოემის პირველი ნაწილი, სათაურით „Perchio Non Spero" ("რადგან არ მაქვს დაბრუნების იმედი), 1928 წელს გამოქვეყნდა. ამ სიტყვებით იწყება გვიდო კავალკანტის (1255-1300) „ბალადა, დაწერილი სარანტეში, დევნილობის ჟამს", სადაც პოეტი მისტირის მიტოვებულ სატრფოს და მოახლოებულ სიკვდილზე ფიქრობს. „ფერფლის ოთხშაბათში" კავალკანტის სტრიქონი, სიტყვა-სიტყვით ნათარგმნი ინგლისურად (Because I do not hope to turn again). პირველწყაროსაგან განსხვავებით, ბევრად უფრო ტევადი და სიმბოლურია, — მასში მხოლოდ მიტოვებული სატრფო აღარ იგულისხმება.

ასევე სიმბოლური დატვირთვა აქვს „ბებერი არწივის" სახებასაც. არწივი იმპერიისა და ძალაუფლების სიმბოლოს წარმოადგენს. დე ლა კრუსის მიხედვით, ძალაუფლებაზე უარის თქმა ერთ-ერთი ყველაზე დიდი მადლია.

„ილოცე ჩვენთვის, ცოდვილთათვის, ან და ჟამს ჩვენი სიკვდილისას" — ასე მთავრდება კათოლიკური ლოცვა Ave Maria.

პოემის მეორე ნაწილი, სათაურით „Salutation" ("განდიდება"). 1927 წელს გამოქვეყნდა.

სამი თეთრი ლეოპარდი — ბიბლიური ალეგორიაა, და მასში ყოვლისწამლეკავი, დამანგრეველი ძალა იგულისხმება. ამავე დროს, ეს სახე უკავშირდება „ღვთაებრივ კომედიას" — გავიხსენოთ სამი მტაცებელი მხეცი, რომლებიც ხელს უშლიან დანტეს, რომელიც ჭეშმარიტების წვდომას ლამობს.

სიმბოლური დატვირთვა აქვს ღვიის ბუჩქსაც: უდაბნოში მოხეტიალე ელია წინასწარმეტყველი ღვიის ბუჩქის ქვეშ ჩამოჯდება და ღვთისაგან ითხოვს სიკვდილს, თხოვნის პასუხად კი წყალსა და საკვებს იღებს უფლისაგან.

„და ბრძანა ღმერთმა: ან თუ აღადგენს სიცოცხლე ამ ძვლებს?" — ეზეკიელი, 37,1-3.

რაც მთავარია, სწორედ ამ თავში ჩნდება ქალის სიმბოლო, რომელზეც ზემოთ ვისაუბრეთ, და ლაიტმოტივად გასდევს მთელ ნაწარმოებს.

მესამე ნაწილის პირველადი სათაური იყო „Al Som de l'Escalina" ("კიბის უმაღლესი საფეხური").

სამი საფეხური, რომლებზეც ადის „ფერფლის ოთხშაბათის" ლირიკული გმირი, უკავშირდება სამ საფეხურს განსაწმენდელის კართან (დანტე, „განსაწმენდელი",IX).

„მხარბეჭიანი ყმაწვილი... შემოსილიყო ლურჯით და მწვანით" — ეს რწმენის და იმედის ფერებია.

„უფალო, ულირს ვარ... შენ ოლონდ ბრძანე" — „უფალო არა ვარ ღირსი, რომ ჩემს ჭერქვეშ შემოხვიდე, მხოლოდ სიტყვა თქვი და განიკურნება ჩემი მსახური" (მათე, VIII, 8).

მეოთხე ნაწილს ერქვა „Vestita di color di Fiamma" ("ცეცხლის ფერებით შემოსილი") — ამ სიტყვებით აღწერს დანტე ბეატრიჩეს, მის წინარე გამოცხადებულს ("განსაწმენდელი," XXX, 33).

იისფერი — ლიტურგიული ფერია მონანიებისა.

თეთრი და ცისფერი — ღვთისმშობლის სიმბოლური ფერებია.

„გამოსახყიდად დროის და ჟამის" — მოციქულ პავლეს წერილი ეფესელთა მიმართ, სადაც საუბარია დროის გამოსყიდვაზე, ელიოტს ამგვარად ესმის: „გამოვისყიდოთ დრო, რათა შევინახოთ ცოცხალი რწმენა მომავალ ბნელ საუკუნეებში; განვაახლოთ და სახე ვუცვალოთ ცივილიზაციას, ვიხსნათ სამყარო თვითმკვლელობისაგან".

„...დაი, თეთრ-ცისფერი რომ მოუსხამს ტანზე, ზეწარი" — ბეატრიჩე ზეწრით შებურვილი გამოეცხადება დანტეს ("განსაწმენდელი", XXX, 34).

„როს აქედან განვიდევნებით" — სიტყვები ღვთისმშობლისადმი აღსავლენი კათოლიკური ლოცვიდან.

პოემის მეხუთე ნაწილს ერქვა „La sua Volontada" ("მისი ნება").

სიტყვა, როგორც შუამავალი ადამიანსა და უფალს შორის, გაქრა, მაგრამ დარჩა მარადიული სიტყვა , სიტყვა-ღმერთი, გამოუთქმელი, რომლის გარშემოც ბრუნავს სამყარო.

„ბნელს მნათი ანათებს..." — „ნათელი ბნელში ანათებს და ბნელმა ვერ მოიცვა იგი" (იოანე, I,5).

„ო, ჩემო ხალხო, რას გიშავებდი" — მაცხოვრის საყვედური ისრაელელთა მიმართ. იგივე ციტატით იწყება დანტეს წერილი ფლორენციელებისადმი, რომელთაც განდევნეს იგი.

პოემის მეექვსე ნაწილი იმთავითვე უსათაურო იყო.

„მომეც კურთხევა, მამაო, ცოდვილს" — სიტყვები, რომლითაც აღმსარებელი იწყებს თავის აღსარებას.

„...სპილოს ძვალთაგან აღმართულ კართან" — ანტიკურ მითოლოგიაში სპილოს ძვლის კარიბჭიდან რეალურ სამყაროში შემოდიან მაცდური სიზმრები და ჩვენებები (იხ. ვერგილიუსი, „ენეიდა", VI, 892).

„ და დაე გმინვა ჩაგესმას ჩემი" — სიტყვები კათოლიკური მესიდან: ასე პასუხობენ მლოცველნი მღვდლის სიტყვებს — „უფალო, ისმინე ვედრება ჩემი".

სახელად მაუგლი მქვია. ეს არის ჩემი ნამდვილი სახელი. პასპორტში სწორედ ასე მიწერია — მაუგლი, და გვარი, რომელსაც მიზეზთა სხვათა და სხვათა გამო არ გავამხელ. არც დავიმალავ — უბრალოდ, არ ვიტყვი — მორჩა და გათავდა. ვისაც სურვილი აქვს, გამოიცნოს. ერთი სიტყვით, მაუგლი მქვია და ამ სახელით კიდეც ვამაყობ. საამაყოცა მაქვს — ამაში ყველა დამეთანხმება, ვისაც კი წაუკითხავს კიპლინგის „ჯუნგლის წიგნი". მხოლოდ ერთი რამ მაწუხებს — კერძოდ ის, რომ „ჯუნგლის წიგნში" პატარა მაუგლის რატომღაც ბაყაყს უწოდებენ. ნუთუ არ შეიძლებოდა სხვა რამ ეწოდათ? თუნდაც — ქურციკი. ისიც ხომ ბაყაყივით დახტის?!.. ასეა თუ ისე, მაუგლი მქვია, და მაუგლი მერქვა მაშინაც, როდესაც თ.ს.უ. ფსიქოლოგიის ფაკულტეტი დავამთავრე. დიპლომი აღქმის ფსიქოლოგიაში გავაკეთე. ექსპერიმენტები — როგორც ხელმძღვანელი ამტკიცებდა, ფრიად საინტერესო — ჩავატარე აღქმის კონსტანტობის განხრით. საოცარი, მეტად, საოცარი, შეიძლება ითქვას, საკვირველი, და განსაცვიფრებელი რამეც კია ეს აღქმის კონსტანტობა.

მაგალითად, შეხედავ ფანჯარას. ფანჯრის მინაზე მიცოცავს რაღაც პატარა მწერი. მწერის ფიგურა შუშის ჭავლებში ტყდება. გვერდითი მხედველობით ხედავ, რომ აი, მწერი სარკმლის შუამდე მიცოცდა — მიცოცავს, როგორც ვრცელ პოლიგონზე და არ იცის დაღლა. რა უნდა იყოს ამაზე ბუნებრივი? — მწერი მიცოცავს, გარეთ მზე ანათებს, შენ რაღაც საკუთარ საფიქრალს ფიქრობ. ერთი შეხედვით თითქოს ყველაფერი რიგზეა, მაგრამ მოულოდნელად რაღაცა იცვლება. და წამსვე აფიქსირებ, რომ ეს სულაც არ არის მწერი. და მეტიც — იგი სულაც არ მიცოცავს ფანჯრის მინაზე. ერთბაშად ხედავ, რომ ეს საგანი სადღაც ოცდაათი კილომეტრის იქით იმყოფება, პაერში, და რომ ეს თვითმფრინავია, და არა მწერი — სრულიად ჩვეულებრივი ვერცხლისფერი ლაინერი, მასში მსხდარი პილოტებით, მგზავრებით და მთელი ყველაფრით... რა უნდა იყოს ამაზე ბუნებრივი? შენ ფანჯარასთან დგახარ, გარეთ მზე ანათებს, პაერში თვითმფრინავი მიფრინავს. ახლაც, როდესაც ყოფილი მწერი მოულოდნელად შენს თვალწინ თვითმფრინავად იქცა, თითქოს ისევ ყველაფერი რიგზეა, მაგრამ რაღაც მოუხელთებელი მომენტი — თვით ეს გადაქცევის აქტი, — სადღაც შენი ცნობიერების გარეთ დარჩა. ცნობიერება აფიქსირებს მხოლოდ იმას, რაც იყო, და იმას, რაც არის. ხოლო ელვისებური მეტამორფოზა, რომელიც შენს თვალწინ განიცადა საგანმა და, ამ საგანთან ერთად, მთელმა სამყარომ, — მხოლოდ ცვლილებაა შენს კონსტანტურ აღქმაში. არადა მთელი სამყარო ხომ სწორედ ამ ელვისებურ აქტებში იქმნება! რამდენადაც იგი პიროვნების, ამ შემთხვევაში ვინმე მაუგლის ცნობიერებაშია მოცემული.

თითქმის ასეთივე მეტამორფოზა განიცადა ჩემმა ცნობიერებამ, როდესაც უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე 3 თვით ჯარში მიკრეს თავი — იქიდან ოფიცრის წოდებით უნდა დავბრუნებულიყავი.

გაგვამწესეს ახალციხეში. ახალციხეში ჩვენი შესვლა მიაგავდა სიგიზმუნდ პირველის ლაშქრის შესვლას ქალაქ შტუტგარტში. მოსახლეობა გარეთ გამოფენილიყო და ინტერესით ადევნებდა თვალს არეული მარშით მიმავალ ახალწვეულებს. მოსახლეობა ყიჟინითა და ქუდების ქნევით ხვდებოდა სიგიზმუნდის ლაშქარს. შენობები სადღესასწაულოდ მოერთოთ, ფანჯრებიდან მორცხვად იცქირებოდნენ ახალციხელი ლამაზმანები და თვალთა ისრებს სტყორცნიდნენ მეომართ. ადგილობრივი ვაჟები შეცბუნებული სახით გამდგარიყვნენ განზე — ამ წუთში მათთვის მეტისმეტად თვალსაჩინო იყო საკუთარი უმნიშვნელობა. ჩარჩ-ვაჭრებს ათასნაირი საქონელი გამოეტანათ გზის ორსავე მხარეს, ცდილობდნენ რამე მაინც მიესაღებინათ მშიერი ჯარისკაცებისთვის. ფაშფაშა მეოჯახე ქალები ყვავილებსა და გირლიანდებს ისროდნენ, ქალაქის მამაკაცებს შეაბური ლუდით სავსე კათხები მოემარჯვებინათ და ომახიანი ხმით გაიძახოდნენ წითელი ღობის სადღეგრძელოს. ზოგიერთ დიასახლისს სახლიდან რძე და პური გამოჰქონდა და ლაშქრობით დაქანცულ მხედრებს სთავაზობდა. ეჰ, კარგი ეპოქა იყო!

რაც შეეხება თვით მოლაშქრეებს, ისინი საკუთარი ღირსების სრული შეგნებით, ბაგეზე კადნიერი და სულგრძელი ღიმილით მიაბიჯებდნენ უცნობი ქალაქის ქუჩებში და მათი გულები რიტმულად ძგერდა დაფდაფებისა და ფაგოტების პანგზე. აი, გამოჩნდა ახალგაზრდა უნტეროფიცერი. მის აკოკრილ ულვაშებს... და ა.შ.

დაგვაბინავეს ქალაქის გარეუბანში, სამხედრო პლაცებითა და მოედნებით გარშემორტყმულ ყაზარმებში. ჩვენი ყაზარმა წარმოადგენდა უზარმაზარ თვალუწვდენელ ოთახს. სადაც ორ სართულად განელაგებინათ 200 საწოლი. დაწოლა — ერთდროულად. ადგომა — ერთდროულად. თუთუნი — არა, სასმელი — არა, ქალები — არა. მხოლოდ სამწყობრო მომზადება, ლექციები, პლაცი, და ასე გაუთავებლად.

ჩასვლის პირველსავე დღეს ყველანი გადაგვპარსეს. და აქ დავინახე, რომ რაღაც უცნაურ გარემოში ამომეყო თავი. ეს უკვე აღარ პგავდა ახალციხეს და არც სრულიად საქართველოს. ეს იყო რაღაც ფანტასტიკური სამყარო. პოლკის მთელს ტერიტორიაზე, მწყობრად ჩაერიგებინათ არყისა და ალვის ხეები. ყოველი ხის შტამბი, მიწიდან დაახლოებით ნახევარ მეტრამდე, რატომღაც თეთრად იყო შეღებილი. ბალახი — მწვანედ. ცაში მიფრინავდნენ ადრეული შემოდგომის მსუბუქი ღრუბლები. სპორტულ მოედნებზე ორძელებსა და ხარიხებს ნამი ედებოდა. პაერში დაფრინავდა არყისა და ალვის ხეთა ფოთლები, და იდგა უცნაური, საიდუმლო სუნი, რომელშიც ერთმანეთს ერწყმოდა მიწის, ხეების, ასფალტის, ლითონის, სამხედრო ამუნიციისა და სასადილოს სურნელებანი. მთელი ეს ტერიტორია პგავდა რაღაც კუბისტურ ნახატს, თუ მოძველებული ფანტასტიკური ფილმის დეკორაციას. ფირნიშებზე და აბრებზე გამოსახული იყო მტკიცედ მომზირალ ჯარისკაცთა ყვრიმალებიანი სახეები, აგრეთვე — რაღაც უცნაური და გაუგებარი ლოზუნგები. ყოველ დილა-საღამოს პლაციდან ისმოდა სევდითა და მიუწვდომელი კვეთებით ალსავსე მარშები. და ყველაფერს თითქოს ჩრდილოეთის ციალის ანარეკლი ეფინა.

თავგადაპარსული ადამიანები ერთმანეთს პგავნან. მით უმეტეს — ერთნაირ უნიფორმაში ჩაცმული. თავები გადაგვპარსეს თუ არა, ყველანი ერთმანეთს დაემგვანენ. მაგრამ უცნაურია და, რაწამსაც ერთმანეთს დაემგვანენ, იმავე წამიდან მკაფიოდ წარმოჩნდა თითოეული მათგანის ინდივიდუალური შტრიხები. პირველ რიგში გაირკვა, რომ ზოგი მსუქანი იყო, ზოგი — გამხდარი, ზოგი კი — სულაც დალეული. გაირკვა აგრეთვე, რომ ზოგიერთი მათგანი სათვალეს ატარებდა. ზოგს აღმოაჩნდა რაღაც უცნაური ტერფი. ზოგს — გრძელი კისერი და კენგურუსავით წინ წამოზიდული სხეული. ეს კიდევ არაფერი. რაც მთავარია, ყველა ამ ადამიანის თავები აღმოჩნდა სრულიად სხვადასხვა ფორმის. თითქოს ეს — ადამიანთა თავები არც კი იყო. აქ იყვნენ იურისტები, ეკონომისტები, ქიმიკოსები, ბიოლოგები, ფსიქოლოგები — სულ ორასამდე კაცი. მაგრამ სამხედრო-საველე ფარნით რომ გეძებნათ, ორ ერთნაირ თავს ვერ იპოვიდით. ფიქრადაც არასდროს მომივიდოდა, რომ ქვეყნად არსებობს თავთა ასეთი დაუსრულებელი სიმრავლე და მრავალსახოვნება. მანამდე რატომღაც ყოველი თავი მრგვალი მეგონა, როგორც აღორძინების ხანის ნახატებზე. აქ კი გაირკვა, რომ არსებობს გრძელი, მოკლე, ვიწრო, განიერი, ბრტყელი, მობურცული, ჩაჭყლეტილი და სულაც უფორმო თავები. არსებობს თავი კვადრატები, თავი რომბები, თავი ტრაპეციები. არსებობს თავების სინუსები და კოსინუსებიც კი. ერთს — შემხვდა ასეთიც — თავი პქონდა, როგორც კოტანგენსი.

ეს გადაპარსული თავები ფარვანებივით რიალებდნენ ირგვლივ. და ყოველ მათგანს თან მოპქონდა საკუთარი ისტორია და ბედისწერა. აქ იყო უცნაური თავი-გამოცანები, აუხსნელი და უპასუხო ქარაგმებით აღბეჭდილი. ზოგიერთ მათგანს კეფაზე დაჩნეოდა ბუნებრივი, სიმეტრიული და საკვირველი ნაჭდევები. ერთი ნაჭდევი საცეცებგაშლილ კირჩხიბს პგავდა, და ღრმად ჩაპბეჭდოდა თავის მფლობელს კეფაში. მეორე — ღრიანკალს, მესამე — თხის რქას. იყო აგრეთვე რაღაც სასწორისებრი და თევზისებრი გამოსახულებებიც თავებზე. და თითოეული ეს თავი ეკუთვნოდა რომელიღაც პიროვნებას. მე, პირადად, საკმაოდ მოხდენილი თავი მაქვს, მაგრამ ჩემს თავზეც იპოვით რაღაც გაუგებარ ნიშნებს. შუბლს ზევით, თხემზე, რატომღაც მცირე ზომის ჩაღრმავება დამყვა. უკან, კეფაზე — კონუსივით წამოშვერილი პატარა ძვალი. კეფის ზედა ნაწილი ოდნავ, სულ ოდნავ დაბრტყელებული მაქვს — ალბათ ოდესღაც, უხსოვარ დროში, მათემატიკის ღმერთმა კეფაში წამომითაქა... ახლა, ყველაფერთან ერთად, წარმოიდგინეთ, რომ ყოველ თავის ქალას წინა მხრიდან, შუბლსა და წარბებს ქვემოთ, აბია ცხვირი — ეს ხომ სულმთლად მიუწვდომელი და გაუგებარი გამოცანაა — და თვალები, რომლებიც, სწორედ, წარმოადგენენ ძირითად ორგანოს აღქმის კონსტანტობით დაინტერესებული ყოველი მეცნიერისთვის.

ეს უცნაური სამყარო — ხმებით და ფერებით, სუნებით და თავებით ავსილი ეს აკვარიუმი — თანდათან ჩემს აღქმაში კონსტანტურ ფორმებს იძენდა. თანდათან დავაფიქსირე საყრდენი წერტილები — რამდენიმე თანაჯგუფელი, რამდენიმე ახლადგაცნობილი ამხანაგი. შემდეგ თავებისა და სხეულების ამ ზღვაში გამოიკვეთა ოფიცერთა ლარივით სწორი ფიგურები — ეს რუსი ოფიცრები გზის მაჩვენებლებივით აღმართულიყვნენ ქართველ ჯარისკაცთა სხეულების ატორტმანებულ და თავაწყვეტილ მორევში. მაგრამ რატომღაც ისინი არ აჩვენებდნენ არანაირ მიმართულებას. როგორც მალე გაირკვა, ყოველი ეს გზისმაჩვენებელი ნიშანი ყალბი იყო.

ერთ დღეს სასროლეთზე წაგვიყვანეს. ყველამ ისროლა. თავგადაპარსული, აზარტში შესული ახალგაზრდები უმიზნებდნენ ავტომატს და ისროდნენ — ამ სროლასა და ავტომატის ძაგძაგში აქსოვდნენ ყველაფერს, რისი ჩაქსოვაც შეიძლება საერთოდ სროლაში და ავტომატის ძაგძაგში. ჩემი ჯერი რომ მოვიდა, მშვიდად დავიკავე პოზიცია და ჩახმახს თითი დავაჭირე, მაგრამ უეცრად ვიგრძენი, რომ ავტომატი ცოცხალივით ამიფართხალდა ხელებში. ხან აქეთ აწყდებოდა, ხან იქით და ცდილობდა რაც შეიძლება მეტი უსიამოვნება მიეყენებინა ქვეყნიერების ყოველი მხრისთვის. მაშინვე მივხვდი, რომ ეს სახიფათო და ურჩი არსება ამხანაგად არ გამომადგებოდა. მაგრამ მაინც ვისროლე. ვისროლე და ტყვია ტყვიაშიც ჩავსვი — მაშ ტყუილად კი არ მქვია მაუგლი! ამის შემდეგ დანას დავწვდი. ისიც ვისროლე და სამიზნეს შიგ ათიანში ჩავასე. მერე მშვილდი მოვიგდე ხელთ, თხილის ისრებით და გამტკიცული ლარით... და ა.შ....

მეორე დღეს აბანოში წაგვიყვანეს. ეს დიდი ფუფუნება იყო. ამიტომ არავინ დაკლებია. ვიდექით ალვებით დაჩრდილულ მწვანე მდელოზე და ჩვენს რიგს ველოდით. ჩვენს წინ თუხთუხებდა და ორთქლავდა აბანოს ერთსართულიანი დაბალი შენობა.

და ამ დროს რამდენიმე ცნობისმოყვარე და დაუდეგარმა ახალგაზრდამ თამაში წამოიწყო... ...
და ჭიანჭველებით. ...
მაზარი ხოჭო. ეს იყო რუხი
მოგრძო არსება, ზომით დაახ...
იმ ძროხისხელა, რომელიც ...
გულივერმა ჩამოიყვანა ლილი...
დან, ან სხვაგვარად რომ ...
თვით ლემუელ გულივერისხელა...
დესაც იგი ბრობდინგნაგში ...
მისი ერთადერთი ნაკლი ის იყო ...
ფრენა არ იცოდა.

ამ დროს მე და ჩემი თანაკუ...
ფსიქოლოგი, რომელიც ძალიან...
რიცხვ 63-ს, მეტად საინტერეს...
მაზე ვსაუბრობდით. ალბათ, ...
გაგეგონებათ რემი შოვენის ...
„ფუტკრიდან გორილამდე". სწო...
წიგნს ვუტრიალებდით ირგვლი...
გორც ორი ნესიერი მუშა ფუ...
და ვცდილობდით შეძლებისდაგ...
მეტი ნექტარი გამოგვეწოვა მი...



— ფუტკრებს ინტელექტ...
გააჩნიათ — ვამბობდი მე.
— შენ საიდან იცი? — მკ...
ბოდა ჩემი ამხანაგი.
— როგორ თუ საიდან?!
ფუტკრებს და, შენ წარმოიდგინ...
გორილებს!
— აბა, როგორ ახერხებენ ...
ორგანიზებულ ცხოვრებას?
— ინსტინქტებით, ჩემო ...
ინსტინქტებით და ტროპიზმებით...
ჩემს ამხანაგს გაეცინა:
— ფუტკარმა შენზე კარგად ...
როდის რა უნდა გააკეთოს!
— სულაც არ იცის — ...
ცხარედ — ეგ მხოლოდ ინსტინ...
— ეს ჩვენ ვუწოდებთ ინსტ...
იმას, რისიც არაფერი გაგვეგ...
ერთი ფუტკარს ჰკითხე!
— ფუტკარს როგორ უნდა ...
— ავზუზუნდი მე, — ფუტკარ...
ყველება არ გააჩნია!
— აბა, როგორ აგებინებენ ...
მანეთს?
— ინსტინქტებით-მეთქი, ...
ძმაო, ინსტინქტებით და ტროპიზ...
ჩემს ამხანაგს ისევ გაეცინა...
— ეგ ჩვენ ვუწოდებთ ინ...
ტებს იმას, რისიც არაფერი გა...
— გაიმეორა მან.
— ავიღოთ კრაზანა! — ...
ავზუზუნდი.
— ავიღოთ!
— კრაზანის მთელი მოქ...
რომელიც ასე გააზრებული გვ...
ბუნებრივ პირობებში, სრული...
რგავს აზრს, თუკი მას არაბუ...
გარემოში მოვათავსებთ.
— ასევე დაკარგავს აზრს ...
შენი მოქმედებაც, რომელიც ...
ზრებული გეჩვენება, თუკი არ...
რივ პირობებში მოგათავსებთ...
მიპასუხა ამხანაგმა.
მასთან კამათი შეუძლებელ...
ამასობაში ათიოდე უზარმ...
გიგანტურმა არსებამ, რომელ...
რის სჭარბობდნენ გორილას ...
ბის ეკონომისტები და იურ...
საბრალო ხოჭო ჭიანჭველების ...
მოათავსა. კამათი — რომელმა...
ლიად დაკარგა აზრი — შევწყ...
ხელის ჩიქნევით მათს ჯგუფს ...
რთდი. აქ ჩემს თვალებს სა...
სანახაობა გადაეშალათ.
ხოჭო თანდათან იზრდებო...
რდებოდა და იზრდებოდა. და ...
მთელი ჩემი აღქმის ველი დაიკა...
ცნობიერება უკვე ამ ხოჭოთ...
ავსილი. მასში მე ვხედავდი ...
თანამოძმეს, რომელიც გაჭირ...
ჩავარდნილი. მისი საბედისწერო ...
რია ჩემს წინაშე წარმოდგა, ...
ჩემი საკუთარი ისტორია ...
შეიძლება, ადამიანმა უეცრად ...
ამოყოს რაღაც ჯოჯოხეთურ ...
ში. მრავალრიცხოვანი შეუპოვ...
სებები ესევიან და ცოცხლად ...
მას კი რაღაც საბედისწერო ...
გებარი უხილავი ძალა საშუალ...



...ფეხზე წამოდგეს და გაერიდოს ...მსხვერპლი უმწეოდ აწყდება ...-იქით, მაგრამ გამოსავალი არ ...იქნებ სწორედ თავისივე ინსტი-... ან რაიმე პიროვნული თვისება ...მას ამ დღეში? — ამაზე პასუხს ...ალი, ცხადია, ვერ პოულობს. ...ოდ გრძნობს, რომ რაღაც უხილავ ...იგი მიწაზე მიუჯაჭვავს და ...მენ. ცოცხლად ჭამენ.

...ამ შემთხვევაში ეს უხილავი ძალა ...ჯოხი.

...წრილი ჯოხი. ალვისა თუ არყის ...პატარა ხმელი ტოტი, რომლითაც ...ოს, როგორც კი გადაბრუნებას ...ებოდა (გადაბრუნებას კი განუ-...ლივ ცდილობდა) ნამსვე ისევ ...ალმა აბრუნებდნენ. მის ხელით ...ბას, ალბათ, რაღაც ინსტინქტური ...ზენი გრძნობის გამო, — ყველა ...ებოდა.

## ზაზა თვარაძე



...ხოჭო გულაღმა ეგდო და შეუჩე-...ლად ასავსავებდა ფეხებს. ექვსი ...რილი ფეხი განუწყვეტლივ მოძრა-...და და აქეთ-იქით ისროდა ჭიანჭვე-...ბს, რომლებიც რკინის პატარა რო-...ტებივით დახვეოდნენ და კბენდნენ. ...ოს თეთრი მუცელი იზნიქებოდა, ...ილზე ტრიალებდა, მაგრამ რო-...რც კი გადმობრუნებამდე მივიდოდა, ...ისევ საქმეში ერეოდა საბედისწერო ...ი. ჭიანჭველები აცოცდებოდნენ და ...ოცდებოდნენ, როგორც ვირთხები ...აკვდავ ღორს. რაღაც აუხსნელი და ...ლისმსმელი ინსტინქტით ჭიანჭვე-...მა ზუსტად იცოდნენ თავისი საქმე ...კბენდნენ ძირითადად ფეხის ძირე-... და რბილ ადგილებში. სადღაც ...ახავს ჭიანჭველის გადიდებული გა-...ახულება — ეს არის უსაშინლესი, ...ზარავი ცინიკური არსება, რომლის ...ვსსაც ჰოლივუდის რეჟისორების ...ტაზიაც ვერ წარმოიდგენს. მას აქვს ...ზარელი გასიებული თავი, სახე — ...თრებული და სრულიად დაფარუ-... რაღაც ჩხირისებრი გამონაზარდე-...ით, უზარმაზარი ბრმა თვალები და ...ება დაღრეჭილი ყბა, როგორც ლუ-...რანულ ნახატებზე გამოხატულ სიკ-...ლს. ამ საზარელი ორკაპი ყბებით ...ი ხოჭოს სახსრებში კბენდნენ და ...უშვებდნენ ჭიანჭველის შხამს. ...ი უკვე იწყებდა თავის მოქმედებას. ...ოს ჯერ ერთი — მარჯვენა შუა ...ი გაუჩერდა. თანდათანობით მის ...ელს ცვლილება დაეტყო — ჯერ ...ი იცვალა, მერე რაღაც სითხემ ...იონა — ჭიანჭველებს მთელი ...ჯვენა გვერდი გამოეჭამათ. ხოჭო ...მანივით იქნევდა თავს და, ჩემდა ...ზარავად, მესმოდა, რომ წიოდა. ...ნლად, მთელი ხმით წიოდა და ...ლას ითხოვდა. ის კი, ვისაც მისი ...ლა შეეძლო, ჯოხის ერთი გაქნევით ... და ისევ აბრუნებდა მას უმწეო ...მარეობაში.

...ხოჭოს წივილი პირველად და, ... მაქვს, უკანასკნელად გავიგონე. ...წივილმა მთლიანად შემძრა. ჩემს ...ში შინაგანი ორგანოები ამოძრა-...ენ. თვალწინ საშინელებათა რკალე-...დამიტრიალდა — რადგან მივხვდი, ... ეს წივილი იყო განწირული ... — იგი მთელი ხმით კიოდა

და წინა ხელებით გულმკერდიდან იგლეჯდა საზარელ კაციჭამიებს. იგლეჯდა და აქეთ-იქით ისროდა, მაგრამ მათს ადგილს ნამსვე ათობით სხვა იკავებდა და ისევ ჭამდნენ — მუყაითად, საქმის ცოდნით და თანაც ხარბად. აი, ხოჭოს წინა მარცხენა ხელი თანდათანობით რიტმიდან ამოვარდა და ბოლოს სულაც გაჩერდა (ხოჭოს, ისევე როგორც ადამიანს, ორი ხელი აქვს). იგი ახლა მარჯვენა ხელითღა იგლეჯდა სახიდან მხეცებს. მხეცები კი კვლავ დაუღალავად ჭამდნენ. მარცხენა ლოყა უკვე ამოაჭამეს. — იქიდან რაღაც სითხე მოჟონავდა. აი, ერთი გასროლილი მხეცი გაფრინდა, ჰაერში ამოტრიალდა, ბალახის ღეროს შეასკდა და მიწაზე დაენარცხა, მაგრამ მსწრაფლ წამოიჭრა ზეზე და კვლავ ჩააფრინდა. სხვერპლი თანდათან კარგავდა ფორმებს. ჭიანჭველების საათივით აწყობილი მექანიზმი თანდათან ცოცხლად შლიდა და ხრწნიდა ამ ცოცხალ, ან უკვე, ლეშს.

ჯანდაბა და დოზანა! — გავიფიქრე შეძრწუნებულმა, ჯანდაბა და დოზანა! და მეცნიერული წყურვილით შეპყრობილ ჯალათებს გადავხედე. და აქ უეცრად ჩემი აღქმის კონსტანტობაში რაღაც შეიცვალა. ხოჭო, რომელიც ციკლოპივით გართხმულიყო მიწაზე და მას ყელს ღადრავდა უზარმაზარი დრაკონი — როგორც ეს ნაჩვენებია ჰოლივუდის ფილმში „სინდბადის მოგზაურობა“, სადაც ციკლოპი კივის, ტორებს იქნევს, მაგრამ დრაკონი მჭიდროდ ჩაფრენია ყელში და ყელს ღადრავს, ანდა ალბათ ყველას გინახავთ ინგლისური ფილმი დინოზავრებზე — სადაც მასტოდონტის რქით მიწაზე მილურსმული ტირანოზავრი კივის, სხმარტალებს, იგრიხება, და ბოლოს სასიკვდილო აგონიაში კიდეც თავდება, — ასეთივე და ასე უზარმაზარი ხოჭო, რომელსაც მთელი ჩემი აღქმის ველი ეჭირა, უეცრად დაპატარავდა და გადაიქცა ერთ ჩვეულებრივ მწერად მწვანე მდელოზე, იურისტებისა და ეკონომისტების რკალში, ლურჯი ცის ქვეშ, ჩიტების ჟრიამულში და ბუნების უსასრულო ხმოვანებაში — მისი გულსაკლავი კივილი ერთი მწერის წუილიღა იყო — მაგრამ მაინც გულსაკლავი.

ჯალათებს გადავხედე. ისინი მთელი სულით და გულით აზარტში შესულები გაფაციცებით დახვეოდნენ თავს ამ კოსმიური უბედურების ადგილს და ისეთი სახით დაჰყურებდნენ, თითქოს ცხოვრებაში მსგავსი სანახაობა არასდროს ეხილათ. მათს ფანატიურად მბრწყინავ თვალებში და ორკაპ ღიმილში ჩანდა რაღაც უცნაური — როგორც ბოსხის ნახატზე, ეკლის გვირგვინით მიმავალ ჯვარისმტვირთველს შეჰყურებს ვიღაც ქრცვინივით გაყვითლებული და ასპიტისებრი კაცი — ამ ღიმილში ჩანდა მონოდება: აბა, რას იზამ?! თუ დაუძვრები ამ სასიკვდილო ჭანგებს?! მაშინ გიწამებ, რომ შენა ხარ. მაგრამ დაუძვრები კი?! ეს ხომ სიკვდილია და ბედისწერა. სიკვდილი კი ყველაზე ძლიერია! მე შენ მიყვარხარ, და მსურს, რომ მოკვდე, რადგან მიყვარხარ და მსხვერპლად გწირავ სიკვდილს, რათა სანაცვლოდ მან მომაგოს ეს სანეტარო განცდა — რომ მოკვდა ის, ვინც მიყვარდა, და ვინც, ან უკვე, მძულს, რადგან ის მოკვდა და მე კი ისევე მარტო დამტოვა ამ არსებობის წინ. სიკვდილი სიკვდილს!.. მაგრამ ეროთი ხოჭოს სიკვდილით ხომ ბუნებაში არაფერი იცვლება. ხოჭო დაცოცავს — ინსტინქტებითა და ტროპიზმებით აღჭურვილი ეს ბუნების ნაგლეჯი. მისი შემადგენელი ელემენტები მოძრაობენ და ასევე აგრძელებენ მოძრაობას მისი სიკვდილის შემდეგაც — როცა გამოფიტული ხოჭო ქერქიდან ბუნების გარესკნელში ქრებიან და იპარებიან მოლეკულები და სასიცოცხლო ენზიმები. ისინი ერწყმიან მარად ცვალებად ინსექტთა სამყაროს სხვა ელემენტებს. მხოლოდ ერთი ხოჭოა მკვდარი. მკვდარი და გარდაცვალებული. მის ფიტულს ჩალასავით ატოკებს დილის ნიავი. აბანოდან ბოლქვებად ამოდის ორთქლი. იქ შიშველი სხეულებით ბლარძუნობენ მრავალწახნაგოვან თავებიანი ადამიანური არსებები. ბლარძუნობენ და ცოცხლობენ. აქ კი, ჩემს ახლოს მათივე მსგავსნი ფანატიური ექსტაზით შეპყრობილები შემოხვევიან მომაკვდავ ცხოველს, რომელიც კივის და თანდათან ძალა ეცლება. სად არის ხოჭოს სული? — არ ვიცი. მე მხოლოდ ვიცი, რომ მას ინსტინქტები და ტროპიზმები ამოძრავებს. ვინ არიან ეს ადამიანები, რომლებიც ამ საბრალო მწერის მაგალითზე ცდილობენ დაიკმაყოფილონ თავიანთი ცნობისწადილი და აგრესიული იმპულსები? — არ ვიცი. მე მხოლოდ ვიცი, რომ რაღაც გაუგებარი ბედისწერის ძალით მათ სწორედ დღეს შეხვდათ სწორედ ეს ხოჭო. რა გამოუცნობმა ინსტინქტმა უკარნახათ ხოჭოს ასე განირვა? — არც ეს ვიცი. ალბათ რომელსამე მათგანს საიდანღაც, მისთვისვე მიუწვდომელი სკნელებიდან ეწვია ელვისებრი ზეშთაგონება — რომ შესაძლოა აი ეს ხოჭო ჩააგდო აი ამ ჭიანჭველებში და იხილო ყოველი ცოცხალი არსების საბედისწერო ტრაგედია. ტრაგედია თუ თამაში? — არც ეს ვიცი. მხოლოდ ის ვიცი, რომ თითოეულ მათგანს შეუძლია ხოჭოს ხსნა, მაგრამ ამას არცერთი არ აპირებს. და რომც დააპიროს, ვერ გაბედავს, რადგან ამით დაირღვევა სულთა ის კავშირი, რომელიც, აი, ჩემს თვალწინ დამყარებულა და ნებით თუ უნებლიეთ ახორციელებს რაღაც ისეთს, რაც მისთვის მის გარეშე მყოფ ბედისწერას მოუხვევია თავზე, და ამაში სახიერდება მისი საკუთარი ბედისწერაც.

მაგრამ მე ხომ აქა ვარ? — გავიფიქრე მყისვე. ნუთუ უნდა დავუშვა, რომ ამ გონდაკარგულმა არსებებმა ეს ბოროტი თამაში ბოლომდე მიიყვანონ? რა თქმა უნდა, შემიძლია დავუშვა, რადგან ეს მხოლოდ ხოჭოა და არა ადამიანი. და ეს მხოლოდ თამაშია. თამაშის ჩაშლას კი არავინ გაპატიებს. ხომ დიდი ღირსებაა, განასხვავო თამაში ბრძოლისგან. და ბრძოლაში მოიქცე ისე, როგორც კაცს შეშვენის, თამაშში კი მხოლოდ ითამაშო და სიცილით დაამარცხო მოწინააღმდეგე. ეს მართლაც რომ დიდი სიქველეა, როგორც იტყვიან. მაგრამ მე რა შემიძლია? ხომ ცხადია, რომ მთელი ეს იურისტებისა და ეკონომისტების ეგზალტირებული საზოგადოება მყისვე შეტევაზე გადმოვა, რაწამსაც მათს თამაშში თვითნებურად და მათდა საწინააღმდეგოდ ჩავერევი. ორში ერთი — ან უნდა გავჩერდე და მათთან ერთად ვუყურო, ან გავეცალო აქაურობას. — ორივე ეს პერსპექტივა ჩემს გულს საშინელი დარდით ავსებდა. ლურჯ ცაში თეთრი ღრუბელი.

გამახსენდნენ მთელი მსოფლიოს გმირები — გილგამეშიდან დაწყებული თვით მაუგლიმდე. გილგამეში, რომელიც ლომებს შორის ისარივით ჩაიჭრა და ამოწყვიტა. ოდისევსი, რომელმაც მწირის სამოსი შემოიძარცვა და გათავხედებულ სასიძოებს დაერია. ხომ შემეძლო მეც მათსავით ყიჟინა დამეცა და ხელდახელ შევბმოდი მთელს ამ იურისტებისა და ეკონომისტების ლაშქარს? გავილახებოდი. ეგ არის და ეგ. ან წმინდა ფრანცისკივით, რომელიც სიტყვით ათვინიერებდა ველურ მხეცებს, მეც ზნეობრივი ქადაგებით მიმემართა?.. მაგრამ რისთვის? ერთი ხოჭოს გულისთვის? — მაშინ ხომ სულაც საცინლად ამიგდებდნენ...

ამ ფიქრით ისევ ღრუბელს ავხედე. მზე ანათებდა. ცხოვრება გრძელდებოდა, ხოჭო კვდებოდა. მისი სული, თუკი გააჩნდა ამგვარი, სადღაც მიჰყავდათ თეთრ ანგელოსებს. აბანოდან ისევ ამოდიოდა ორთქლი და აბანოს წინ, გამგელებული ხროვის შორიახლო, იდგა და ღრუბელს აჰყურებდა ერთი მეტიჩარა ფსიქოლოგი, რომელიც ყოველნაირად ცდილობდა თავის გამოჩენას.

— ფსიქოლოგი — გავიფიქრე მე — ჰმ! ფსიქოლოგი! მაუგლი — პატარა ბაყაყი, რომელიც, თუმცა ცდილობს, თავი არ გაუყადროს ამ გონსგადასულ არამზადებს, მაინც მოახერხა მიელო ინფორმაციის საკუთარი ულუფა. აი ახლა, მის წინ გათამაშდა ტრაგედია და ამ ტრაგედიის ხილვისას მოხდა უაღრესად საინტერესო ფსიქოლოგიური ეფექტი — ცვლილება აღქმის კონსტანტობაში. ფსიქოლოგი, რომელსაც ხოჭოს კივილი აღარ ასვენებდა. აღარ ასვენებდა, არა! აღარ ასვენებდა, აღარ ასვენებს და აღარც არასოდეს მოასვენებს, თუკი რამე არ იღონა!

ახლა საჭიროა გონება აამუშაო — ვუთხარი ჩემს თავს — ახლა საჭიროა ისკუპო, როგორც ბაყაყმა და ეს ყველაფერი რაღაც სხვა განზომილებაში გადაიტანო. თუმცა გარეგნულად შესაძლოა ყველაფერი თამაშადვე დარჩეს — ეს ცა, ეს მინდორი და ეს მომაკვდავი ხოჭო.

ვისკუპე, როგორც ბაყაყმა და მიმოვიხედე. ეგებ რაიმე სახეირო დამენახა. უფრო სწორად, რაღაც შინაგანი დარწმუნებით ვიცოდი, რომ რაღაც სახეიროს აუცილებლად დავინახავდი. და მართლაც დავინახე — ეს იყო ბაყაყი. ბაყაყი — და არა მე.

ბაყაყი. მკვდარი ბაყაყი.

ეს იყო მკვდარი ბაყაყის ნახევრადდაჭმული ლეში. იგი ეგდო და ტივტივებდა ნუმპეში. ზედ დაჰხვეოდა თვალით უხილავი ათასობით არსება და ჭამდნენ, ჭამდნენ — ამ დალოცვილ ბუნებაში ხომ ყველაფერი ერთმანეთს ჭამს. მაშ ვინღა იტყვის უარს გახრწნილ ბაყაყზე?! მკვდარი ბაყაყი — ნუმპის საუზმე.

უეცრად მივხვდი, რომ მკვდარი ბაყაყიდანაც შეიძლება სასწაული მოახდინო. სასწაული — მათთვის, ჩემთვის კი — მხოლოდ ფიქსირებული განწყობის მოულოდნელი რღვევა.

ხოჭოს ჯალათებს გადავხედე. ისინი კვლავ კონსტანტურად დაფიქსირებულიყვნენ საკუთარ თამაშში. ალბათ, თავი არენაზე ეგონათ, სადაც დაჭრილი გლადიატორი მშიერ მხეცებს ებრძვის. ან რაღაც კიდევ მეტი. ხოჭო მათთვის ჯერაც უზარმაზარი სასონარკვეთილი არსება იყო, რომელიც კიოდა და შველას ითხოვდა, მაგრამ ისინი, ნეტარი ინდური სიჯიუტით შეპყრობილნი, შველას არა და არ აძლევდნენ.

სწრაფად მოვძებნე ორი ჯოხი. ამ ორი ჯოხით, როგორც ჩინელი ბრინჯს, დავწვდი მკვდარ ბაყაყს — იგი უფორმოდ ჩამოეკიდა ჩემს მყარ ჯოხებზე. სწრაფად მივუახლოვდი მსოფლიო ტრაგედიის ეპიცენტრს — ვერავინ შემამჩნია, რადგან ყოველი მათგანი მხოლოდ ამ ტრაგედიით იყო თავიანფეხიანად მოცული — მათს ჩაცუცქულ სხეულებს ზემოთ გადავიხარე, მათს ათასფორმიან თავებს ზემოდან ბაყაყი გადავყავი და ჩავაგდე.

— ეს თქვენ!

უეცრად მოხდა საშინელება.

სადღაც ზეციდან ჩამოიმზღვლა უზარმაზარი გიგანტის ნახევრადგახრწნილი ლეში და ყველას თვალწინ დაენარცხა არენას, სადაც დაჭრილი გლადიატორი, რომელსაც ცოცხლად ჭამდნენ სისხლმოწყურებული მხეცები, შველას ითხოვდა, შველა კი არ ჩანდა, არა.

გიგანტის ლეში, ზეციდან გადმოეშვა და მძიმედ დაენარცხა მიწას. ცოცხალივით შეხტა, ათახთახდა, გახრწნილი ხელ-ფეხი აქეთ-იქით გადაყარა, თეთრი გულ-მუცელი ამოატრიალა.

ეს იყო ბაყაყი.

აქამდე აზარტით ატანილი მაყურებელი მყისვე საშინელმა პანიკამ მოიცვა. გაისმა შიშით გონდაკარგულთა ღრიალი. ყოველი მათგანი უკუაწყდა და ყვირილით გაექანა სხვადასხვა მხარეს. არავინ იცის, ვინ სად გარბოდა. ზოგიერთები ხეებზეც აფოფხდნენ. ერთმა, პანიკური შიშით შეპყრობილმა, აბანოს სახურავზე ამოჰყო თავი. დღესაც იქ ზის საბრალო და თვალყურს ადევნებს წყლის ორთქლის ქულებს, რომლებიც დინჯი შეუპოვრობით მიისწრაფიან ზეცისკენ... მიისწრაფიან, მიისწრაფიან, მაგრამ ზეცამდე ველარ აღწევენ და ჰაერშივე განიბნევიან...

სად, რომელ განზომილებაში ხდება კონსტანტობის უეცარი ცვლილება? როდის გადადის ადამიანი ერთი სკნელიდან მეორეში? — სანამ აქ არის, ხომ აქ არის. ხოლო როცა უკვე იქ იმყოფება, მაშინ ხომ აქაც აღარ არის.

სად არის საზღვარი? სად არის შუალედი? — ეჰ, ღმერთმა იცის.

2.12.93წ.



საუბარი მწერალთან

# ტრადიციული ინტერვიუ, არცთუ ტრადიციული პასუხებით

— ზაზა, ბანალური შეკითხვით დავიწყოთ. როგორ გესახებათ მწერლობის როლი და დანიშნულება?

— **დანიშნულებაზე საუბარი ცოტა ძნელია. მწერლობის დანიშნულებაში, ალბათ, იგულისხმება თუ რისთვის წერს მწერალი. მე მგონი, იმისთვის, რომ სხვა ადამიანებმა წაიკითხონ. ეს თვითგამოხატვისა და ადამიანთშორისი ურთიერთობის თავისებური ფორმაა. ხელოვნებას სხვადასხვაგვარ ფუნქციებს მიანიჭებენ ხოლმე, როგორიც არის: ესთეტიკური ტკბობა, სულის განვითარება, გრძნობების დახვეწა, უხამსი რეალობიდან თავის დაღწევის უნარი. ვფიქრობ, ყველა ესენი თანმხლები ფაქტორებია. ჩემი აზრით, მხატვრული შემოქმედება ადამიანის ფსიქიკური აქტივობის ისეთივე ბუნებრივი ფორმაა, როგორც აზროვნება ან მეტყველება. ასეთი თვითგამოხატვის ფორმები სხვა ცოცხალ არსებებსაც აქვთ: მცენარეები წარმოქმნიან ყვავილებს, ცხოველებსა და ფრინველებს აქვთ თავისებური საქორწინო ცეკვები. ბუნებაში ეს ყველაფერი ინსტინქტის დონეზე ხდება. ადამიანშიც, შემოქმედებითი პროცესი, ყოველ შემთხვევაში, საწყის ეტაპზე მაინც, ინსტინქტურად და გაუცნობიერებლად მიმდინარეობს. რაღაც ავტონომიური, დამოუკიდებელი ფორმა მწიფდება ფსიქიკის ქვედა შრეებში და მერე იბადება, როგორც ნაყოფი დედის მუცლიდან. ეს პროცესი ძალიან ჰგავს სიზმარს.**

[illegible]

— **სიზმარში ხდება რაღაც გარკვეული თუ გაურკვეველი მისწრაფებების, შთაბეჭდილებების, ფარული ფსიქიკური შინაარსების ფორმირება ცნობიერებისგან დამოუკიდებლად. ამიტომ, სიზმარი, უმრავლეს შემთხვევაში თვითონ სიზმრის მნახველი პიროვნებისთვის წარმოადგენს სიახლეს. თანამედროვე თეორიების მიხედვით, სიზმარი არის უკანასკნელი მაკავშირებელი რაციონალური ადამიანისა ინსტინქტების და კოლექტიური არაცნობიერების სამყაროსთან, და, გარკვეული აზრით, წარმმართველი როლიც კი ენიჭება პიროვნების ცნობიერ ცხოვრებაში, — ხან ამორფული განწყობილების სახით მოქმედებს, ხანაც პირდაპირ მინიშნებებს შეიცავს. აქ არ ვგულისხმობ რაიმე ოკულტურ ან წინასწარმეტყველურ მნიშვნელობებს. ჩემი აზრით, ხელოვნების ნაწარმოებიც, ისევე, როგორც სიზმარი, ფსიქიკის დაჩრდილულ შრეებში მწიფდება და ცნობიერებაში გამოვლენილს უკვე აქვს თავისი კონკრეტული შინაარსი და სტრუქტურა. ასე რომ, ბუნებრივია, მას აშკარა ანალოგია ეძებნება სიზმართან. სიტყვიერი შემოქმედების ისეთ ნიმუშებს, როგორიცაა მითები და ზღაპრები, მეცნიერები პირდაპირ უწოდებენ კაცობრიობის კოლექტიურ სიზმრებს. ამასთან დაკავშირებით იუნგს მაგალითად მოჰყავს რობერტ ლუის სტივენსონი, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში უტრიალებდა ერთ პრობლემას, კერძოდ, ადამიანში სიკეთისა და ბოროტების უცნაური გადახლართვის პრობლემას — მაგრამ გამოხატვა ვერ უპოვა. საბოლოოდ, სტივენსონმა სწორედ სიზმარში აღმოაჩინა რაღაც გასაღები. ასე შეიქმნა ბრწყინვალე მოთხრობა — „ჯეკილისა და ჰაიდის უცნაური შემთხვევა". ყველაფერ ამით იმის თქმა მინდა, რომ სიზმარიც ერთგვარი პიროვნული გამოცდილებაა.**

— როგორც ჩანს, დაინტერესებული ხართ ფსიქოლოგიური ლიტერატურით.

— **დიახ. მე განათლებით ფსიქოლოგი ვარ. 1979 წელს დავამთავრე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ფაკულტეტი. მართალია, მას შემდეგ ფსიქოლოგიაში არ მიმუშავია, მაგრამ ფსიქოლოგიურ ლიტერატურას ვკითხულობ. ჩვენი სტუდენტობის დროს ამ ლიტერატურის ერთი ყველაზე დიდი და საინტერესო ნაწილი, ფაქტობრივად, აკრძალული იყო.**

— თქვენ პოეზიაშიც მუშაობთ და პროზაშიც. რომელია თქვენთვის უფრო მნიშვნელოვანი ჟანრი?



— **ის, რომ ლექსებსაც ვწერ და მოთხრობებსაც, მგონი, ხრულიად ბუნებრივია. ჩვენში მწერლები, რატომღაც დაყოფილი იყვნენ პროზაიკოსებად და პოეტებად. რამდენადაც ვიცი, დიდი ლიტერატურული ტრადიციების ქვეყნებში, როგორიც მაგალითად, ინგლისია, თითქმის ყველა მწერალი წერს როგორც პოეზიას, ისე — პროზას. ისინი არ იზღუდებიან ერთი ჟანრით, მუშაობენ ლიტერატურის ყველა სფეროში, მათ შორის, ესეისტიკაში, ლიტერატურის თეორიაში. ჩემთვის ლექსიც და პროზაც თანაბრად მნიშვნელოვანია. ისე, მგონი პროზა უფრო ახლოს უნდა იყოს ჩემთან.**

— ვიცით, რომ მწერლის ოჯახში გაიზარდეთ. რა გავლენა მოახდინა ამან თქვენს არჩევანზე?

— **გადამწყვეტი გავლენა. ჩემს ირგვლივ ლიტერატურული გარემო იყო. უფროსები ხშირად მესაუბრებოდნენ ლიტერატურაზე და მირჩევდნენ, რა წამეკითხა. მათი საუბრიდან გამომდინარე, წარსულისა თუ თანამედროვე დიდი მწერლები ჩემთვის მისაბაძ ნიმუშად შეიქნენ. თუმცა, ამან შეცდომაშიც შემიყვანა: წლების მანძილზე მეგონა, რომ თითქოს დიდი ნაწარმოებები ითხზება ვიღაც ძალიან ბრძენი ადამიანების წინასწარგანზრახვით, რომ თითქოს ლიტერატურა არის შეფარვით თქმა იმისა, რასაც ჩვეულებრივი ადამიანები ვერ ხვდებიან. ვცდილობდი, მეც რაღაც ამდაგვარი მეთქვა. მხოლოდ მოგვიანებით მივხვდი, რომ ნამდვილი ლიტერატურა იქმნება იმპულსურად, — მწერალმა უნდა ილაპარაკოს ის, რაც თავისთავად ეთქმევინება, და არა ის, რისი თქმაც საჭიროდ მიაჩნია.**

— კიდევ ერთი ბანალური შეკითხვა. როდიდან დაიწყეთ წერა?

— **მეექვსე თუ მეშვიდე კლასში ვიყავი, როცა რაღაც გრძელი და ფანტასტიკური მოთხრობის წერა დავიწყე. ვწერდი და მამიდას ვუკითხავდი. ძალიან ხალისიანი პროცესი იყო — რაღაც ახალ აღმოჩენასავით. პირველად მაშინ მივხვდი, რომ წერა მოვალეობა არ არის. თუმცა, მამიდა ადრეც გვაწერინებდა ხოლმე შთაბეჭდილებებს და პატარა მოთხრობებს.**

— რას ნიშნავს თქვენთვის ტრადიცია?

— **ტრადიცია ნიშნავს ძალიან ბევრს. ადამიანის გემოვნებასა და სტილს, საწყოდ მაინც, ალბათ, წაკითხული წიგნები აყალიბებენ. მე ვკითხულობდი ყველაფერს კარგსაც, ცუდსაც და ძალიან ცუდსაც. მაშინ თითქმის ყველაფერი მომწონდა. ქართული პროზიდან, სხვადასხვა დროს მომწონდა ყაზბეგის, კლდიაშვილის, ბარნოვის მოთხრობები, „გლახის ნაამბობი", „არსენა მარაბდელი", „ლამბალო და ყაშა", „ნიკოლოზ გოშაშაბიშვილი", „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი", „დათა თუთაშხია", „ბიჭი და ძაღლი". ქართულის გარდა განსაკუთრებით მიყვარს და ჩემთვის ორიენტირიც არის ინგლისური, ნაწილობრივ — ავსტრალიური და ამერიკული პროზა: სვიფტი, დიკენსი, ლუის კეროლი, სტივენსონი, ჰერბერტ უელსი, კონან დოილი, ჰაქსლი, გრეივზი, ჯორჯ ორუელი. უმრავლესი მათგანის ქმნილებანი ბალანსირებს რეალურისა და არარეალურის, სიზმრისა და ცხადის ზღვარზე. ჩემთვის იდეალური პროზაც ასეთია, ასეთია, ჩემი აზრით, თვით ცხოვრებაც. ძალიან არ მიყვარს, ერთი მხრივ, მშრალი რეალიზმი, ნატურალიზმი, და მეორე მხრივ, ხატოვანი, „ზედმეტად ზალტირებული" პროზა, სადაც წინა პლანზე გამოტანილია ენობრივი სამკაულები, ზღაპრული და მითიური რეალიები, მწერლის პიროვნული ემოციები. მე მგონია, პროზაში უმთავრესია აზრი, შინაგანი ლოგიკა, ინტროსპექციური ხედვა, საგნის ერთგვარი გონებრივი დასხივება, როგორც ფოტოლაბორატორიაში, სადაც სურათის გამჟღავნება ხდება. სწორედ ეს სურათი თავისთავადი, შინაგანი მთლიანობა და მასში არ უნდა ლება ზედმეტი დეტალები და ფსიქოლოგიური თუ ენობრივი სამკაულების შეტანა. როდესაც ნამდვილ პროზაიკოსებს ვკითხულობ, მეჩვენება, რომ მათი ნაწერები რაღაცნაირი შინაგანი შუქით ასხივებენ. ეს სინათლე სხვადასხვა შემთხვევაში სხვადასხვა ფერის არის. ასეთია აპულეუსი, სერვანტესი, დიკენსი, პოლინი, დოსტოევსკი, სტივენსონი, უელსი, კაფკა და ბევრი სხვა.**

— გმადლობთ!

# გარდაიცვალა იოსიფ ბროდსკი



I გვერდიდან

„ჩვენ არ ვიყავით რაღაც კულტურული პროცესის ნაშიერნი, მიმდევრები ან ელემენტები — არაფერი ამგვარი არ ყოფილა. ღმერთმა უწყის, ჩვენ — ყველანი — საიდან მოვედით ლიტერატურაში, პრაქტიკულად, მხოლოდ ჩვენი არსებობის ფაქტიდან, წილიდან მოვედით, დაზგებიდან ან სახნისიდან კი არა, გაცილებით უფრო შორიდან — გონებრივი, ინტელექტუალური კულტურული არყოფნიდან მოვედით", — წერდა იოსიფ ბროდსკი თავისი თაობის პოეტებზე. მათ გაცნობიერებულიც კი არ ჰქონდათ, რომ რაღაც ტრადიციას აგრძელებდნენ. ისინი თავს ობლებად მიიჩნევდნენ და ამით ოიდიპოსის ცოდვებსაც გადაურჩნენ. როცა 1962 წელს 22 წლის იოსიფს მისმა მეგობარმა ევგენი რეინმა ანა ახმატოვასთან წასვლა შესთავაზა, დამწყებ პოეტს სახეზე განცვიფრება დაეტყო, მას ახმატოვა კარგა ხნის გარდაცვლილი ეგონა. 1979 წელს მიცემულ ერთ-ერთ ინტერვიუში ბროდსკი ამბობდა: „თუ შენ მანდელშტამის, ცვეტაევას ან ახმატოვას მსგავს ვინმეს 24 წლისა პოულობ, ისინი შენზე განსაკუთრებულად ზემოქმედებენ, ან ვთქვათ, ისინი შენზე წმინდა არქეოლოგიური თვალსაზრისით ზემოქმედებენ. ისინი შენზე ძლიერ ზემოქმედებას იმიტომ ახდენენ, რომ შენ მათ არსებობას არ ვარაუდობდი".

* * *

იოსიფ ბროდსკი 1940 წლის 24 მაისს დაიბადა, ლექსების წერა 15-16 წლის ასაკში დაიწყო, მაგრამ უცნაური იყო მისი გამოჩენა ლიტერატურულ არენაზე: 1963 წელს, ჟურნალ „ნოვი მირის" იანვრის ნომერში ანა ახმატოვას ლექსი გამოქვეყნდა, რომელსაც ეპიგრაფად ბროდსკის ლექსიდან აღებული ფრაზა უძღოდა. ეს ახალგაზრდა პოეტის აშკარა აღიარება იყო. 1963 წლის ნოემბერში კი გაზეთ „ვეჩერნი ლენინგრადის" ფურცლებზე მას „მუქთახორობაში" დასდეს ბრალი და მცირე ხნის შემდეგ დააპატიმრეს კიდეც.

რამდენიმე თვეში სასამართლოც გაიმართა. ბროდსკი არხანგელსკის ოლქის მიყრუებულ სოფელში გადაასახლეს. მეცნიერები, მწერლები, ჟურნალისტები წერილებს აგზავნიდნენ ცკ-ში, პროკურატურაში, უმაღლეს სასამართლოში. ა.ახმატოვა, ა.ბიტოვი, ა.ვოზნესენსკი, ი.დოკონოვი, ე.ევტუშენკო, ე.ეტკინდი, ვიაჩ.ივანოვი, ს.მარშაკი, კ.პაუსტოვსკი, კ.ჩუკოვსკი, დ.შოსტაკოვიჩი ახალგაზრდა პოეტის გათავისუფლებას ითხოვდნენ. თუმცა, იყვნენ ისეთებიც, ვინც უარს ამბობდა ხელის მოწერაზე (ა.ტვარდოვსკი, ი.ერენბურგი, ა.სოლჟენიცინი).

ბროდსკი 1965 წელს დაბრუნდა ლენინგრადში. მისი ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო. 1972 წელს იგი საზღვარგარეთ წავიდა (ამ დროისთვის დასავლეთში მისი ორი წიგნი გამოვიდა, საბჭოთა კავშირში კი მხოლოდ ოთხი ლექსი იყო გამოქვეყნებული). მას შემდეგ იგი სამშობლოში აღარ დაბრუნებულა... შემდეგ იყო ნობელის პრემია (1987 წელს), მსოფლიო აღიარება და 1991 წელს ამერიკის პირველი პოეტის საპატიო წოდება.

* * *

მას არასდროს დაუპირებია „სამშობლოს ჭიშკრების კუპრით გათხვრა", ყოველთვის, როცა შინ დაბრუნებაზე ესაუბრებოდნენ, ჰერაკლიტეს ფრაზას იმარჯვებდა: შეუძლებელია ერთ მდინარეში ორჯერ შესვლა. მიუხედავად მეგობრების ხილვის, მშობლების საფლავების მონახულების დიდი სურვილისა, იგი მაინც ვერ „ბედავდა" ჩამოსვლას. არ სურდა აეიოტაჟის საგნად გამხდარიყო, მისთვის დადებითი განცდები განსაკუთრებიც მომქანცავი იყო, თანაც ქვეყანა, სადაც იგი გაიზარდა, უკვე აღარ არსებობდა.

მისთვის ორენოვნება სავსებით ნორმალური ნორმა იყო და ხშირად მოჰყავდა ამის მაგალითები კლასიკური თუ თანამედროვე ლიტერატურიდან. იგი თითქოს გაორებული იყო რუსულ და ამერიკულ მწერლობას, ანტიკურობასა და აბსურდის ლიტერატურას შორის. აღიარებდა პასტერნაკის, მანდელშტამის, ოდენის, ელიოტის, ფროსტის გავლენას: „მე ვაღმერთებ გავლენას, ნამორბედთა ჰარმონიის გამოყენება მშვენიერი და სანიშნავი განცდაა", — ამბობდა იგი. პოეზია მისთვის არსებობის პირობა იყო. წარმოუდგენელია წერო „რაღაცაზე" ან „რაღაცისთვის", პოეზია მისთვის შინაგანი აუცილებლობაა, ფორმაა, რომელზე უარის თქმითაც ურთიერთობის უმდაბლეს ფორმებს ვწირავთ თავს.

1987 წელს ნობელის პრემიის გადაცემისას, შვედეთის აკადემიის მუდმივმა მდივანმა სტურე ალენმა თავისი სიტყვა ასე დაასრულა:

„ჩემთვის დიდი პატივი იყო, ნება მედგინეთ თქვენ, იოსიფ ბროდსკი პუბლიკისთვის ჩემს მშობლიურ ენაზე ყველაფერი ჩემს მიერ ნათქვამის აზრი თქვენი ერთ-ერთი ბოლო ლექსის ერთ სტროფშია თავმოყრილი: „Позволь сказать тебе: с тобою все в порядке".

მალხაზ ხარბედია



3 თებერვალი, 1996 წ.

# ომარ თურმანაული



ომარ თურმანაული თბილისში ოთხმოციანი წლების დასაწყისში გამოჩნდა. მხა... ტვრული თარგმანის მთავარ სარედაქციო კოლეგიაში მიიღო ცხონებულმა ოთარ ... ნოდიამ. ახალი ჯარმოვლილი იყო. საწყობის მუშად გააფორმეს. მალე ლექსებიც გამოაჩინა და უმალვე მიიპყრო ლიტერატურული საზოგადოების ყურადღება. პირველი კრებულიც მალე გამოსცა. მერე უცხო ენების ინსტიტუტში ჩააბარა, ფრანგული ენის ფაკულტეტი დაამთავრა. წერდა. თარგმნიდა. პერიოდულად იბეჭდებოდა. აფხაზეთში იომა და მშვენიერი პატარა წიგნიც გამოაქვეყნა — „ჯარისკაცის ჩანაწერები“.

ერთ ხანს ბუკინისტობას მიჰყო ხელი. ოპერის გადმოღმა, მიწისქვეშა ამოსასვლელთან იდგა მეგობრებთან ერთად. ამ ბოლო დროს საფრანგეთში წასვლა აიკვიატა, მოახერხა კიდეც. უკან წამოსასვლელი ფულიც არ ჰქონია, ისე გაემგზავრა. ახლა იქაა. „კარგად ვარო“, — ოჯახში დაურეკავს. ამ ლექსების ჰონორარსაც ოჯახის ფონდში ვრიცხავთ.

შადიმან შამანაძე

## ...მოვა გასული გაზაფხული

...ელაფერს სძინავს...
...ობათ ძალზე უდროო დროა,
...ცვირვებული მთვარე თვალად ქცეული მიმზერს.
...ოცებული ვარსკვლავებიც ხმას ვერ იღებენ.
... თითქოს მიწას საყვედურით მისჩერებია:
...მ დროს კაციშვილს რა უნდა გარეთ?“
... უხერხულად იშმუშნება ჩემს ფეხქვეშ მიწა;
... დუმს...
...უმს დამნაშავის დუმილით...

...ა ირგვლივ ყველაფერი დამუნჯებული,
...მ მძინარე მზეს გაალვიძებს ეს მდუმარება,
...ა და დასავლეთის მხრიდან ამოიხედავს:
...ბნევა დამნაშავე მიწა,
...ელმა დატრიალდება...
...მოდგომაც მიბრუნდება ზაფხულისაკენ,
...ე სიყვითლეშეპარული ფოთლებიც ისევ
გამწვანდებიან,
...ნელა, ნელა იქცევიან ისევ კვირტებად...

...ა გასული გაზაფხული და
...ურის იმ მოსახვევიდან, სადაც მაშინ თვალს
მიეფარე,
...ოჩნდები და — უკუსვლით — წამოხვალ ჩემსკენ...
...დება წამით მობრუნდები და
...ომშვიდობების ნიშნად)
... პაწია, თეთრვარდისფერი ხელი
...ე იმ გარდასული გაზაფხულის ჰაერს შეარხევს...
...ავ შებრუნდები...
...ვალ ჩემამდე...
...რუნდები და გამიღიმებ სევდიანად
(თითქოს მიდიხარ);
...ამეხვევი...
...ული გაზაფხულის ჰაერს ღრმად ჩავისუნთქავთ,
...ასული მღელვარებით კვლავ ავღელდებით
...დიდხანს, დიდხანს ვისაუბრებთ, ან —
...უფრო სწორედ —
...იან დიდხანს მოვუნდებით ყველა სიტყვის,
...ლა ღიმილის,
...ლა ცრემლის უკან წაღებას...

...ულ ბოლოს ჩვენ პირველად შევხვდებით
ერთურთს:
...ოცებას, აღტაცებას, ვნებიან მზერას
...ლებ უკან,
— შენს წკრიალა ხმას და მორცხვ ღიმილს...
...ა ფიქრს უკან ჩავიბრუნებთ,
...ა სიზმარს...
...ცნობები წავალთ ჩვენ ჩვენი
...მობისაკენ...

## ...მზის ექო

...ში ასფალტზე თეთრი ცარცით
... მზეებს ხატავს.
...ხოვრის ქუდშიც, მონეტებზე,
...ონავს მზეები.
...რი გზაა იმ მზეებს და
...ზეებს შორის?..
...ონავს მზეები ასფალტზე და
...ხოვრის ქუდში...

... ღულუნებს,
...ჩაში ღილინებს ლოთი...
...რი გზაა იმ ღულუნს და
...ონს შორის?
...რი გზაა ქალიშვილის პირველ ამბორს და
... ქალის გინებას შორის...

...ე ოვალი,
...ე ოვალი:
...ვალი და ჩამავალი
...ქო გასდევს ცხოვრების გზებს,
...ქო.
... გულიდან არეკლილი რომ ისახება
...თრ მზეებად,

და ღიმილად,
და იმედებად
და პირველ ლექსად,
პირველ ამბორად,
მერე კი, მერე...

სექტემბრის მზეს დაუხრია თბილი ტოტები;
ღულუნებენ ჩვილები და ხელებს იწვდიან,
ვარდისფერ ხელებს — მზის ტოტებისკენ.
იღიმებიან ქალიშვილები
და მათი ნაზი ღიმილი ჟონავს
მათივე ჩუმი სურვილების მიმართულებით.
მზე ნელა ჩადის.
ო, რამდენი თვალი შეჰყურებს
ამ ჩამავალ მზეს
ორი სურვილის გამომხატველი:
— მზეო, ჩადი!
და
— მზეო, ნუ ჩახვალ!..
ვიღაცისთვის სიყვარულის პირველი ღამე,
ვიღაცისთვის საბოლოო დაისი დგება
და
„მზეო, ჩადი“,
„მზეო, ნუ ჩახვალ“,
მზის სვლას ორგვარი სურვილი
აწონასწორებს.

## იმისთვის, რომ ორნი მაინც ვყოფილიყავით...

იყო ქალაქი.
ქალაქში — წვიმა.
იმ წვიმაში — მოწყენილობა.
ხოლო იმ მოწყენილობაში ოთხნი ვიყავით:
აქეთ ვიყავი მე (შენთან ერთად),
ცოტა იქით — შენ (ჩემთან ერთად);
ვდუმდით ჩვენ და
ვიდრე ვდუმდით, ოთხნი ვიყავით.
მერე მე რაღაც ისეთი ვთქვი,
რომ მარტო დავრჩი აქეთ (უშენოდ).
და სამნი დავრჩით:
იქით დარჩი შენ (ჩემთან ერთად)
ხოლო აქეთ მე დავრჩი მარტო.
მერე კი, როცა მიპასუხე,
ორნიღა დავრჩით ერთმანეთის პირისპირ:
მე — შენ.

შემდეგ მე მსურდა შენთვის მეთქვა რამე,
ისეთი, რომ ჩვენ ერთი გავმხდარიყავით,
ანუ მე „შენ“ გავმხდარიყავი,
ხოლო შენ „მე“ გამხდარიყავი,
მაგრამ...
შენამდე ქალი სიზმრად არც კი მენახა,
შენ კი ჩემამდე მამაკაცი გენახა უკვე
და თუმცა მე მჯეროდა ქალის,
და შენ, თუმცა, მამაკაცის აღარ გჯეროდა,
მაინც, რატომღაც, შენ კაცისა არ გეშინოდა,
მე კი, რატომღაც, მეშინოდა როგორღაც ქალის
და ამიტომაც ვდუმდი,
ანდა რამეს ვამბობდი ისეთს,
რომ ორნი ვყოფილიყავით...
რომ ორნი მაინც ვყოფილიყავით,
რადგან საშინლად მეშინოდა ცალკე დარჩენის...

მერე, რაც უფრო მეტად მსურდა
ის, რომ ერთნი ვყოფილიყავით,
მით უფრო მეტად მეშინოდა ცალკე დარჩენის,
მეშინოდა, რომ ერთის ნაცვლად
გავხდებოდით ერთი და ერთი,
და რომ ორნიც,
უკვე ორნიც ვერ ვიქნებოდით;
ამიტომ ვდუმდი, და მიხაროდა
ის, რომ ორნი მაინც ვიყავით...

## ზოგჯერ მგონია...

ზოგჯერ მგონია, რომ მე ღმერთის კენტი ცრემლი ვარ,
რომელიც მისმა უსამანო წუხილმა ზარდა,
თანდათანობით აავსო და დააშორა მას...
და როცა ღმერთის კენტი ცრემლი მგონია თავი —
— მისი უსაზღვრო და უცნობი სევდის ნაყოფი —
ვცდილობ ჩავწვდე დამბადებლის წუხილის მიზეზს
და ევას ვეძებ, ჩემს წყვილს,
მასაც ჩემსავით შობილს
(ალბათ ღმერთის მეორე თვალზე...);
ვეხები ხელით,
ბაგეებით...
მაგრამ ისიც ჩემნაირი ცრემლია მხოლოდ,
ისიც ღვთიური სიმლაშით სავსე...
და მიჟონავს ჩემს ხელისგულებში.

## ნეტავ ჩემს თავს არა ვგავდე

ნეტავ ჩემს თავს არა ვგავდე (ჩემი არაფერი მინდა),
სანატრელი არა მქონდეს არაფერი ამ ქვეყნიდან
და ნეტავ შენც ის ჰგავდე, არა ჰგავდე ადამიანს —
— იასავით არ იცოდე, რომ კარგი ხარ, როგორც ია,
გიყვარდე და არ იცოდე სიყვარული რასა ქვია...
მე შენს თმაში თითებს ვხვევდე, სხივებივით ცხელს და
მზიანს;
შენს სულს ვზრდიდე, როგორც მზის სხივს გაზაფხული
გაუზრდია;
თუ მოგჭარბდე, მოკვდავივით არ ინატრო წვიმა ციდან,
თუ მოგაკლდე, მოკვდავივით არ იტირო:
„მზესთან მინდა...“,
გარედან არ მოიმოსო ძაძა, არცა ბნელი რიდე —
— შავი ძაძა მოჟონავდეს შენი ლურჯი თვალებიდან,
შენი ხმიდან მოჟონავდეს,
მხრებიდან და ხელებიდან;
ენამჭევრმა რაყიფებმა, ახლა ქებით ხულს რომ გხდიან,
მიწისგან ვერ გაგარჩიონ, ჩაგიარონ გვერდზე მშვიდად;
შენი ძაძის გახდა ჰგავდეს წამოდგომას სამარიდან:
ერთმანეთი მოგვწყურდეს და შენ აქიდან, მე იქიდან
ლეთის წყალი ყლუპად შევსვათ, გზა გამოჩნდეს
სულეთიდან...
არც ცოლივით მომეგებო, რომ ინახავს ნამუსს
წმინდად,
არც ისე, ვით საყვარელი, უნახავი დიდი ხნიდან,
არც ღიმილი მომაგებო,
არც ცრემლები თვალებიდან,
არ მიამბო რა გადაგხდა ამა წლამდე, იმა წლიდან;
შევხვდეთ, თითქოს გამოვსულვართ ერთმანეთის
სიზმრებიდან:
ჩვენს მხრებზე გზა გადიოდეს
სამზეოში — სულეთიდან.

## პოეტური მემუარი

ბოლო დროს ხშირად ვიხსენებ ამბავს:
ერთ პროვინციულ ქალაქში, სადღაც,
ერთი პატარა ოთახი მქონდა,
ერთი საწოლი მქონდა ოთახში,
ერთი საწერი მაგიდა მედგა
და ერთი სკამი...

ერთ იმ ქალაქელ გოგოს ვუყვარდი...
ეცვა უბრალოდ, სუფთად და სადად:
თხელი მაუდის პალტოს იცვამდა,
ყელზე მეგობრის შარფი ეხვია,
მხარზე — იაფი სპორტული ჩანთა
და ხურდა ფული ჰქონდა ჯიბეში...
ისე უბრალოდ იხდიდა პალტოს,
ისე უბრალოდ იხდიდა კაბას...
იმ ერთ სკამს იმ ერთ საწოლთან დგამდა
და კაბა იყო ისეთი სადა...
და თვითონ, თვითონ ის იყო სადა,
ისე უბრალო და ისე სადა,
რომ ჯემპრის შიგნით, რომ ჩაიცვამდა,
და პალტოს შიგნით, რომ მოისხამდა,
იმ პალტოს შიგნით და ჯემპრის შიგნით
გული უჩანდა...

ვიხსენებ ხშირად აი ამ ამბავს,
არასდროს მომხდარ ამბავს ვიხსენებ.

# თამაზ ვასაძე

# თვალისახელა

I გვერდიდან

მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედებით მოწოდება სიმართლის დაუფლებაა, შეიძლება ითქვას. გასაოცარი მახვილგონივრობით მისი ნაწარმოებებში მოქცეულ ყოველგვარ მისტიფიკაციას და ილუზიას აცამტვერებს.

საერთოდ, რეალიზმი შეიძლება განისაზღვროს, როგორც სიყალბეთა, მოჩვენებითობათა და ილუზიათა გამოაშკარავებაზე, გაქარწყლებაზე დამყარებული მხატვრული მეთოდი, როგორც ილუზიების დამამსხვრეველი მხატვრული ინსტრუმენტი. ბალზაკის ერთ-ერთი რომანის სათაური „გამქრალი ილუზიები“, შესაძლოა, გამოდგეს რეალიზმის ფორმულად, რომელიც ერთნაირად მიესადაგება ადრინდელი თუ კლასიკური რეალიზმის ნიმუშებს, ვთქვათ, „დონ კიხოტს“ ან „მადამ ბოვარის“.

ილუზიების რეალისტურ გაქარწყლებაში მიხეილ ჯავახიშვილი დიდ სიმძაფრეს, განუხრელ თანმიმდევრულობას და გაბედულებას იჩენს. ქართულ ლიტერატურაში მისი წინამორბედი ილუზიების გამქარწყლებელი დავით კლდიაშვილია, ოღონდ უფრო ლმობიერი და შემწყნარებელი.

ილუზიათა მიღმა არსებული, თუნდაც სასტიკი და საზიზღარი სიმართლის წვდომის მოთხოვნილება აყალიბებს ძირითადად მიხეილ ჯავახიშვილის მსოფლმხედველობას და სტილს. მის ყველაზე მნიშვნელოვან ნაწარმოებთა ერთ წყებაში კი რეალობის და ილუზიის შეჯახება არსებითი მოტივი თუ პრობლემაა, პერსონაჟის სახის და სიუჟეტის ქმნადობის არსებითი პრინციპია.

საპროგრამო ნაწარმოებისთვის დამახასიათებელი სისტემურობით და გამოკვეთილობით მჟღავნდება ყოველივე ეს მოთხრობაში „კურდღელი“. მისი გმირი, ახალგაზრდა ქალი ვერ უძლებს დანაშაულის მძიმე გრძნობას და ილუზიას. ავადმყოფურ ფანტაზიას აფარებს თავს. ქალის, რომელიც მისმა ეგოიზმმა დაღუპა, ცოცხლად ხატავს. მოთხრობაში გაშლილია დრამატული სულიერი ორთაბრძოლა ქალის და ფსიქიატრის შორის, რომელიც პაციენტს ფანტასტიკური ილუზიიდან სინამდვილეში აბრუნებს. ილუზია საკვირველ სიმყარეს და გამძლეობას ავლენს, მაგრამ კიდევ უფრო მტკიცეა ექიმის რეალიზმი, ჯიუტი მეთოდურობით რომ აღმოფხვრის მას. ექიმის შეუპოვრობა და აზარტი არ საზრდოობს მხოლოდ რიგითი პროფესიული ამოცანის გადაწყვეტის, პროფესიული წარმატების მიღწევის სურვილით. მის მცდელობას წარმართავს, აგრეთვე, გარკვეული მრწამსი და შესაბამისი ზნეობრივი მისწრაფება — ავადმყოფურ ილუზიაში თავშეფარება გაქცევაა, ანუ სიმხდალეა, უმწეობის, ადამიანური არასრულფასოვნების ნიშანია, ის გულისხმობს სიცრუეს, თავისმოტყუებას და მოკლებულია რაიმე ფასეულობას, ვინაიდან სიცარიელეში ხორციელდება, არარას ეყრდნობა; ეს არის გზა სრული დეგრადაციისკენ, შეშლილობისკენ. „ყოველივე რეალურიც, ამქვეყნიურიც მძიმე და მწვავე, როგორც შენი შვილის სიკვდილი, — ამბობს ექიმი! — (...). მაგრამ ამ ქვეყნიდან გაქცევა და სიზმარეთში ცხოვრება ასჯერ უფრო უარესია. დღეს თუ ხვალ ეს ქვეყანა თვითონ დაგეწევა — ვერსად წახვალ — და თვითონვე გაგაღვიძებს, მაგრამ ისე უხეშად (...) შეგანჯღრევს, რომ სამუდამოდ დაგამტვრევს, დაგაგონჯებს, გაგაგიჟებს“. ექიმის რეალიზმი ძალიან მკაცრია, განსაზღვრული აზრით — სასტიკიც. მაგრამ ამავე დროს ის ჰუმანურია, ადამიანის სრულფასოვნებაზე ზრუნვით არის ნაკარნახევი. ასეთივეა თვით მიხეილ ჯავახიშვილის მხატვრული თვალთახედვა — უკიდურესად მკაცრი და ჰუმანური.

ექიმის მცდელობის ზნეობრივი საზრისი ისიც არის, რომ ავადმყოფის სინამდვილეში დაბრუნება ახლობელ ადამიანებთან მისი გაწყვეტილი სულიერი და მორალური კავშირის აღდგენას მოასწავებს. ვიდრე ილუზორულ წარმოდგენებშია თავშეფარებული, ქალი ახლობლებისგან მთლიანად გაუცხოებულია. მეტიც, შეიძულებს ქმარს, რაც მთავარია, თავის მეორე შვილს. ავადმყოფური ილუზია მისი ეგოიზმის ცხადყოფად იქცევა, საიდანაც იგი ძნელად გამოჰყავს ექიმს.

რასაკვირველია, არ უნდა ვიფიქროთ, რომ მწერალი ცალსახად უარყოფს ილუზიებს და გულგრილია [illegible] მიმართ, რომელიც [illegible]. მიხეილ ჯავახიშვილი [illegible]

რომელიც ამავე დროს აღმატებულია სქესობრივ იმპულსებზე, რამდენადაც ერთმანეთის შეუცვლელობის განცდას მოიცავს. ამ ადამიანების გრძნობები სიკვდილის ნაყოფია — მათ წარმოშობს ქალის გამომწვევი ქცევა, რომელსაც განაპირობებს მხოლოდ და მხოლოდ ის, რომ სიკვდილის სიახლოვე ქალს სიცოცხლის წყურვილს და ეროტიულობას უათკეცებს. მეორე მხრივ, მოთხრობის გმირთა ურთიერთობას სიკვდილი ეღობება წინ, ესე იგი, ის, რაც ბიძგს აძლევს სიყვარულს, ფატალურად აბრკოლებს კიდეც მას. ავადმყოფური მარტოობის გარ-

გაგებით ხატავს და ძლიერად გვაგრძნობინებს მეჭირვებულ სულიერ და ობიექტურ მდგომარეობებს, საიდანაც ილუზიები იბადება, ტკივილებს, რომელსაც ილუზიათა დამსხვრევა, ულმობელ რეალობასთან პირისპირ დარჩენა იწვევს.

სინამდვილეზე თვალისახელა არამარტო მეტაფორული, არამედ პირდაპირი მნიშვნელობითაც წარმოდგება მოთხრობაში „ყბაჩამ დაიგვიანა“. ბრმა გოგონას განკურნების ამბავი, ამასთანავე, ცხოვრების დაუნდობლობასთან მისი შეხლის ისტორიაა. თინას შინაგან სამყაროს პოეტურ-ზღაპრული წარმოდგენები ავსებს, სიყვარულის და ბედნიერების მოლოდინის მთრთოლვარე გრძნობა მსჭვალავს, რომელსაც ახლადგაღვიძებული სქესი ამძაფრებს. და აი, გამოჩნდება კაცი, ვინც მას ამ მოლოდინს თითქოს აუსრულებს და სიბრმავისგანაც დაიხსნის, მაგრამ იმავდროულად სინამდვილის საშინელების განსახიერებად ევლინება.

მიხეილ ჯავახიშვილის პოეტიკა უპირატესად, ასე ვთქვათ, უკიდურესობათა პოეტიკაა. მწერლის ესთეტიკური რადიკალიზმი ეძიებს მეტად მკვეთრ სიუჟეტურ და ფსიქოლოგიურ ვითარებებს, კონფლიქტებს; მიელტვის დასახატავი საგნის ჰიპერტროფირებას, პერსონაჟთა სახეების „გამსხვილებას“, ხშირად გროტესკულს, სიტუაციების და ხასიათების დაძაბულ კონტრასტულობას.

**საერთოდ, რეალიზმი შეიძლება განისაზღვროს, როგორც სიყალბეთა, მოჩვენებითობათა და ილუზიათა გამოაშკარავებაზე, გაქარწყლებაზე დამყარებული მხატვრული მეთოდი, როგორც ილუზიების დამამსხვრეველი მხატვრული ინსტრუმენტი.**

მოთხრობაში „ყბაჩამ დაიგვიანა“ თინა და სოლო სილამაზის და სიმახინჯის დრამატულ კონტრასტს ქმნიან. სოლოს შემზარავ გარეგნულ იერს მისი შინაგანი ბუნების ზოგიერთი ნიშანიც შეესატყვისება. ეს ბოგანო პროლეტარი ხარბად შეიგულებს საკბილოს, როგორზედაც სხვა დროს ვერც იოცნებებდა და უცერემონიოდ ეუფლება ბრმა, უსუსურ ქალიშვილს. მაგრამ მწერალს ზნეობრივი მონსტრის დახატვა არა აქვს განზრახული: სოლო თავისებური სითბოთი და მზრუნველობით ეკიდება თინას, რომელიც უკვე მისი საკუთრებაა. თინა ბედნიერია მასთან, სანამ ბრმაა, რაკი ვერ წარმოუდგენია, როგორია მისი საბედო. გულისამაჩვილებელია თინას ერთგული გრძნობა მისდამი, უსინათლო სოფლელ გოგოს მარტოდმარტოს რომ ჩაიყვანს ქალაქში და მონახვინებს საქმროს. მით უფრო მტკივნეულია საშინელ რეალობაზე მისი თვალისახელა, რომელიც ფიზიკური სიბრმავისგან განკურნების დიდ სიხარულს წამლავს, მტკივნეულია სრულყოფილი ბედნიერების ილუზიის ბურანიდან გამოსვლა. მაინც თინა, ილუზიის გაფანტვის შემდეგ, თავისთავში პოულობს ზნეობრივ ძალას, არ გაექცეს ძნელად შესაგუებელ სინამდვილეს.

„ოქროს კბილის“ გმირი თომა შალიშვილი კი სამუდამოდ ილუზიით მონუსხული რჩება. ეს მოთხრობა ფსიქოანალიზის, გროტესკის და რომანტიკის უჩვეულო ნაერთია. ავადმყოფური სექსუალური ვნებებით და კომპლექსებით შეპყრობილ ახალგაზრდა კაცს და სასიკვდილოდ დაავადებულ ქალიშვილს უჩნდებათ მძაფრი გრძნობადი ურთიერთმიზიდულობა.

ღვევის, სრულფასოვანი არსებობის დაწყების თითქოსდა რეალური შესაძლებლობა, რომელიც სქესის წინაშე შიშით დათრგუნულ მოთხრობის მთავარ გმირს ეძლევა, ფაქტობრივად სიკვდილის მიერ მოვლენილი ვერაგი ილუზიაა. ობიექტურად იგი ნაწარმოებში სრულიად ქარწყლდება — ქალი კვდება. მაგრამ ეს რჩება თომას თვალსაწიერის მიღმა და ის კვლავ ილუზიის მორჩილია, ტანჯვით განაგრძობს მისთვის სანუკვარი ადამიანის ძებნას, რომელიც აღარ არსებობს, უკვე ისეთივე ფანტომია, როგორიც ამაღლებული პოეზიის შორეული და მიუწვდომელი ქალის ხატი. მწერალი არ შეაჯახებს თავის პერსონაჟს უნუგეშო სიმართლესთან, მის მიერ ქალის სიკვდილის შეტყობა მელოდრამად აქცევდა ნაწარმოებს, რომელშიც ისედაც მკაცრი გემოვნების მოთხოვნათა დარღვევის რისკით არის გამოყენებული მელოდრამატული ელემენტები სიყვარულის რომანტიკის გამოსახატავად. მაგრამ არსებითია ის, რომ მოთხრობის გმირს არ სურს, ძალა არ ყოფნის შეიცნოს სიმართლე, მაშინ, როცა სულ ახლოსაა მასთან. — მისი სახე გროტესკულობას მაინც ბოლომდე ინარჩუნებს. ამ პერსონაჟის მდგომარეობა, რომელიც თავისი არსით „კურდღელის“ გმირის ავადმყოფობას გვაგონებს, უფრო საშინელი და გამოუვალია, ვიდრე ნებისმიერი მელოდრამა, საერთოდ, ჩვეულებრივი ადამიანური უბედურება. ილუზიის ტყვეობაში სამუდამოდ დარჩენა და რეალობაში დამკვიდრების აბსოლუტური შეუძლებლობა, — თუნდაც ილუზიას გმირის პათოლოგიურ ცხოვრებაში ჭეშმარიტი ადამიანური სწრაფვა შემქონდეს — მწერლის თვალთახედვით, თავადაც პათოლოგიაა, არასრულფასოვნებისთვის განწირულებაა.

„ჯაყოს ხიზნები“ ილუზიათა კატასტროფული მსხვრევის და თვალისახელის მრავალაქტიან ტრაგიკომედიას წარმოადგენს. ილუზიები აქ აღარ არის შემოფარგლული მხოლოდ ადამიანების კერძო ცხოვრებით, სოციალურ-პოლიტიკურ და მსოფლმხედველობრივ სფეროებს წვდება.

თეიმურაზ ხევისთავის აზროვნება, მისწრაფებები, საქმიანობა მთლიანად ილუზიებზეა დამყარებული და რაღაც ფანტასტიკური ელფერი აქვს. თეიმურაზის

**თუ გრიგოლ რობაქიძის ან კონსტანტინე გამსახურდიასთვის არქაიკა და მითი მოწიწების აღმძვრელი საკრალური სფეროა, ჭეშმარიტების და იდეალის საუნჯეთა საცავია, მიხეილ ჯავახიშვილისთვის ის კრიტიკულ-რეალისტური დაკვირვების საგანია სხვა საგანთა შორის.**

პროგრესისტული ოცნებები, მისი წარმოსახვის გამუდმებული ნახტომები გლობალურ პოლიტიკაში, მისი მოჩვენებითი საზოგადოებრივი აქტივობა დიდად აშორებს მას ცოცხალ რეალობას და ამ რეალობის ევროპულ ყაიდაზე გარდაქმნის მირაჟს ალანდებს. არსებითად ყოველივე ეს ემსახურება ხევისთავის ცრუ წარმოდგენას საკუთარი აღმატებული მნიშვნელოვნების შესახებ.

სოციალურ-პოლიტიკური და მსოფლმხედველობრივი ილუზიები იმით არის სახიფათო, რომ უნებლიეთ უწყობს ხელს უყურადღებოდ მიტოვებულ სინამდვილეში რაღაც ისეთის წარმოქმნას და ზრდას, რაც თავისი ბუნებით მთლიანად ეწინააღმდეგება ილუზიათა იდეალიზმს. სინამდვილის შურისძიება ილუზიებით დაბრმავებული თეიმურაზის მიმართ ისეთი სასტიკია, რომ ძნელია მისთვის ანალოგის მოძებნა და არამარტო ქართულ ლიტერატურაში.

**სოციალურ-პოლიტიკური და მსოფლმხედველობრივი ილუზიები იმით არის სახიფათო, რომ უნებლიეთ უწყობს ხელს უყურადღებოდ მიტოვებულ სინამდვილეში რაღაც ისეთის წარმოქმნას და ზრდას, რაც თავისი ბუნებით მთლიანად ეწინააღმდეგება ილუზიათა იდეალიზმს.**

მაგრამ ხევისთავის სახეში გასაოცარი, იშვიათი, ერთდროულად ტრაგიკული და კომიკური ის არის, რომ ამ ადამიანის ცნობიერება ყველაზე საზარელი, თითქოსდა საბოლოო თვალისახელის შემდეგ კვლავ ილუზიებს ბადებს და ებღაუჭება, ვიდრე მორიგ კრახს განიცდიდეს. მერე ეს ციკლი ისევ მეორდება... რაციონალისტური უტოპიის ნანგრევებზე აღმოჩენილი

თეიმურაზი ჯერ ხა[illegible]
ტიანობას უკავშირებს სულიერი [illegible]
ნების და ცოლთან ერთად ახალი [illegible]
რების დაწყების იმედს, შემდგომ [illegible]
და ულმობელი ზეკაცის იდეალ[illegible]
რებს, რაც განსაკუთრებით ტრაგი[illegible]
რია, ბოლოს კვლავ ქრისტიანობას [illegible]
ნდება და მისი შემწეობით [illegible]
თავისი სუსტი სულის განმტ[illegible]
თუმცა ილუზიების გაცამტვერების
რეანიმაციის ეს პროცესი მთლად უ[illegible]
ფო მაინც არ არის, რადგან თეიმუ[illegible]
თვალი ეხილება თავის პასუხისმგ[illegible]
ბაზე იმის გამო, რაც მოხდა.

თეიმურაზს არ უქრება ილუზორ[illegible]
იმედი, რომ მისი და მარგოს ერთად [illegible]
მაინც შესაძლებელია და ეს ილ[illegible]
რომელმაც სინამდვილის უმძიმეს [illegible]
მებს გაუძლო, სულის სისუსტის გა[illegible]
უცნაური ერთგულების გამომჟღავნებ[illegible]
მაგრამ აქაც, ისევე როგორც „ოქ[როს]
კბილში“, ილუზია და ადამიანური სრ[ულ]
ფასოვნება ერთმანეთთან შეუთავსებელ[illegible]

ილუზიების გაქარწყლება და თვა[ლის]
სახელა „თეთრ საყელოშიც“ ხდ[illegible]
ოღონდ ისე დრამატული არ [illegible]
როგორც მოთხრობებში და „ჯაყოს ხ[იზ]
ნებში“. ქალაქური, ცივილიზებული ც[illegible]
ერებით, არსებითად კი საბჭოთა რეა[ლობით]
გაბეზრებული ელიზბარისთვის მიუღებ[illegible]
რეალობისგან გამმიჯნელი რომანტი[illegible]
თავშესაფარია ხევსურების მიუვალი [illegible]
ფელი — არქაული სამყარო, ს[illegible]
ისტორიული დრო შეჩერებულია, ბ[illegible]
ნობს ტრადიცია და მითი. ელიზბ[არი]
თითქოს ეთვისება ამ სამყაროს, „გა[ხევ]
სურდება“, მაგრამ ეს ფერისცვალებ[ა]
თანამედროვე რთული ცხოვრების პ[illegible]
არქაული იდილიით შენაცვლების [illegible]
ილუზორული აღმოჩნდება.

თუ გრიგოლ რობაქიძის ან კონს[ტა]
ნტინე გამსახურდიასთვის არქაიკა [და]
მითი მოწიწების აღმძვრელი საკრალ[ური]
სფეროა, ჭეშმარიტების და იდეა[ლის]
საუნჯეთა საცავია, მიხეილ ჯავახიშვ[ილი]
სთვის ის კრიტიკულ-რეალისტური და[კვი]
რვების საგანია სხვა საგანთა შორ[ის].
თუმცა უძველესი წარსულის რომანტი[illegible]
სამკვიდრებელში, რომელსაც „თეთრი
ყელო“ წარმოგვისახავს, უეჭველად პო[illegible]
ტიური ღირებულებებია შემონახული ([illegible]
ნებასთან სიახლოვე, ვაჟკაცობა, მეგობ[რო]
ბის კულტი, ოჯახის სიმყარე) და რომ[illegible]
მთავარი გმირი ეზიარება მათ, მაინც [illegible]
იმედგაცრუება არ აცდება. მისი ხ[illegible]
თანდათან სულ უფრო ფხიზელი ხ[illegible]
და საბოლოოდ მითოსის აბსოლუტ[illegible]
ჭეშმარიტებად აღიარება ცრურწმენად [illegible]
რმოუდგება, ცოდნა — განათლების [illegible]
ტექნიკისთვის ზურგშექცევა და პრიმ[illegible]
ული ყოფა — ველურ ჩამორჩენილო[illegible]
ელიზბარის ანტიპათიას იწვევს სხვა[illegible]
ხვა რიტუალი, ადათი თუ ცხოვრ[illegible]
წესის თავისებურება, განსაკუთრებით
ცისკვლისადმი გაიოლებული დამოკიდ[ებუ]
ლება...

ელიზბარს არ შეუძლია მითო[illegible]
ცნობიერების მქონე ადამიანებივით [illegible]
მოს, მაგალითად, რომ მალე იაპონი[illegible]
მეფე ერეკლეს შვილიშვილი ჩამოვ[illegible]
საქართველოში ბაგრატიონების დინ[illegible]
აღდგება, არ შეუძლია გაიზიაროს [illegible]
სიბრმავე გარემომცველი მკაცრი, რ[illegible]
სამყაროს და მისი კანონებისადმი. [illegible]
მეტეს, რომ ამ სამყაროს შემო[illegible]
წინაშე სიძველის და მითის [illegible]
საუფლო თავის სრულ უმწეობას [illegible]
აშკარაა, რომ მცირე ხანში მას [illegible]
დროვეობა შთანთქავს, რომელთან შ[illegible]
რებითაც ისე გამოიყურება, როგ[illegible]
რაღაც ირეალური, გამოგონილი. მიხ[ეილ]
ჯავახიშვილის გმირი აცნობიერებს, [illegible]
წარსულში უკუქცევა სინამდვილიდან [illegible]
ლმოკლე ილუზორული გაქცევაა. [illegible]
არქაიკა და მითი საბჭოთა რეალ[illegible]
სერიოზულ, სიცოცხლისუნარიან ალ[ტერ]
ნატივად არ გამოდგება; ამ რეალობის
დაპირისპირება თანამედროვე ცივილ[იზა]
ციის მთელი სირთულის გათვალისწ[ინე]
ბითაა შესაძლებელი და არა შორ[illegible]
წარსულში და მითოსში გადასახლებ[ით].

მიხეილ ჯავახიშვილს სიმართ[ლის]
მწარე გემო ერჩივნა ილუზიების [illegible]
ნებელ სიტკბოს, რადგან მიაჩნდა [illegible]
სიბრმავე, თავისმოტყუება საბედისწ[ერო]
ამავე დროს დამამცირებელი სისუ[სტეა]
და მხოლოდ სიმართლეზე თვალახ[illegible]
ლობაა ადამიანისთვის შესაფერის[illegible]
ფიერების ფორმა, რაც უნდა მკ[illegible]
მოსათმენი იყოს ეს სიმართლე [illegible]
ტკივილის მომყენებელი — ილუზ[იების]
გარეშე არსებობა.

## ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲐᲞᲐᲠᲐᲢᲘ

ᲛᲔᲝᲗᲮᲔ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

...ბაზე, რასაც ამა თუ იმ საერთაშო... შეხვედრაზე წასული დეპუტატი ...ტანდა. ეს კი შემთხვევით ხასიათს ...ბდა. არადა, მნიშვნელოვანი ფაქ...რია, როცა დეპუტატი, რომელიც ...მაობს კანონზე, ფლობს ინფორმაცი... სხვა ქვეყნების შესაბამის კანონზე, ...სი არსებობა — არარსებობიდან ...ქვებული, კანონის აგების პრინცი...თ დამთავრებული. სხვათა შორის, ...ცხოეთის კანონები მოცულობით სა...ოდ განსხვავდება ჩვენი კანონების... — ფორმა აქვთ სხვაგვარი. კანონი ...ცავს ყველა კანონქვემდებარე და ...რმატიულ აქტს. არაფერი დამატე...თი მას აღარ სჭირდება.

...ამიტომ — მიიღებს თუ არა რომე... კანონს პარლამენტი, ან გამოიყე...ნ თუ არა ჩვენს მიერ მიწოდებულ ...ფორმაციას დეპუტატები, ეს მათი ...მეა, ჩვენ ვალდებულნი ვართ, ...აწოდოთ მათ საჭირო ინფორმა...ა სხვადასხვა ქვეყნებიდან. ამ სა...მში მნიშვნელოვან დახმარებას გა...წევს კომპიუტერული ქსელი. ინ...რმაციის მიწოდება რომ ცალმხ...ვი არ იყოს, სამომავლოდ ამავე ...ნყოფილებამ უნდა უზრუნველყოს ...ქართველოს პარლამენტის მიერ მი...ბული ნებისმიერი საკანონმდებლო ...კუმენტის მიწოდება ყველა ქვეყ... პარლამენტის ანალოგიური ...რუქტურებისთვის".

4) ᲡᲐᲙᲐᲓᲠᲝ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲗᲐ ᲓᲔᲞᲐᲠ...ᲛᲔᲜᲢᲘ. მასში შედის: ა) სააღრიც...ო განყოფილება; ბ) ატესტაციისა ...კვალიფიკაციის განყოფილება. ...მავე დეპარტამენტს ევალება პერი...ოდ სპეციალისტთა ატესტაციის ჩა... და მათი კვალიფიკაციის ამაღ... ზრუნვა.

5) ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲢᲘᲙᲘᲡ, ᲐᲮᲐᲚᲘ ᲢᲔ...ᲚᲝᲒᲘᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲞᲔᲠᲡᲞᲔᲥᲢᲘᲣᲚᲘ ...ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲔᲞᲐᲠᲢᲐᲛᲔᲜᲢᲘ. მა... ...ვის პარლამენტის ა) ინფო...ციული უზრუნველყოფა და ...ახალი ტექნოლოგიის დაუფ...ბისთვის კოორდინაციის გა...ა. ამავე დეპარტამენტშია გაე...ული ახლადშექმნილი გ) ...რსპექტიული განვითარების ...ყოფილება.

ᲮᲐᲗᲣᲜᲐ ᲑᲝᲒᲝᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ: ...რლამენტს უამრავი კავშირი ...ს სხვადასხვა საერთაშორისო ...განიზაციასთან, რომლებიც ...თავაზობენ ამა თუ იმ სამსა...რის გაწევას, დახმარებას კო...უტერიზაციაში, ენების შეს...ლაში თუ სხვა საკითხებში. ...ს ყველაფერს კოორდინაცია ...რდება. ადრე ეს წინადადე... კონკრეტულად რომელიმე ...ის სახელზე მოდიოდა. ახლა ...ა წინადადებას ჰყავს ერთი ...ესატი, რომელიც თვითონ ...ენს, რომელი წინადადება ...ორ გამოიყენოს".

6) ᲞᲠᲔᲡᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ ᲡᲐ...ᲮᲣᲠᲘ. მასში შედის ა) პრესსამსახური ...ესცენტრი, ტელეჯგუფი, ბ) საგამომ...ლო განყოფილება, რომელიც უზრუნ...ვს ნებისმიერი ბეჭდვითი პროდუქციის ...ცემას საჭიროებისამებრ, იქნება ეს ..., ბროშურა, ბუკლეტი, ბიულეტენი თუ ...; გ) საზოგადოებრივი ურთიერთო...ბის განყოფილება, რომელიც უზრუნვე...ყოფს ...ჯაროობას და საზოგადოებასთან ...ლამენტის ურთიერთობას.

ᲮᲐᲗᲣᲜᲐ ᲑᲝᲒᲝᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ: „პარლამე...ტი უნდა იყოს მაქსიმალურად ღია ...რუქტურა. ნებისმიერ ადამიანს, ვისაც ...ასი სურვილი გაუჩნდება, უნდა ჰქონ... საშუალება, საკუთარი თვალით ნა... პარლამენტის სამუშაო პროცესის ...ისმიერი ეტაპი.

...პირადად ჩემთვის სასიამოვნო აღმო... იყო, როცა დავრწმუნდი, რომ ...ბობს ხალხი, რომელიც ინტენსიუ... ადევნებს თვალს პარლამენტის მუ...ბას. ჩვენ ვაპირებთ ამ ხალხთან ...იერთობის ჩამოყალიბებას. ვფიქ...თ, 2-3 თვის შემდეგ პარლამენტში ...ლოთ ის ადამიანები, ვისაც სურს, ...ნროს კანონზე მუშაობის პროცესს ...თუნდაც, პლენარულ სხდომებს. გაკე...ა ექსპოზიციები, რომლებიც თვალ...ნის გახდის საქართველოს პარლა...ტარიზმის ისტორიას, დაწყებული ...8-21 წლის ისტორიული დოკუმენტე...ნ. დამთავრებული 1995 წლის საქა...რთველოს კონსტიტუციით".

7) ᲡᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲘᲡ ᲓᲔᲞᲐᲠᲢᲐᲛᲔᲜᲢᲘ. მასში გაერთიანებულია ბუღალტერია. მის კომპეტენციაშია შენობის ექსპლუატაცია, მშენებლობა, კავშირგაბმულობა, ტრანსპორტი, პარლამენტის მატერიალური და სამეურნეო უზრუნველყოფა.

8) ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲙᲐᲜᲪᲔᲚᲐᲠᲘᲐ. მისი ფუნქციაა მოქალაქეთაგან შემოსული ნებისმიერი წერილის, სახელმწიფო სტრუქტურებიდან შემოსული კორესპონდენციების დახარისხება და ადრესატისთვის მიწოდება.

ᲮᲐᲗᲣᲜᲐ ᲑᲝᲒᲝᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ: „ორიოდე სიტყვა მინდა ვთქვა მოქალაქეთა წერილების განყოფილების შესახებ. გავრცელდა ხმები, თითქოს ჩვენ ეს განყოფილება გავაუქმეთ და მოქალაქეთა წერილების მიღებას აღარ ვაწარმოებთ. არაფერი ამის მსგავსი არ მომხდარა. ეს განყოფილება ისევ არსებობს, ოღონდ მთავარი კანცელარიის შემადგენლობაში. ჩვეულებრივ, ვიღებთ წერილებს და ვუგზავნით ადრესატს. ნურავინ იფიქრებს, რომ ვინმეს თხოვნას ან ჩივილს უყურადღებოდ დავტოვებთ.

მინდა აქვე გითხრათ, რომ პარლამენტთან განსაკუთრებული სტატუსით არსებობს ორგანიზაციები, რომელთა ახალ სტრუქტურაში შეყვანის გადაწყვეტილება ჯერ არ მიგვიღია, რადგან ამ საკითხის მოგვარებას მუშაობა სჭირდება.

ნინასწარი ინფორმაციით შემიძლია ვთქვა, რომ, ვფიქრობთ, პარლამენტის კვლევითი სამსახური, რომელიც განსაკუთრებული სტატუსით არსებობს მასთან, უნდა შედიოდეს პარლამენტის აპარატში და მისი ფუნქციები მაქსიმალურად დაუახლოვდეს ამერიკის კონგრესის ბიბლიოთეკის ფუნქციას".



ᲮᲐᲗᲣᲜᲐ ᲑᲝᲒᲝᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ. დაიბადა 1964 წელს თბილისში. დაამთავრა კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკური სკოლა-ინტერნატი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტი ადამიანის და ცხოველთა ფიზიოლოგიის სპეციალობით.
მუშაობდა სხვადასხვა ადგილზე:
პედაგოგად, საქართველოს მწვანეთა საორგანიზაციო განყოფილების გამგედ, საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის წამყვან სპეციალისტად;
წინა არჩევნების დროსაც და ახლაც იყო ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრი.
ბოლო სამუშაო ადგილი — ცსკ-ს საოქმო-სარეგისტრაციო განყოფილების გამგე.
1 დეკემბრიდან დამტკიცდა საქართველოს პარლამენტის აპარატის უფროსად.
ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს.

# ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲐᲠᲣᲚᲘ ᲡᲮᲓᲝᲛᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ ᲐᲞᲐᲠᲐᲢᲡᲐᲪ ᲓᲐᲔᲢᲧᲝ...

### ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲤᲠᲐᲥᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲐᲞᲐᲠᲐᲢᲔᲑᲘ

საქართველოს პარლამენტში არსებობს და ფუნქციონირებს 14 კომიტეტი და 6 ფრაქცია. ესენია: საფინანსო-საბიუჯეტო, ეკონომიკური პოლიტიკისა და რეფორმების, დარგობრივი ეკონომიკის, თავდაცვისა და უშიშროების, საკონსტიტუციო, იურიდიულ საკითხთა და კანონიერების, საგარეო ურთიერთობათა, აგრარულ საკითხთა, განათლების, მეცნიერებისა და კულტურის, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა, თვითმმართველობისა და რეგიონული პოლიტიკის, ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნულ უმცირესობათა, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების, მიგრაციის, ემიგრაციისა და ფაქტობრივ ომში მცხოვრებ თანამემამულეთა საქმეების, საპროცედურო საკითხთა კომიტეტები. აგრეთვე, ფრაქციები: მოქალაქეთა კავშირი, ეროვნულ-დემოკრატები, აღორძინების კავშირი, იმედი, მაჟორიტარი, აფხაზეთი. ყველა კომიტეტს ჰყავს თავისი აპარატი და ხელმძღვანელი, რომლის მოვალეობაა ორგანიზაციული საკითხების მოგვარება და ურთიერთობა ცენტრალურ აპარატთან.

კომიტეტის აპარატსა და ცენტრალურ აპარატს შორის ურთიერთობა ყოველდღიურია. იმ ეტაპზე, როცა კომიტეტი ამზადებს კანონპროექტს, მას ურთიერთობა აქვს იურიდიულ დეპარტამენტთან, პოლიტიკური დეპარტამენტის საზოგადოებრივი აზრის შესწავლისა და პოლიტიკური მარკეტინგის განყოფილებასთან და პრესსამსახურთან.

მას შემდეგ, რაც კანონპროექტის მოსამზადებელი ეტაპი დამთავრებულია, კანონპროექტის გაცნობას სხვა კომიტეტებისა და ფრაქციებისთვის, მათი შენიშვნების და მოსაზრებების მიწოდებას ავტორებისადმი მთლიანად ცენტრალური აპარატი უზრუნველყოფს.

გარდა ამისა, კომიტეტის აპარატისთვის სამუშაო პირობების შექმნა ასევე ცენტრალური აპარატის ფუნქციაა.

რაც შეეხება ფრაქციების აპარატს, მათი მუშაობა სპეციფიური ხასიათისაა. აქ ხდება ინფორმაციის შეკრება ყველა კომიტეტიდან. კანონპროექტის განხილვა და მისდამი დამოკიდებულების ჩამოყალიბება, გარდა პროფესიონალური დამოკიდებულებისა, პოლიტიკურ გადაწყვეტილებასაც წარმოადგენს. მათი ურთიერთობა ცენტრალურ აპარატთან ანალოგიურია, რაც კომიტეტების აპარატისა.

წინა პარლამენტის დროს არსებობდა საქართველოს პარლამენტის აპარატის წარმომადგენლობები რაიონებში. მათი მოვალეობა იყო ინფორმაციის გაცვლა პარლამენტსა და ამომრჩევლებს შორის და ამომრჩეველთა საჩივრებისა და წერილების მიწოდება პარლამენტისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი რაიონის წარმომადგენლობა ახერხებდა, ყოფილიყო შუალედური რგოლი მასებსა და პარლამენტს შორის, უმრავლესობა მხოლოდ ფორმალურად არსებობდა. ისეთი საკითხი, როგორიცაა საქართველოს პარლამენტის რაიონებთან ურთიერთობა, არ შეიძლება ზერელედ გადაწყდეს. ამიტომ ჯერ ეს რგოლი არ ჩამოყალიბებულა. მიმდინარეობს მოლაპარაკებები, კონსულტაციები პარლამენტის ხელმძღვანელობასა და მაჟორიტარ დეპუტატებს შორის. უახლოეს დღეებში ალბათ, შეჯერებული ვარიანტი ჩამოყალიბდება.

### ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲐᲞᲐᲠᲐᲢᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘ ᲯᲔᲠ ᲐᲠ ᲨᲔᲛᲪᲘᲠᲔᲑᲣᲚᲐᲜ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ... ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ, ᲛᲐᲗ ᲔᲠᲗ ᲗᲕᲔᲨᲘ ᲗᲐᲕᲐᲖᲘᲐᲜᲐᲓ ᲛᲘᲣᲮᲣᲠᲝᲜ ᲙᲐᲠᲘ.

კარგა ხანია შეიქნა მითქმა-მოთქმა, რომ პარლამენტს უზარმაზარი აპარატი ჰყავს, რომ მათი ხელფასის გაცემით რესპუბლიკის ბიუჯეტი ზარალდება და ა.შ. პარლამენტის აპარატის უფროსი კი ცოტა სხვაგვარად ფიქრობს:

„პარლამენტში, ძირითადად, შემცირება არ მომხდარა. ვინც შემცირდა, ისიც მხოლოდ იმიტომ, რომ შეთავსებით მუშაობდნენ და „სახელმწიფო სამსახურის კანონი" კრძალავს შეთავსებას. გათავისუფლდნენ, აგრეთვე, საპატრონატო კატეგორიის მოხელეები და ეს ბუნებრივიცაა, რადგან ყველა თანამდებობის პირს აქვს უფლება, მისთვის საჭირო ადამიანები თავად აიყვანოს აპარატში.

ძირითადი ნაწილი თანამშრომლების ისევ ძველებურად ასრულებენ მასზე დაკისრებულ მოვალეობას. დანარჩენ თანამშრომლებთან გაფორმებული გვაქვს ხელშეკრულებები ერთთვიანი, ორთვიანი ან ცოტა ხანგრძლივი ვადით. დროდადრო გადავხედავთ შტატებს.

მე დიდ პატივს ვცემ ყველა ძველ თანამშრომელს, რადგან მათ შეუძლიათ, თვალდახუჭულებმა აწარმოონ ესა თუ ის საქმე, მაგრამ ვცდილობ, გადახალისდეს კადრებიც.

აპარატის თანამშრომლებს აუცილებლად მაღალი ანაზღაურება უნდა ჰქონდეთ, რათა სახელმწიფო მოხელემ ყოველგვარი ნერვების წყვეტის გარეშე შეძლოს ოჯახის რჩენა. სხვა რომ არა იყოს, ხუთი მილიონი ადამიანის ბედი მათზეა დამოკიდებული, რადგან საქართველოს პარლამენტი კანონს იღებს საქართველოს თითოეული მოქალაქისთვის, ხოლო ის, თუ როგორი იქნება კანონი, დამოკიდებულია პარლამენტის აპარატის თითოეული თანამშრომლის მუშაობაზე".

### ᲕᲘᲜ ᲘᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲐᲞᲐᲠᲐᲢᲨᲘ?

როგორც აპარატის უფროსთან საუბარი და მათ მიერ გამოქვეყნებული მიღების წესის პირობები ცხადყოფს, საქართველოს პარლამენტის აპარატში არსებობს თანამშრომელთა სხვადასხვა რანგი. თითოეული რანგისთვის არსებობს მინიმალური მოთხოვნები. ერთი კატეგორიისთვის კომპიუტერის რედაქტორული პროგრამების, ინგლისური და რუსული ენების ცოდნა, ხოლო მეორისთვის — რაიმე კონკრეტულ დარგში მუშაობის გამოცდილება და კომპეტენცია აუცილებელია. მაგალითად, კომიტეტების წამყვანი სპეციალისტის ვაკანსიის პრეტენდენტებმა უნდა წარადგინონ შესაბამისი დარგის 5 ავტორიტეტული პირის რეკომენდაცია.

მართალია, კულუარებში ჩურჩულებენ — გაავსეს ბიოლოგებით პარლამენტი და გამოცხადებულ ვაკანსიებზე ყველა სათანადო მონაცემების მქონე ადამიანებს სულაც არ იღებენო, მაგრამ იმედია, რომ მიღების წესები არავის გავლენით არ დაირღვევა და პარლამენტში მართლა მაღალი პროფესიონალიზმის მქონე სპეციალისტები მოვლენ.

### ᲔᲞᲘᲚᲝᲒᲘᲡ ᲛᲐᲒᲘᲔᲠ

სითბო, სიწყნარე და სიმშვიდე, რომელიც დღევანდელ პარლამენტში დაგხვდება, ერთგვარ სასიამოვნო გრძნობას აღძრავს. აპარატი საგრძნობლად გაახალგაზრდავდა. გავა დრო და საქართველოს პარლამენტი ... ალბათ, ღირსეულ ადგილს დაიკავებს ... ქვეყნების პარლამენტებს შორის.

ყოველ შემთხვევაში, გვინდა, გვჯეროდეს.

• ᲛᲐᲘᲐ ᲢᲝᲠᲐᲫᲔ

წარსული და თანამედროვეობა

# ა) „ერთსა და იმავე სახელმწიფოში ძალიან კარგად მოთავსდება სხვადასხვაობა სარწმუნოებისა...“

აჭარაში რელიგიის პრობლემა არ ახალია. მაგრამ უკანასკნელ წლებში ამ პრობლემას ხშირად ზომაზე მეტი ყურადღება ექცევა და პოლიტიკური თამაშის საგნადაც იყენებენ ხოლმე. არადა, ესკ ისეთი საკითხია, სოლომონ ბრძენისეული გონიერება და უაღრესი ტაქტი რომ მართებს ყველას მისი განსჯისას. ერის რელიგიური ერთიანობა სასურველია, მაგრამ, ჯერჯერობით, ადრეულად გვეჩვენება განცხადება იმისა, რომ აჭარელი ქართველი აუცილებლად ქრისტიანი უნდა იყოს, ეს ნაადრევია პოლიტიკური თვალსაზრისითაც, მით უმეტეს, რომ მუსლიმანური რელიგია დღესდღეობით თურქეთის მილიონობით ქართველობაში ცხოვრების აუცილებელ წესად არის ქცეული. თუ ეს ცხოვრებისეული წესი აჭარაში, ჩვენდა საბედნიეროდ, მოიშალა, მოირყა, უცხო ქვეყნის საზღვრებში მცხოვრები ქართველებისთვის იგი მკვიდრია. ნურავინ იფიქრებს, რომ იქაურებთან სამომავლო დიდი ურთიერთობების ძაფები დაწყვეტილია, სრულებითაც არა. აი, როგორ გულისტკივილს გამოთქვამს თურქეთში მცხოვრები ემინ ქაია (მაკარაძე): „გაუმარჯოს ქრისტიან საქართველოსო, დევნაზე დაწერილი, ნაწერავი. ჩვენ რას გვეუბნებით, თურქეთში მილიონ ქართველსა, საქართველო ჩვენი არნა იყოს? საქართველოსა სიზმარში ვნახულობთ, საქართველო გვესიზმრება და ჩვენი არნა იყოს? ეს არ გამოდის კარგა! ჩვენი რა სუჩია (დანაშაული), რომ მუსლიმანი გავმხდარვართ, მაშინ დროს მეუტანია მუსლიმანობა ჩვენი ძველებისათვის, ჩვენ რა ვქნათ ახლა? გურჯისტანში აღარ მოგვიშვანთა? მე ჩემი გოგო-ბიჭი თბილისში დავტოვე უნივერსიტეტში. ქართულად მინდა გეიზარდონ, საქართველოს ისტორია ისტავლონ, თამარ მეფით, დავით აღმაშენებლით, გიორგი სააკაძით იზარიონ და იჯიბრიონ, საქართველო ჩვენიც უნა იყოს!“

აჭარაში ერისკაცების ღვაწლმა ნათელი კვალი დატოვა. აჭარელთა ნაწილი ქრისტიანობას ეზიარა და პროცესი, მე ვიტყოდი, კარგად ვითარდებოდა, მაგრამ ადგილობრივი, ზოგიერთი „გამოჩენას“ მოწყურებული მოღვაწეების წყალობით წარმოიშვა ხელოვნური წინააღმდეგობანი.

ბოლო ხანებში მყვირალა ფორმა მიიღო რელიგიის საბურველში გახვეულმა სხვადასხვა პოლიტიკურმა მანიპულაციამ. მაჰმადიანური რელიგიის აჭარული სეპარატიზმის საყრდენად გამოყენებისთვის, ისე შორს წავიდა საქმე, რომ იგი ლამის გამოცხადდა „პოლიტიკურ ფაქტორად“. ამასთან, გაიძახიან, თითქოს აჭარა იქცა წმინდა წყლის „მაჰმადიანურ რეგიონად...“ მართალია, ეს უაღრესად გადაჭარბებული სიცრუეა, მაგრამ ასეც რომ იყოს, კარგი იქნება, რომ ამ სიყალბის ორატორებმა შეიგნონ და შეისწავლონ ბრძენი ქართველების ი.ჭავჭავაძის, მ.აბაშიძისა და სხვების მემკვიდრეობა. აი, რას ამბობს ილია: „ერთსა და იმავე სახელმწიფოში ძალიან კარგად მოთავსდება სხვადასხვაობა სარწმუნოებისა და ერთობის კავშირს საძირკვლიდან ერთ ქვასაც ვერ გამოაცლის“.

აკი თავად ასლან აბაშიძე ამბობს — თუ სინდისის თავისუფლებას ვღიარებთ, მაშინ ნებისმიერი სარწმუნოების მიმართ ტოლერანტული უნდა ვიყოთ. რა გასაკვირია, კაცმა ილოცოს იქ სადაც სურს. ეკლესიაც და მეჩეთიც მორწმუნეთათვის არა უბრალო სამლოცველოა, არამედ წმინდა ადგილი, სადაც სურიერ სიმშვიდესა და ამაღლებას პოულობენ. მათი სურვილებისა და გრძნობების ხელოვნური შეზღუდვა არამც და არამც არ ეგების — ეს ხომ ქართველის ისტორიული თვისებაა. აქ მისული მიმართება რელიგიისადმი ემყარება წინაპრების მიერ რჯულთშემწყნარებლობის პოლიტიკას და უკანასკნელ პერიოდში დაშვებული შეცდომების გაანალიზება-გათვალისწინებას, რომელიც იყო შედეგი ნაჩქარევი და ზოგჯერ პრიმიტიული ექსპერიმენტებისა. ისიც კარგად იცის, რომ აჭარაში წინამორბედი ერისკაცებისთვის რელიგიათა „შემწყნარებლობა“ მიღებული იყო. ამ კუთხეში ერთი რომელიმეს სტიმულირებამ შეიძლება მოგვცეს უკურეაქცია. ამით კი ეროვნული იდეოლოგია შეიძლება დაზიანდეს.

ეროვნული მოძრაობის აზვირთების პერიოდში აჭარაში დაშვებულ იქნა შეცდომები, დაირღვა რელიგიათა თანაზომიერებების ბალანსი. ნაჩქარევად, მით უფრო, ზოგიერთი ხეობის სპეციფიკის გათვალისწინების გარეშე, იწყეს სვლა მართლმადიდებელმა „მისიონერებმა“, რამაც შემდგომში, ერთგვარად, იდუმალი მიმზიდველობა იმოდენად სუფევს, რომ სამყოფია ხოლმე ერთი რაიმე შემთხვევა, რათა იფეთქოს, იფქოს დაძინებულმა ისტორიამ და ერთსულობამ, ერთგულობამ თავისი ძლიერი ფრთა გაშალოს“. როგორც ვხედავთ, ბრძენი ილია გამოკვეთილად ამბობს, რომ „ერი თვის სულის ღონეს“, „თავის ვინაობას“ ისტორიაში პოულობს და მაღლა აყენებს არათუ სარწმუნოების, არამედ ენის ფაქტორზეც. მე-20 საუკუნის ევროპელი სოციოლოგები აღნიშ- იმ ნაცადი მეთოდებით და გზით, ილიას მიმდევრებმა რომ დაგვიტოვეს. წინაპრები ხედავდნენ, რომ მუსლიმანური რელიგიის გავლენა თანდათან შესუსტდებოდა ამ ცრემლიან მიწაზე, ქართველობა, ეროვნულობა, გახდებოდა პირველი პირობა, დროთა ბრუნვით გაყოფილ ძმებს ისტორია ერთიანობის ძლიერ ფრთებს გაამლევინებდა. დიახ, ასეც არის.

ჯერ კიდევ აჭარის გამორჩეული შვილები მოითხოვდნენ განსაკუთრებულ სიფრთხილეს, რომ არ გადადგმულიყო მოუფიქრებელი ნაბიჯები, რადგან ამ უბანზე აჩქარება ზოგიერთ ფანატიკოსს შეუქმნის ნოყიერ ნიადაგს. ჭეშმარიტი მამულიშვილი მემედ აბაშიძე

> „ჩვენს პოლიტიკურ აზროვნებაში, ალბათ, საქართველოს არც ერთ კუთხეზე არაა იმდენი წინააღმდეგობრივი და ურთიერთგამომრიცხავი აზრი, რამდენიც აჭარაზე“, — ასე იწყება ნური ვერძაძის წიგნი „ქვეყნის გადარჩენის ნიშნი“. გამთასვლის დრამატიზმმა აჭარა დიდი ხნით მოსწყვიტა საქართველოს, მაგრამ, მიუხედავად უდიდესი იდეოლოგიური და რელიგიური ექსპანსიისა, ჭოროხის გაღმა-გამოღმა ქართველებმა საუკუნეებს გამოატარეს და არ დათმეს მშობლიური ენა, ადათ-წესები და დედო სამშობლოს კალთის ქვეშ დაბრუნების დაუოკებელი სურვილი. და მაინც, ტრაგედიამ ღრმა იარები დაჩნია საქართველოს ამ ულამაზეს კუთხეს. ერის მამები, მამულიშვილნი, აგერ უკვე საუკუნეა, სათუთად, დიდი რუდუნებით მკურნალობენ ამ იარებს, მაგრამ ჩვენს თანამედროვე პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ აზროვნებაში კვლავ ჭარბად შეინიშნება „წინააღმდეგობრივი და ურთიერთგამომრიცხავი“ დამოკიდებულება აჭარის პრობლემებისადმი. უეჭველია, რომ ბატონი ნური ვერძაძის ზემოხსენებული ნაშრომი კიდევ ერთი მოკრძალებული მცდელობაა დოსტაქრობისა, სამშობლოს ჭრილობებზე სალბუნის დადებისა... „კავკასიონი“ გთავაზობთ ერთ-ერთ მნიშვნელოვან თავს წიგნიდან „ქვეყნის გადარჩენის ნიჭი“.

# რელიგია, ეროვნება და ავტონომიის ზოგიერთი საკითხი

რელიგიათა „შეჯიბრების“ ნიშანი წარმოშვა და საბოლოოდ მივიღეთ ზოგიერთ ხეობაში „რელიგიული სიჯიუტის“ ფაქტორი, რაც შემდეგ „მოქნილად“ იქნა გამოყენებული ხელისუფლების წინააღმდეგ როგორც „ბრალის ნიშანი“. ამ უსაფუძვლო, „ბრალის ნიშანმა“ კიდევ უფრო გაზარდა რელიგიური ფაქტორები. რელიგიურ ასპექტში დაშვებული შეცდომები, რა ფორმითაც არ უნდა იყოს, ზიანს მოუტანს დიდ საქმეს. აქ უნდა ვიყოთ ობიექტურნი, არ უნდა გავყვეთ წვრილმანებს, ასეთ დროს დიდი საქმე ყოველთვის ზარალდება და იგი ხშირ შემთხვევაში იღებს დეკლარაციულ ან პოპულისტურ სახეს. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ მემედ აბაშიძემ და მისმა თანამოაზრეებმა ფასდაუდებელი მემკვიდრეობა დაგვიტოვეს, რელიგიური რწმენის სახეობის მიუხედავად, ქართველი ქრისტიანის და მუსულმანის ერთობა ურყევ ძმობად შეადუღაბეს. ჩვენმა დიდი წინაპრები, აცნობიერებდნენ რა საქართველოსთვის ქრისტიანული რელიგიის ღირებულებას, ამავე დროს ავბედობით მოგლეჯილი ძმების სულიერ ერთიანობას ხედავდნენ ერთ ისტორიაში, ერთ მიწასა და დედა ენაში. წინაპართა ამ დიდ ღვაწლს ჩრდილს ნუ მივაყენებთ და წინაღობებს ნუ გავუჩენთ!

ეროვნულობის პირველობა აუცილებლად გამოავლენს ისტორიის ერთიანობას, მის სულიერ ძალას. ისიც ხომ გვიანდერძა დიდმა ილიამ: „ყოველი ერი თავისი ისტორიით სულდგმულობს. იგია საგანძე, საცა ერი პოულობს თავისი სულის ღონეს, თავისი სულის ბგერას, თავის ზნეობითს და გონებით აღმატებულებას, თვის ვინაობას, თვის თვისებას. ჩვენის ფიქრით არც ერთობა ენისა, ერთობა სარწმუნოებისა და გვარტომობისა ისე არ შეამსჭვალებს ხოლმე ადამიანებს ერთმანეთთან, როგორც ერთობა ისტორიისა. ერი ერთის ღვაწლის დამდები, ერთ ისტორიულ უღელში ბმული, ერთად მებრძოლი — ერთსულობით, ერთგულობით, ძლიერია. თუნდა დროთა ბრუნვას ერი განეყოს, დაერღვიოს — მაგრამ მაინც რღვეულთა შორის იდუმალი შემსჭვალება, ნავენ, რომ „იყო სახელოვანი წარსულის მემკვიდრე, ზურგს უკან გქონდეს მიტოვებული აწ უკვე ხორცშესხმული, გრანდიოზული წამოწყებანი, ფლობდე აწმყოში მოქმედების ნებას და გქონდეს მომავალში კიდევ უფრო სასახელო საქმეთა აღსრულების სურვილი — აი, რა უწყობს ხელს ერის, როგორც განუყოფელი მთლიანობის ჩამოყალიბებას“. საქართველოს დიდი ისტორიისთვის, სხვასთან ერთად არანაკლები სისხლი დაუღვრია აჭარელ კაცს, დღესაც რომ არ შემშრალა კლდე-ღრეზე. დიდმა ილიამ ბრძანა, „ისტორია ის დიდებული ტაძარია... საცა აღუმართავს ერს თვის დიდებული და დიდბუნებოვანი კაცთა უწმინდესი ხატნი და ზედ წაუწერია დიდ საქმეთა მოთხრობა, ვითა სამვილიშვილო ანდერძი“. ამ ტაძარში ამ დიდბუნებოვან კაცთა გვერდით ღირსეული ადგილი უკავია აჭარის არაერთ სახელოვან შვილს. ამ ტაძარში გამორჩეული ადგილის მეპატრონენი არიან მემედ აბაშიძე და მისი თანამოსაგრენი. არ გვაქვს უფლება ერთი წუთითაც დავივიწყოთ ეს „დიდბუნებოვანი კაცნი“, მათი „დიდი საქმეთა ამბავი“, მათი დავიწყება ჩვენი „გაწყალება“ იქნება, ჩვენი ვალია მათ ნაკვალევს გავყვეთ, მათ საშვილიშვილო „ანდერძს“ ვუპატრონოთ და გავითავისოთ ერთი რამ, რომ აჭარაში მუსლიმანურ სარწმუნოებას თავისი ისტორია აქვს, იგი სისხლსა და ცრემლზეა შემდგარი. აქაური, სარწმუნოებისთვის არ აიყარა და მომხდურს არ დაუთმო მშობელი მიწა, პირწმინდად დაიცვა დედა ენა, გვარი, ამიტომაც აჭარელი კაცისთვის მიწის სიყვარული გამორჩეულია, იგი ვერა და ვერ ელევა მამა-პაპათა ძვლების შესანახს. ნურავინ იფიქრებს, თითქოს აჭარელი კაცისთვის უცხო იყოს და არ ითავისებდეს ილიას სიტყვებს: „ქრისტეს სჯული ქართველებისთვის მარტო სარწმუნოებითი ალსარება კი არ იყო, იგი ამასთან ერთად პოლიტიკური ქვითკირიც იყო საქართველოს მრავალი ნაწილების გასაერთიანებლად და შემოსაკრებად“. მართლაც, ვთვლი აუცილებელ, სასიცოცხლო ამოცანად, აჭარელი კაცის ეროვნულ სარწმუნოებაზე მოქცევას, მაგრამ გვაფრთხილებდა, რომ ფანატიკოსებს მიეცემათ გზა წინააღმდეგობათა შექმნისთვის და დიდ ზარალს მოუტანენ ეროვნულ სხეულს. ჩვენ ზოგჯერ ჩვენი პირადული მოთხოვნილებიდან გამოვდივართ და გვავიწყდება — ცხოვრებას თავისი ლიბო გააჩნია. ჩვეულებრივ ადამიანთა შეგნება და გონიერება სწავლულთა დონეს ვერ უტოლდება. აქ კი ჩვენ, ინტელიგენცია, ვართ ყველაზე მეტად დამნაშავე. მრევლმა უნდა შეუქმნას ხელისუფლებას პოლიტიკის გატარების გარანტია. როცა უადგილოდ გადაიდგმება ნაბიჯი, მაშინ მორწმუნეთა შორის გამოჩნდებიან წამქეზებლები და უკვე იჩენს თავს სარწმუნოებრივი სიჯიუტე, რომლის გადალახვაც არც ისე ადვილია. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ „70 წლის ცხოვრებამ“ ადამიანები ჩამოაშორა რელიგიას, მოსწყვიტა რწმენას, საფუძველი გამოაცალა ზნეობას, მიაჯაჭვა ხორციელ მოთხოვნებს, ამიტომაც დღეს ძალიან ძნელს ჭეშმარიტად რელიგიის მსახურისა და ფორმალურად მორწმუნე ადამიანის გარჩევა, უფრო სწორად, საქართველოში რელიგიამ მიიღო ერთგვარი მოდის სახე, მაგრამ იგი მალე განთავისუფლდება რელიგიას მიტმასნილი ადამიანებისგან. ჭეშმარიტი მლოცველი ღვთის წინაშე ვალს იხდის და თანაც პასუხისმგებლობას იღებს. რელიგიამ უნდა დაიმკვიდროს მორწმუნე ადამიანები და არა წაქეზებით, სიჯიუტით თავშეყრილნი.

თუ არა ასლან აბაშიძის საზრიანი ნაბიჯები, უფრო მეტ სიღრმეს შეიძენდა ნაჩქარევი რელიგიური „ექსპერიმენტები“. მას სხვის მიერ უადგილო, ნაჩქარევი ექსპერიმენტებით მიღებული რეაქციის ჯერ განელება, შემდეგ კი წინაპართა მიერ მორგებული ბორბლებიდან გადაცურებული ღვედის გასწორება მოუხდა, რომ თვით ბორბალი არ გადაცილებულიყო ეროვნულ ლიანდაგს.

აბაშიძის ტოლერანტული დამოკიდებულება რელიგიისადმი განსაზღვრულია შემდეგი ნიშნით — ის, ვინც მეჩეთში ლოცულობს, მისთვის ისეთივე ქართველია, როგორც ეკლესიაში მლოცველი. „აქ თუ რომელიმე ქართველთაგანი სხვა რელიგიას მისდევს, გახ-

სოვდეს, რომ ისინი სისხლით და
ცით უპირველესად ჭეშმარიტი
ველები არიან და თავის სათაყ
სამშობლოზე ლოცულობენ“. თ
რის დღევანდელობა, მისი ისტო
გზა ამის ცხადზე ცხადი დადასტ
მაგალითისთვის საკმარისია სა
მანო საქართველოს განმათავის
ბული კომიტეტის წევრები და ამ
ტეტის თანამგრძნობნი. აქ სა
დედა ენა, გვარი და ისტორია, რ
ბიც ღაღადებენ ჩვენს ვინაობას
უკანასკნელ ხანებში ერ
საყვედური გაისმა აჭარაში „მედ
და „მეჩეთების“ გახსნის თაობა
მელიღაც სოფლის თვითმართ
ჯას თვითნებობას წინა პლანზე
წევენ, ხელოვნურად გაზვ
რომ როგორმე ჩრდილი მ
ეროვნულ აღმშენებლობას, „ბ
ლად“ გამოიყვანონ აჭარის ხე
ლება. ამ ეგრეთ წოდებულ ორა
მოხდენილად პასუხობს თავად
აბაშიძე: „ურცხვად რომ ცრუო
ჩეთებსა და მედრესეებს აშენებ
ტომ ივიწყებენ ერის წინაშე იმ
პირველად საქართველოში ჯერ
1991 წელს, ჩვენთან, ბათუმში,
ერო სასწავლებელში სამასზე მე
წაფე სწავლობდა. 1994 წელს კ
სდა სასულიერო სემინარია, სად
ველ მიღებაზე 60 ყმაწვილი ჩა
იქნებ მაჩვენოთ დღეს სა
ლოს ტერიტორიაზე სადმე ად
დაც ხელისუფლებამ გამოათავ
ქალაქის ცენტრში დიდი ტრად
მქონე სასწავლო სკოლის შენო
ლი თავისი ტერიტორიით და
იგი ეკლესიას გიმნაზიის დას
ლად, ან იქნებ დამისახელოთ
დონის სასულიერო სასწავ
რომელიც საერთო, დამსახუ
აღიარებით სარგებლობდეს მ
ობაში“.
დიახ, სამშვილიშვილო სა
თილი მზერა სჭირდება, თუმც
ვის კვალს არასოდეს დაკარგავ
რელიგიის საკითხებისად
დასხვა მანიპულაციურმა დამო
ლებამ, არცთუ დიდი ხნის წინა
ერთ პოლიტიკურ ძალას სა
სცა, წინა პლანზე წამოეწია აჭ
ტონომიის პრობლემა და აქტ
გაეხადა მისი ქართული სხ
მიუღებლობის საკითხი. ისინ
მას აცხადებდნენ სეპარატიზმ
ერთ პირობად, მოითხოვდნ
ხელის დაკვრით. მის გაუქმ
ერთ შემთხვევაში არ ითვალის
ნენ მისი შექმნის ისტორიულ
ბებს, არც მის როლსა და მნიშ
ქართული ეროვნული სხეულ
ლიანებასა და აღორძინებაში, ქ
იღებდნენ ხალხის სურვილს
წყობილებას. ამდაგვარმა მიდგო
ტორიული ფაქტორების უგ
ყოფამ, ხელოვნურად შექმნილ
ლმანების წინ წამოწევამ წარმ
ნააღმდეგობა და, რაც მთავარ
ფსიქოლოგიური ფაქტორი 19
აპრილის ცნობილი „ბათუმის
სა“. ზოგიერთი ეგრეთ წოდებ
ლიტიკური მიმომხილველი ბ
ცნობილი მიტინგის მიზეზებს
რზე ეძებს. რატომღაც ახლა,
დან ოთხი წლის შემდეგ, ზ
ცდილობს, ეს მღელვარება ას
ძის სურვილით ახსნას და იყ
ლოს, როგორც „აბაშიძის, ა
ურ რესპუბლიკაში, აჭარის ქ
ხელის დამკვიდრების, ხოლო
საქართველოში ძლიერი და უ
ლიდერის იმიჯის შექმნის სა
ულმერთობა იქნებოდა ამის გ
და გაზიარება, ულმერთობა
არაფერი. სხვათა შორის, იმ
რების დროს, რომ არა ასლან
გონივრული და ტაქტიკური
რომ არა მისი შორსმჭვრეტე
თუმის მიტინგი შეიძლებოდა
ველოს ისტორიაში შესულ
გორც ერთ-ერთი ცოდვიანი
ლი. ისიც უნდა ითქვას, რომ
მაშინ უზენაეს საბჭოში სულ რ
დღის თავმჯდომარე იყო და
რომ მოენდომებინა, ვერ შეძ
მღელვარების მოწყობას. ჩვენ
რთველებისთვის, მთელი სა
ლოსთვის უფრო უპრიანი იქნ
მიტინგის გამომწვევი სხვა მი
ტორების ძიება.

(გაგრძელება იქნ

# პრივატიზაცია საქართველოს მომავალი წარმატების საწინდარია

## №25 სპეციალიზებული საბარათო აუქციონის შედეგები

შენიშვნა: გამარჯვებული განაცხადის შემთხვევაში განაცხადის ნომერი უნდა ემთხვეოდეს ქვითარში მითითებულ განაცხადის რეგისტრაციის ნომერს და პუნქტის ნომერს

| ...რმოს დასახელება | განაცხ. რეგისტრ. № | პუნქტის № | გაიყიდა აქცია (ცალი) |
|---|---|---|---|
| ...მშენებელი" | 17 | 01 | 225 |
| | 28 | 32 | 90 |
| ...ური" | 52 | 68 | 17 000 |
| | 5 | 01 | 102 |
| | 7 | 01 | 476 |
| | 16 | 01 | 102 |
| | 19 | 01 | 170 |
| | 23 | 01 | 68 |
| | 26 | 01 | 2 312 |
| | 36 | 01 | 102 |
| | 52 | 01 | 5 508 |
| | 5 | 46 | 17 272 |
| | 6 | 46 | 15 504 |
| | 7 | 46 | 15 470 |
| | 8 | 46 | 27 302 |
| | 9 | 46 | 15 300 |
| | 1 | 54 | 102 |
| | 2 | 54 | 34 |
| | 3 | 54 | 136 |
| | 4 | 54 | 204 |
| | 1 | 56 | 204 |
| | 1 | 57 | 102 |
| ...ტრომექანიკოსი" | 51 | 68 | 18 000 |
| | 54 | 68 | 9 000 |
| | 1 | 01 | 900 |
| | 1 | 47 | 90 |
| | 2 | 47 | 45 |
| | 3 | 47 | 1 260 |
| | 1 | 58 | 90 |
| | 2 | 58 | 180 |
| | 3 | 58 | 135 |
| | 4 | 58 | 180 |
| | 5 | 58 | 180 |
| | 6 | 58 | 270 |
| | 7 | 58 | 135 |
| | 8 | 58 | 45 |
| | 9 | 58 | 135 |
| | 10 | 58 | 45 |
| | 11 | 58 | 90 |
| | 12 | 58 | 135 |
| | 13 | 58 | 450 |
| | 14 | 58 | 135 |
| | 15 | 58 | 225 |
| | 16 | 58 | 45 |
| | 17 | 58 | 90 |
| | 18 | 58 | 45 |
| | 19 | 58 | 45 |
| | 20 | 58 | 90 |
| | 21 | 58 | 135 |
| | 22 | 58 | 180 |
| | 23 | 58 | 135 |
| | 24 | 58 | 270 |
| | 25 | 58 | 180 |
| | 26 | 58 | 90 |
| | 27 | 58 | 45 |
| | 28 | 58 | 180 |
| | 29 | 58 | 135 |
| | 30 | 58 | 90 |
| | 31 | 58 | 45 |
| | 32 | 58 | 180 |
| | 33 | 58 | 135 |
| | 34 | 58 | 180 |
| | 35 | 58 | 90 |
| | 36 | 58 | 585 |
| | 37 | 58 | 990 |
| | 38 | 58 | 90 |
| | 39 | 58 | 135 |
| | 40 | 58 | 90 |
| | 41 | 58 | 180 |
| | 42 | 58 | 270 |
| | 43 | 58 | 135 |
| | 44 | 58 | 90 |
| | 45 | 58 | 135 |
| | 46 | 58 | 45 |
| | 47 | 58 | 90 |
| | 48 | 58 | 135 |
| | 49 | 58 | 90 |
| ...ტრომექანიკოსი" | 50 | 58 | 135 |

| საწარმოს დასახელება | განაცხ. რეგისტრ. № | პუნქტის № | გაიყიდა აქცია (ცალი) |
|---|---|---|---|
| | 51 | 58 | 135 |
| | 52 | 58 | 135 |
| | 53 | 58 | 225 |
| | 54 | 58 | 225 |
| | 55 | 58 | 135 |
| | 56 | 58 | 90 |
| | 57 | 58 | 90 |
| | 58 | 58 | 135 |
| | 59 | 58 | 45 |
| | 60 | 58 | 135 |
| | 61 | 58 | 45 |
| | 62 | 58 | 45 |
| | 63 | 58 | 135 |
| | 64 | 58 | 45 |
| | 65 | 58 | 135 |
| | 66 | 58 | 45 |
| | 67 | 58 | 135 |
| | 68 | 58 | 225 |
| | 69 | 58 | 90 |
| | 70 | 58 | 45 |
| | 71 | 58 | 45 |
| | 72 | 58 | 90 |
| | 73 | 58 | 45 |
| | 74 | 58 | 135 |
| | 75 | 58 | 90 |
| | 76 | 58 | 225 |
| | 77 | 58 | 135 |
| | 78 | 58 | 225 |
| | 79 | 58 | 135 |
| | 80 | 58 | 90 |
| | 81 | 58 | 45 |
| | 82 | 58 | 180 |
| | 83 | 58 | 90 |
| | 84 | 58 | 90 |
| | 85 | 58 | 135 |
| | 86 | 58 | 45 |
| | 87 | 58 | 360 |
| | 88 | 58 | 90 |
| | 89 | 58 | 225 |
| | 90 | 58 | 225 |
| | 91 | 58 | 90 |
| | 92 | 58 | 1 530 |
| | 93 | 58 | 45 |
| | 94 | 58 | 90 |
| | 95 | 58 | 225 |
| | 96 | 58 | 45 |
| | 97 | 58 | 180 |
| | 98 | 58 | 45 |
| | 99 | 58 | 45 |
| | 100 | 58 | 135 |
| | 101 | 58 | 2 250 |
| | 102 | 58 | 90 |
| | 103 | 58 | 90 |
| | 104 | 58 | 2 250 |
| „ელექტრომექანიკოსი" | 105 | 58 | 360 |
| | 106 | 58 | 2 250 |
| | 107 | 58 | 180 |
| | 108 | 58 | 180 |
| | 109 | 58 | 90 |
| | 110 | 58 | 180 |
| | 111 | 58 | 180 |
| | 112 | 58 | 180 |
| | 113 | 58 | 315 |
| | 114 | 58 | 90 |
| | 115 | 58 | 90 |
| | 116 | 58 | 135 |
| | 117 | 58 | 90 |
| | 118 | 58 | 270 |
| | 120 | 58 | 180 |
| | 121 | 58 | 180 |
| | 124 | 58 | 180 |
| „მარსი" | 1 | 45 | 225 |
| „ინგირის ჩაის აგროსამრეწვ.კომბ" | 37 | 01 | 45 |
| | 3 | 46 | 45 |
| | 4 | 46 | 90 |
| „თბილხორცი" | 2 | 01 | 1 125 |
| | 3 | 01 | 90 |
| | 4 | 01 | 225 |

| საწარმოს დასახელება | განაცხ. რეგისტრ. № | პუნქტის № | გაიყიდა აქცია (ცალი) |
|---|---|---|---|
| | 6 | 01 | 90 |
| | 25 | 01 | 45 |
| | 29 | 01 | 990 |
| | 30 | 01 | 225 |
| | 31 | 01 | 315 |
| | 1 | 08 | 135 |
| | 2 | 08 | 45 |
| | 3 | 08 | 90 |
| | 1 | 67 | 360 |
| „თბილხელსაწყო" | 8 | 01 | 132 |
| | 18 | 01 | 440 |
| | 1 | 03 | 44 |
| | 4 | 31 | 171 116 |
| | 27 | 32 | 44 |
| „ინგირის ჩაის ფაბრიკა" | 20 | 01 | 225 |
| | 1 | 05 | 90 |
| | 1 | 46 | 180 |
| | 2 | 46 | 45 |
| | 119 | 58 | 2 745 |
| | 123 | 58 | 5 585 |
| „ავტომოტოსერვისი" | 9 | 01 | 9 900 |
| | 10 | 01 | 5 280 |
| | 11 | 01 | 9 900 |
| | 12 | 01 | 9 900 |
| | 13 | 01 | 4 400 |
| | 14 | 01 | 6 820 |
| | 15 | 01 | 4 400 |
| | 21 | 01 | 220 |
| | 24 | 01 | 44 |
| | 4 | 08 | 88 |
| „დეზებიანი მამლები" | 1 | 55 | 90 |
| | 2 | 55 | 45 |
| „აგროტექსერვისი" | 53 | 01 | 30 360 |
| | 54 | 01 | 30 360 |
| | 55 | 01 | 30 228 |
| „თბილავტოსერვისი" | 22 | 01 | 225 |
| | 33 | 01 | 450 |
| | 34 | 01 | 2 700 |
| | 35 | 01 | 8 775 |
| | 39 | 01 | 16 560 |
| | 40 | 01 | 7 740 |
| | 42 | 01 | 16 065 |
| | 43 | 01 | 31 230 |
| | 44 | 01 | 180 |
| | 45 | 01 | 450 |
| | 46 | 01 | 2 925 |
| | 47 | 01 | 7 695 |
| | 48 | 01 | 5 175 |
| | 49 | 01 | 4 635 |
| „ოზურგეთის ნომ.2 ჩაის ფაბრიკა | 27 | 01 | 2 485 |
| | 28 | 01 | 2 800 |
| | 5 | 08 | 20 790 |
| | 3 | 52 | 5 992 |
| | 4 | 52 | 98 |
| | 5 | 52 | 35 |
| „მერიის ჩაის ფაბრიკა" | 32 | 01 | 10 800 |
| | 1 | 52 | 162 |
| | 2 | 52 | 2 754 |
| | 122 | 58 | 3 645 |
| „ჩხოროწყუპესი" | 38 | 01 | 22 |
| | 51 | 01 | 19 800 |
| | 2 | [illegible] | 6 820 |
| | 3 | 23 | 1 320 |
| | 1 | 60 | 28 314 |
| | 2 | 60 | 220 |
| „მაცივარკომბინატი" | 55 | 68 | 7 220 |
| | 56 | 68 | 19 |
| | 57 | 68 | 19 |
| | 58 | 68 | 20 235 |
| | 41 | 01 | 5 130 |
| | 50 | 01 | 1 900 |
| | 6 | 08 | 51 300 |
| | 60 | 19 | 95 |
| | 2 | 57 | 38 |

## მკვახე შეძახილი

# თითოც დავლიოთ!!!

პაჩი-პუჩი, ლოყა-ტუჩი,
„სულ დამკარგე შე საცემო,
ალარ დაგრჩა გულში გრძნობა
და ადგილი შენ საჩემო.
თავი როგორ მომანატრე,
საყვარელო კაცო ჩემო,
არ დამიწყო ახლა ისო,
წამო, შემო, წამო, შემო,
ჩამოვსხდეთ და ვიჭუკჭუკოთ,
მამა-პაპა გავიხსენოთ,
მე და შენ რომ ღვინო გვიყვარს,
იმით პირი გავისველოთ.
ავად მეც ვარ, ა, წამლები,
თითო ჭიქით დავილოცოთ,
თუ ძმები ვართ ძმები ვიყოთ,
ბარემ ერთად დავიხოცოთ".
და დაიწყო... პალტოებით
გაიძეძგვა საკიდები,
სუფრა სუფრას ჩაეხლართა,
გადაება მაგიდები,
ყაყანია, ბჟუტურია,
რას მიაცვამ-მაახცვამენ,
თან სტალინის სადღეგრძელოს
მისი მარკის არყით სვამენ.
ჯაგი-ჯუგი, ბაგა-ბუგი,
ხტუნვის აიშალა ხოში,
იგრიხება ძველი რასა
უცხო ჯიშის შალახოში.

„შამპო", „შოკო", „ჯინი"... ღვინო",
ტორტ-ხინკალში არეული,
და ძველ „ნათეთრხალათარში"
მოლაყლაყე მზარეული.
იხვრიპება სასმელები,
გამოგზავნილ-ნაყიდები,
ზოგი გაძვრა, ზოგი დარჩა
სკამზე გადანაკიდები.
სართულ-სართულ, კერძი-კერძზე
დადგმულ გადაფარებული,
წამდაუწუმ მტლაშა-მტლუში,
ნესი გადაგვარებული.
„შემოგევლე", „გეხუტუნე",
ტყემალს ითხოვს მწვადი შენი,
შენ ვის იგდებ, შე ახვარო,
რას მიყურებ?! ნადი, შენი...
აქ მთავრდება ცრუ ალერსის
ცრუ ერთობის კომედია,
ამოხეთქვას იწყებს არსი,
გულებში ძლივს რომ ეტია
და რაც ხდება სინამდვილის
გამჟღავნების მომენტია.

რა ხვნეშა და ხრიალია,
რა თვალების ბრიალია,
ს ქეიფის საფინალო,
როტინი და ღრიალია.
ანის ელვა, ნიხლით თელვა
სასროლის გრიალია,
ნაირი გამეტება,
კბილების ღრჭიალია.
რამდენ ბრძოლას მოიგებდა,
რაც აქ ცოდვის ტრიალია,
რაც ამ ხალხმა ძმათა კვლას და
ღვინო-არაყს შეალია.

ჩვეულებრივ ამბად იქცა
ნაადრევი გასვენება
და მასშტაბურ (სმა-ჭამაში)
პურის ღვინით დასველება:
„კარგი იყო ცხონებული,
მიტომ კარგი დარი იყო",
„რა დროს მაგის იგი იყო",
„რა ლამაზი მკვდარი იყო".
ქვრივ-ობლისთვის „მხარში დგომის",
რახა-რუხი ფიცის მტკიცის
და რომ ტყუის „მძიმე ძია",
მსმენელმაც და მთქმელმაც იცის.

სულ სიყალბე ჭირში, ლხინში
(კაცს სიცოცხლე შეგძულდება),
რადგან იცი, რომ თქმულიდან
არც ერთი არ შესრულდება.

მეორე დღეს ისევ ისე
სასმისები საჯილდაო,
დაკრულია სიკვდილის და
ჩვენი მოდგმის საჭიდაო.
და სურათი საზარელი
გულ-გონების მდაგველია,
პა, რას იტყვით, ქართველებო,
თითოც ხომ არ დაგველია?!

რუსლან მიქაბერიძე

25/1-96

## გთავაზობთ გაზეთ «კავკასიონში» მთელი ქვეყნის მანძილზე გამოქვეყნებულ განცხადებებს

### სხვადასხვა

■ ვამზადებ აბიტურიენტებს რუსულ ენასა და ლიტერატურაში, როგორც უცხო ენის ჩასაბარებლად. ტელ.: 23-13-41.

■ ვამზადებ სკოლის მოსწავლეებს ქართულ ენასა და ლიტერატურაში (გრამატიკა, თავისუფალი და საპროგრამო თემები) მე-7 კლასის ჩათვლით. სახლში მისვლით. ტელ.: 23-13-61, იკითხეთ ირინა.

### ვაქირავებ

■ გარემონტებულ სარდაფს სველი წერტილით. ქალაქის ცენტრში, კოლმეურნეობის მოედანთან. მთლიანი ფართი 50 კვ.მ. გამოსადეგია სამქროს მუშაობისთვის ან საწყობად. ფასი თვეში 150 ლარი. ტელ.: 98-42-79, 37-42-20; იკითხეთ ნანა.

■ ვერის უბანში, ფილარმონიის მახლობლად (მილორავას ქუჩაზე) ორ ოთახს (სასურველია ქალები) ცალ-ცალკე. ტელ.: 99-67-76, 22-43-50.

■ ვერაზე ოროთახიან ბინაში ერთ ოთახს ორი გოგონასთვის. ფასი 80 ლარი. ტელ.: 29-18-06, იკითხეთ მზია ან ქეთო.

■ ვიქირავებ მძღოლსა და მანქანას. სასურველია „მოსკვიჩ"-ფურგონი. მოგვაკითხეთ რესტორან „ქალაქურში". იკითხეთ ზაური.

### ვცვლი

■ ოროთახიან არასტანდარტულ ან სამოთახიან სტანდარტულ ბინაში საგარაკო სახლს მუხათწყაროში. სახლი არის ორსართულიანი, მანსარდით, ვერანდით და ბუხრით. 60 კვ.მ. გაშენებული ნაკვეთით. ეზოში არის ფინური აბანოსთვის საჭირო მთელი მოწყობილობა. სახლი გარემონტებულია. არის ელექტროგაყვანილობა. ტელ.: 93-43-75, 31-30-18.

■ ორ ბინას: დიდუბის პანთეონთან 4-ოთახიან, ჩეხური პროექტით გადაკეთებულს 5 ოთახად, გარემონტებულს, ტელეფონით, ავტოფარეხით, სარდაფით მესამე სართულზე და 2-სართულიან საკუთარ სახლს სოფელ დილომში რემონტით, ბუხრით, 600 კვ.მ. ეზოთი საკუთარ სახლზე საბურთალოზე ეზოთი. ტელ.: 34-72-36, 17-დან 21 საათამდე.

### შევიძენ

■ გერმანულ ცხრაფოთლიან გორკას. ტელ.: 39-65-36, იკითხეთ თამრიკო.

### ვყიდი

■ თითბერის მავთულს და ფირფიტებს. ტელ.: 31-88-11.

■ სამოთახიან ბინას ვაჟა-ფშაველას VII კვ. VII კორპ. ბინა 39. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 30-29-55.

■ კერძო სამოთახიან სახლს ბელეტაჟზე ავჭალაში, ყოფილ მე-5 სამშობიაროსთან. აბაზანით, ტუალეტითა და სამზარეულოთი. ეზოში ცალკე დგას ერთი ოთახი (20 კვ.მეტრი). ავტოფარეხით და 500 კვ.მ. ხეხილიანი ეზოთი. ტელ.: 62-41-55, 62-00-39, საღამოს საათებში.

■ ან ვცვლი დუშეთის რაიონიდან (სოფელი საშაბურო, ბაზალეთის ტბასთან ახლოს) თბილისიდან 40 კმ-ის დაშორებით 2-სართულიან ბინას კაპიტალური რემონტით, ალუმინის სახურავით და ჟალუზებით, რკინის გალავნით და დიდი რკინის კარებით, აქვს საკუთარი გარაჟი, 2000 მეტრი ხეხილიანი ... ვცვლი თბილისში. ვარკეთილს და მე-... ნუ შემომთავაზებთ. ტელ.: 65-52-09, ... თხეთ გოგი.

■ საქართველოს სულიერების ცენტრ... თაში, სვეტიცხოვლის გვერდზე, მტკვრ... ხლობლად, ლამაზი აგურის ორი... დაუმთავრებელ სახლს. ფასი 25 000 ... მისამართი: არსუკიძის II შესახვევი №... თხეთ მეზობელი გოგი.

■ სოფელ მისაქციელსა და ახალუბანს ... გორაზე, რედაქციის უბანში, სამსართ... კარგ სახლს, 1200 კვ.მ. ხეხილის ეზოთ... ფასი 15 000 ლარი. ტელ.: 34-79-79, ... ნოდია.

■ წერეთლის გამზირზე, გამოფენის პირ... 3-ოთახიან ურემონტო ბინას მე-5 სარ... ზე. იზოლირებული ოთახები. საერთო ... თი 81 კვ.მ. სინათლე და წყალი მუდ... არის. ფასი 25 000 ლარი. ტელ.: 34-... 29-34-46.

■ ვერაზე, ყოფილი ბაზრის პირდაპირ, სა... ხიან ბინას ლოჯიით, დიდი სამზარეულო... აბაზანით, სათავსოებით, სარდაფით, ჭერ... მ, საერთო ფართი 120 კვ.მ. ეზოში ავ... ნქანის დასაყენებელი ადგილით. ფასი 4... ლარი.

■ 2-ოთახიან გარემონტებულ ბინას მიც... ქ.№18, I სად. I სართ. ბ.№3. ფასი შეთ... ბით. ტელ.: 87-30-38.

■ არასტანდარტულ, გარემონტებულ სა... ხიან ბინას საბურთალოზე (გოთუას ქ... 8-სართულიანი სახლის მე-4 სართ... მთლიანი ფართი 80 კვ.მ. სარდაფით და ... სადგომით. ფასი 30 000 ლარი. ტელ.: ... 79, იკითხეთ ნანა.

## კროსვორდი



ჰორიზონტალურად: 3. ფუროსი, ხელმძღვანელი; 6. მე-19 ს.-ის ფრანგი მხატვარი; 10. მუშტი; 11. ინდოეთის ფულის ერთეული; 12. იტალიელი არქეოლოგი, რომელმაც ქართული მონასტრის ნანგრევები გათხარა პალესტინაში; 13. მომრგვალებული ხელნაწერი ასოები ან სასტამბო შრიფტი; 15. ბრაზილიელი ზანგების ცეკვა; 17. ბალახოვანი მცენარე; 18. იტალიელი მსახიობი; 19. აჩრდილი; 20. ბედი; 21. ცხელი სასმელი; 31. ფასიანი ქაღალდების გაყიდვის კურსი; 32. ალალბედზე მოქმედება; 33. ძველებური ოთხადგილიანი ეტლი; 34. სიო; 35. დიდებული, ღირსშესანიშნავი, ძლევამოსილი; 36. ერთგვარი სამაგიდო თამაში; 37. ხურდა ფული ინგლისში; 38. ბაგირებზე დაკიდებული ხიდი; 39. ძვირფასი ქვა; 41. კაბასი, აჩრდილი; 51. მე-18-19 სს.-ში ორანძიანი სამხედრო ან კომერციული გემი; 54. ერთგვარი ძველებური თოფი; 58. ფრანგი მსახიობი; 59. ეკლესიისგან განდგომილი რელიგიური ჯგუფი; 60. ლატვიელი ბალეტის მსახიობი; 61. მეტყველების უმცირესი ერთეული; 63. ფრანგი კომპოზიტორი; 65. ჯარის ნაწილი; 66. წყლით გაჟღენთილი, ნესტიანი; 67. მდინარე აფრიკაში; 68. ძნის შესაკრავი დაგრეხილი სველი ნამჯა; 69. თხოვნა; 79. სამეჯლისო ცეკვა; 80. ცალკეული ნომრებისგან შემდგარი წარმოდგენა; 81. ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებს ერთი სოციალური ფენის წარმომადგენლებს გასართობად, დასასვენებლად; 82. რიგი, წესი, ხასიათი; 83. ლეიბი (კუთხ.); 84. სიგრძის საზომი ერთეული; 85. ფრანგი მწერალი; 86. ტარიფი; 87. უდედმამო; 88. იზაბელას ხალხური სახელწოდება.

ვერტიკალურად: 1. ერთუჯრედიანი ორგანიზმი; 2. სასმისი; 3. წინდი; 4. ვნებიანი სიყვარული; 5. ზოგი მცენარეული ორგანიზმის მიკროსკოპული ჩანასახი; 6. „ოტელოს" პერსონაჟი; 7. მცენარე, რომლისგანაც მხალს ამზადებენ; 8. ფულის ერთეული ევროპის ზოგ ქვეყანაში; 9. ბალზაკის რომანის პერსონაჟი; 14. ბუდიზმში: უდიდესი ნეტარება; 16. „ნატვრის ხის" პერსონაჟი; 22. სოფელი გორის რაიონში; 23. სიმებიანი საკრავი; 24. ისტორიული ციხესიმაგრე აჭარაში; 25. ინფექციური დაავადება; 26. მტკვრის შენაკადი; 27. საქართველოს ავიაკომპანია; 28. ბრალდებულის უდანაშაულობის დასაბუთება; 29. სულ მცირე, სულ პატარა; 30. წყლის ფრინველი; 40. დედააზრი, რაობა; 42. ვერდის ოპერა; 43. ინგლისელი მწერალი; 44. თანხის ნაწილი, რომელსაც წინასწარ იხდიან გარ... პირობის შესრულების უზრუნველსაყოფად; 45. საფრანგეთის ძველებური ხურდა ფული; 46. სარწყავად გაყვანილი რიტმული მოძრაო... შესაძლებლობა, მოხერხება; 50. ტროპიკული სურნელოვანი მცენარე; 51. დიდედა; 52. თბილისის ერთ-ერთი უბანი; 53. ნახევრადძვირფასი ... კუნძულთა ჯგუფი წყნარ ოკეანეში; 55. პუშკინის პოემის „ბოშები" პერსონაჟი; 56. უფერული და უსუნო გაზი, რომელიც სასიგნალო და სარე... გამანათებელ ხელსაწყოებში იხმარება; 57. აზიური ქვეყნის დედაქალაქი; 62. უფერო საწვავი გაზი; 64. მინის ჭურჭელი, იხმარება ლაბორატორიაში... წვრილად დაჭრილი მოხარშული ცომი; 71. ტირიფის სახეობა; 72. დაუკვირვებლად, უადგილოდ ნათქვამი; 73. ოჯახი; 74. ატმოსფერული მოვლე... ლვინის კნინობითი, მოფერებითი სახელი; 76. ქიმიური ელემენტი, ლითონი; 77. სიო; 78. პატარა ძაღლი.

შეადგინა რუსუდან ამირეჯიბმა

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 5. გნუ; 6. სარაბანდა; 7. ექო; 11. ივი; 12. ბაქარა; 13. ოფელია; 14. მაო; 16. შრატი; 17. იდიში; 20. კონკია; 22. ბრინჯაო; 25. ... 29. დიალექტი; 30. ტასმანია; 31. მარჯი; 32. კარამელი; 34. ხერგიანი; 36. ევრიკა; 38. კლინიკა; 39. შვეული; 41. ჰიდრა; 45. კურსი; 49. არი; 50. აბო... ნევადა; 52. ანა; 53. აია; 54. ტრანსფერი; 55. ანი;

შვეულად: 1. ყალამი; 2. მალამო; 3. ბარონი; 4. ადლერი; 5. გოია; 8. ორმო; 9. კარადა; 10. ფინიში; 11. ინა; 15. ომი; 18. კოდი; 19. არდი; 21. ... 23. ისრაელი; 24. ჯონჯოლი; 26. აბაშიძე; 27. ოტელი; 28. კამეა; 33. ალვა; 35. ნალი; 37. ანდები; 39. შარადა; 40. არა; 42. ავრორა; 43. ბაიანი; 44. ... კივერი; 46. გზა; 47. სინა; 48. მალი.

დამფუძნებელთა საბჭოს თავმჯდომარე და მთავარი რედაქტორი ვასილ მაღლაფერიძე,
მთავარი რედაქტორის მოადგილე პაატა ვეშაპიძე,
გენერალური დირექტორი ვახტანგ სალია, პასუხისმგებელი რედაქტორი ზაზა ტალახაძე

რედაქციის მისამართი: თბილისი, პეტრიაშვილის №7. ტელეფონი: 29-48-05; ფაქსი: 29-48-05.